

# ԳՆԱԾԻՄԱՆ ԽԵՂՈՒՄՆԵՍ

1976 4



4/1976

# საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
ქოველთვიური ჟურნალი

**შინაარსი**

საკვ X XV ყრილობის გაღაყვიტილიზიანი — ცხოვრებაში	3
თბილისის თეატრები საკვ X XV ყრილობას	10
მინილენა საკვ X XV ყრილობას	15
ტატიანა შაროვა —	
მ. ი. ლინინი ლა სოციალისტური რეალიზმის თეორია	
ღმის	21
საქართველოს სახელმწიფო კაპელა	24
სანდრო თუმბალიშვილი —	
ბილგვიტის კრიტიკა საზღვარგარეთ	30
მანანა ახმეტელი —	
„ტოსა“ — მუტილის საოპერო თეატრის სცენაზე	35
„ხიდი“ — კრალის კამერული თეატრის სცენაზე	41
ჭურაბ ალღიშვილი —	
სოფლის მწვანე სამოსელი	43
ვერიკო ანჭაფარიძე —	
მშვიდობით, ძვირფასო მშენებარე	45
ოთარ ფირალიშვილი —	
უიწვილის მოხატულობა ლა კართული რინესანსის სა-	
აითხები	46
ლადო ავალიანი —	
კილვი ერთი მონოგრაფია ღილ მხატვარზე	57
თან-ლუი ბარო —	
ფიციკინი თეატრზე	64
ღისქუნი, თეატრი ლა მკაუჩებელი	
ალექსანდრე შალუტაშვილი —	
თეატრის თანამედროვეობა	78
ბერტოლდ ბრეხტი —	
სამპროზინანი ოპერა (თარგმანი ლა შესავალი წერილი ჟორ-	
ჯანელუზის)	84
მრონიკა	110


**თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
ეორეოგრაფია**

მთავარი რედაქტორი:  
თამაზ ბილაძე

სარედაქციო კოლეგია:  
აკაკი ზაქარაძე,  
ვახტანგ ზარიაძე,  
ჯუჯუა თითუმბია  
(პანაუსისმგებელი მღიზანი),  
მოდარ გაბუნია,  
მანილ კინკაძე,  
მოდარ მალაგულიშვილი,  
ჯუჯუა ნიშანაძე,  
გივი ორჯონიძისძე,  
ნათელა ურუხაძე,  
რევაზ ჩხიძე,  
ანტონე წულუაძე,  
ნიკო ზაზუნაძე,  
მოდარ ჯანაშვილი.



# სკკპ XXV



# ყვილოვა

საბჭოთა მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრის, კინოს, ტელევიზიის მუშაკები — ყველანი, ვინც ინიჭი და პროფესიული უნარი ამსახურება ხალხს, კომუნისტების სპეცის, დიდ მადლობას იმსახურებენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ახმანაზ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებშიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე.

# სკკპ XXV ყრილობის ბალაწყვეტილებანი—ცხოვრებაში

„მოდით, ვუსურვოთ კულტურის მოღვაწეებს — პარტიის წევრებსა თუ უპარტიოებს, შექმნან ჩვენი ისტორიის, ჩვენი აწმყოსა და მომავლის, ჩვენი პარტიისა და ხალხის, ჩვენი დიადი სამშობლოს შესაფერისი ახალი ნაწარმოებები“.

ლ. ი. ბრეჟნევი.

**სკკპ XXV ყრილობამ**, რომელსაც 4.983 დელეგატი და 96 ქვეყნის კომუნისტური, მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების 103 დელეგატი ესწრებოდა, შეაჯამა ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული გრანდიოზული შედეგები, თვალნათლივ ახახა პარტიის კურსი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, გვიჩვენა სახალხო მებრუნების განვითარების მეცხრე ხუთწლიდის შთამბეჭდავი მიღწევები; ამასთან, ყრილობამ დასახა მეთუ ხუთწლიდის — ექვქტიანობისა და ხარისხის ხუთწლიდის — ამოცანები და შორსმჭვრეტელურად გახედა ახლო მომავალსაც — მოსაზა კიდევ შეუდგომი ერთი ათეული წლის პერსპექტიული კონტურები. ასეთი ფართო მასშტაბურობა განპირობებულია იმით, რომ გათვალისწინებულია სახალხო მებრუნების განვითარების წინა და მომდევნო ხუთწლიდების მემკვიდრეობითობა და ორგანული ერთიანობა კომუნისტების მშენებლობაში.

თავის მოხსენებაში — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამა. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა:

„თუ მხედველობაში მივიღებთ მეცხრე ხუთწლიდის ზოგად შედეგებს, მთავარი ის არის, რომ საბჭოთა ხალხის თავდადებულმა შრომამ, პარტიის წარმმართველმა, ორგანიზატორულმა საქმიანობამ უზრუნველყვეს ეკონომიკის სტაბილური ზრდა. ხუთწლიდის ძირითადი სოციალურ-ეკონომიური ამოცანები გადაწყვეტილია.“

და სწორედ ეს არის პარტიისა და ხალხის მიერ გაწეული მუშაობის უმთავრესი მონაკოვარი.

ამა. ლ. ი. ბრეჟნევმა მეცხრე ხუთწლიდის შედეგები შეაფასა ორი მთავარი თვალსაზრისით:

1. რამდენად გაიზარდა ამ წლების მანძილზე ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, როგორ იყო აბსოლუტური მაგება და

2. როგორ წყდებოდა პარტიის მიერ დასახული უდიდესი ამოცანები. მომხსენებელმა თავად შეაფასა ორივე თვალსაზრისი და ასეთი ფორმულირებანი მისცა მათ: „ამ მხრივ მეცხრე ხუთწლიდი უბაღლოა“. „ქვეყნის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ფართი: სოციალურ პროგრამა, როგორც სანგარიში პერიოდში შევასრულით“.

საქმე ის არის, რომ განვიღო ხუთწლიდში კიდევ უფრო გაიზარდა სამრეწველო წარმოება, კავშილური დაბანდებანი, სახელმწიფო ასიგნებანი ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, საგრძობლად გადიდა დიდმნიშვნელოვან სახეობათა პროდუქციის წარ-



მოების მოცულობა, განვითარდა კაპიტალური მშენებლობა, ერთ სულ მოსახლეზე თითქმის მეთოხვდით გაიზარდა რეალური შემოსავალი, დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, განმტკიცდა კოლმეურნობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა. ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის განსრულ ამაღლებას.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი დაიდა სამშობლოს მშრომელებმა ჰუმარაგად გადალახეს ახალი, მნიშვნელოვანი ზღვრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. განსაკუთრებით საყურადღებოა სოფლის მშრომელთა თავდადება. მიუხედავად იმისა, რომ ოთხი წელიწადი მოუსავლიანი იყო და სტიქიის ძალებთან უხდებოდათ შეჭრებმა, მათ პირნათლად გააჩინეს მეცხრე ხუთწლიანი გათვალისწინებელი ამოცანები და გაზარდეს კიდევ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

აგამებდა რა მეცხრე ხუთწლიანი შედეგებს, ამა. ლ. ი. ბრეჟნევიმ დაასკვნა: „ქრუსტიტური პარტიის ხელმძღვანელობით მეცხრე ხუთწლიანი გადადიდა ახალი დიდი ნაბიჯი კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე. ასეთი პარტიის ეკონომიკური საქმიანობის პოლიტიკური შედეგი XXV და XXV ყრილობებს შორის პერიოდში. ასეთი საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის მთავარი შედეგი.“

მიმოხედულ მიღწევებთან ერთად, პარტია ხედავს ნაკლოვანებებს, სიწმელებს, გადაუსწავებელ პრობლემებს, ზოგიერთ დარგში ჩამორჩენის ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებს და საბავს მათ წინააღმდეგ ბრძოლის რეალურ საშუალებებს. ამასთან დაკავშირებით, ამა. ლ. ი. ბრეჟნევიმ ყრილობაზე განაცხადა: „დას, ჩვენი ვიცი, რომ ჯერ კიდევ არ გადაჭრა ყველა პრობლემა. ჩვენი კრიტიკოსებზე უკეთესად ვიცი ჩვენი ნაკლოვანებანი, ვხედავთ სიწმელებს. და ჩვენი წარმატებით ვძლევთ მათ. ჩვენი ვხედავთ და ვიცი გზები, რომლებსაც მივყავართ ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის.“

მათე ხუთწლიანი უკვე მოქმედებს. იგი გრადიციულად აგრძელებს წინა ხუთწლიანების აღმავალ გზას ქვეყნის სახალხო მეურნეობის გასავითარებლად და ხალხის მაგარიალურ-კულტურული დონის ასამაღლებლად. ამასთან, მათე ხუთწლიანი მყარ საფუძველს უწყობდას პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ხანგრძლივი ორიენტიაციის შემდგომ განხორციელებას მომავალ ხუთწლიანში. მაგრამ მათე ხუთწლიანს აქვს, ასე ვთქვათ, საკუთარი განსხვავებული ნიშნები, საკუთარი ამოცანები. მისი მთავარი თავისებურებაა **ფუნქციონირება და ხარისხიანობა** (რასაკვირველია, არც რაოდენობა დაეციწებულ). მისი მთავარი ამოცანაა „საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მუშაობის ხარისხის ყოველი დონისძიებით გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის ყველა რეალში.“

ხარისხი და ეფექტიანობა, რომლებიც სულ უფრო ხშირად გვეხმარება ამ ბოლო დროს, აბსტრაქტული ცნებები კი არ არის, არამედ უაღრესად კონკრეტული შინაარსის შემცველი, კონკრეტული საქმეების გადასაწყვეტად მომარჯვებული ლოზუნგია, რომლის განხორციელებას სისხლომარცხული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ქვეყნის მომავალ წინსვლაში. „ხარისხის პრობლემა, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევიმ სკკპ XXV ყრილობაზე, — ჩვენი ძალიან ფართოდ გვეხმარება. იგი მოიცავს სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარეს. მაგალი ხარისხი შრომისა და მატერიალური რესურსების დაზოგვა, საქმეობრა შესაძლებლობათა გაძლიერება, ხოლო საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების მოთხოვნილებათა უკეთ, უფრო სრულად დამყოფილება.“ მისივე განაზღვრით: „ეფექტიანობის კურსი მათე ხუთწლიანში იმით გამოიხატება, რომ შრომის ნაყოფიერებამ უნდა უზრუნველყოს სამრეწველო პროდუქციის მავების დაახლოებით 90 პროცენტი, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციის მთელი მავება. მთლიანად ამ გზით მიღებული იქნება ჩვენი ქვეყნის ერთი წლიური შემოსავლის მავების 85-90 პროცენტი, მაშინ როცა გასულ ხუთწლიანში იყო 80 პროცენტი.“

პარტია მოგვიწოდებს — მთელი ძალები დავარაზოთ ამ ლოზუნგის განსახორციელებლად, რისთვისაც საჭიროა: უარი ვთქვათ სამუშაო დროის დანაკარგება და მოდუნება, არიდმიულ მუშაობაზე, არ დავარდვიოთ შრომისა და ტექნოლოგიის დისციპლინა, არ დავუშვათ კადრების დიდი დენადობა, რაციონალურად და მომჭირნეობით გამოვიყენოთ მატერიალურ-ფინანსური რესურსები.

პარტია მოგვიწოდებს — ზუსტად განვახორციელოთ სკკპ XXV ყრილობის რიზანდასახულობანი, რადგან მათში ჩაქოვილია მთელი საბჭოთა საზოგადოების, სახელმწიფოს, მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები.



აშხ. ლ. ი. ბრევენემა თავის საანგარიშო მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო პარტიის იდეურ-აღმშრდელიობითი მუშაობის, მათ შორის — ლიბერაგურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების საკითხებს.

ამ ხუთი წლის წინ სკკპ XXIV ყრილობამ საფუძვლიანად იმსჯელა შემოქმედებითი ინტელიგენციის მონაწილეობაზე საზოგადოების სულიერი სიმდიდრის შექმნაში. კარდა ამისა, ყრილობის შემდგომ პერიოდში შეიქმნა პარტიის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა: „ლიბერაგურულ-მზაგერული კრიტიკის შესახებ“, „საბჭოთა კინენატორაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და სხვ. მასწინ სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში ჩაიწერა:

„საბჭოთა ხალხი დაინტერესებულია ისეთი ნაწარმოებების შექმნით, რომლებშიც სიმართლით იქნება ასახული სინამდვილე, დიდი მზაგერული ძალით დამკვიდრდება კომუნისტების იდეები.

პარტიის პოლიტიკას ლიბერაგურისა და ხელოვნების საკითხებში საფუძვლად უდევს პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპები. პარტია მზარს უფრს სოციალისტური რეალიზმის საფუძვლზე გამომუშავებული ფორმებისა და სტილის მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს. იგი დიდად აფასებს ხელოვანის ნიჭს, მისი შემოქმედების იდეურ კომუნისტურ მიმართულებას, შეურთებლობას ყოველივე იმისადმი, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში...

ყრილობას მიანიჩა, რომ მწერალთა, კინენატორაფისტთა, მზაგერათა, კომპოზიტორთა, თეატრის მუშაოთა, არქიტექტორთა კავშირები ყოველდღიურ ყურადღებას უნდა იჩენდნენ ლიბერაგურისა და ხელოვნების განვითარების შემოქმედებითი პრობლემებისადმი, კავშირების წყრთა იდეურ-თეორიული ღონისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებისადმი, დიდ პასუხისმგებლობას უნერგავდნენ ლიბერაგურისა და ხელოვნების მოღვაწეებს საზოგადოების წინაშე ზდიანი შრომისათვის, ყოველნაირად განამტკიცებდნენ შემოქმედებითი მუშაების თანამგებობას საწარმოო კოლექტივებთან.“

ამასთან, პარტიის XXIV ყრილობამ მალღიერების გრძნობით გამსჭვალული, უადრესად დედნითი შეფასება მისცა შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაყოფიერ შრომას, ნიჭიერად შექმნილ ნაწარმოებებს, მზაგარ იქვე მიუთითა ზოგიერთ უკიდრესობებსზე, რომლებსაც შეეძლო სწორი უზიდან აეცილნა ხელოვანი. პარტიის მართებული პოლიტიკის შექმნებას, მისმა ქმედითად გამოყენებამ ახალი წარმავებები მოუგანა საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნებას. ამიგომ იყო, რომ აშხ. ლ. ი. ბრევენემა სკკპ XXV ყრილობაზე განაცხადა:

„დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ XXIV ყრილობის მიდგომა ლიბერაგურისა და ხელოვნების საკითხებისადმი სავსებით სწორი აღმოჩნდა. განვლილ წლებში კიდევ უფრო გააქავებურა საქმიანობა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, რომელსაც სულ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო საქმეში.

ეს დადებითი, ცხოველყოფილი პროცესი, ბუნებრივია, აისახა სოციალისტური რეალიზმის იმ ახალ ნაწარმოებებში, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში. ისინი სულ უფრო ხშირად, და, რაც მთავარია, უფრო ღრმად ეხმაურებიან იმ ძირითადს, რითაც ქვეყანა ცხოვრობს, რაც საბჭოთა ადამიანების პირად ბედის ნაწილი გახდა.“

აშხ. ლ. ი. ბრევენემა თავის მოხსენებაში გამოჰყო ოთხი ძირითადი თემა, რომლებიც ასაზრდოვდა მეცხრე ხუთწლედის მანძილზე შექმნილ მაღალნიჭიერებით აღბეჭდილ ლიბერაგურისა და ხელოვნების მრავალ ნაწარმოებს. ესენია: ეგრეთ წოდებული „საწარმოო თემა“, რომელმაც, მომსახელების აზრით, ახლა ნამდვილად მზაგერული ფორმა შეიძინა; საბჭოთა ხალხის გმირობა დიდ სამამულო ომში; მორალის, ზნეობრივი ძიების თემა; მშენებლობისათვის, ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა, მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობა ამ ბრძოლაში.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში ასევე აღნიშნული იყო:

„საბჭოთა, რომ ჩვენმა ლიბერაგურულ-მზაგერულმა კრიტიკამ აქტიურად განახორციელეს პარტიის ხაზი, გამოვიდეს მეტი პრინციპულობით და ერთმანეთს შეუხამოს მოთხოვნილება და გატეგი, მზაგერულ ფასეულობათა შექმნისადმი სათუთი დამოკიდებულება.“

ყრილობიდან ყრილობამდე განვლილ პერიოდში ამ მხრივაც გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები. აშხ. ლ. ი. ბრევენემა სკკპ XXV ყრილობაზე კმაყოფილების გრძნობით განაცხადა, რომ „შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეში გაიზარდა მომთხოვნელობა ერთმანეთისა და საკუთარი შემოქმედებისადმი, პირუთენელად აფასებენ უფრულ, უნიჭო ნაწარმოებებსა და დადებებს, მით უმეტეს იდეურ ხარვეზებს. ყოველივე ამასში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის შემოქმედების კავშირებს, მათს პარტიულ ორგანიზაციებს.“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივნამ ყრილობის მაღალი გრძობუნდად



დიდი მადლობა უძღვნა საბჭოთა ლიგერატორისა და ხელოვნების იმ წარმომადგენლებს — მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, თეატრის, კინოს, ველევიზიის მუშაკებს — „ჩინი ნიჭი და პროფესიული უნარი ვსახურება ხალხს, კომუნისტების საქმეს.“ რაც მთავარია, ამ სახელმწიფოში სულ უფრო აქტიურად ებმებიან ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალები.

პარტიას მნიშვნელოვან ღონისძიებად მიაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენს სინამდვილეში ფართოდ გავრცელდა თეატრის, ლიგერატორულ-მხატვრული ეურნალის შეფობა ქაზრნების, კოლმეურნობების, დიდი მშენებლობებისადმი; ისიც, რომ თვითშემოქმედების კოლექტივებს, ლიგერატორულ გაერთიანებებსა თუ სახალხო თეატრებს ხელმძღვანელობენ არა ხელოვნების მიგმასნებელი შემთხვევითი ადამიანები, არამედ თავიანთი საქმის გამყოფი ოსტადები. ასეთ ვითარებაში მიმდინარეობს ორი ურთიერთსასარგებლო პროცესი, რომლის დამახასიათებელი ნიშნებია: ერთი მხრივ, ხელოვნების გამდრდება ცხოვრების ცოდნით, ხოლო, მეორე მხრივ, მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების კულტურის ღირებულებათა შემდგომი ათვისება.

საანგარიშო მოხსენებაში ისიც ითქვა, რომ პარტიულ მიდგომაში ლიგერატორისა და ხელოვნების საკითხებისადმი უთუოდ უნდა იყოს შერწყმული ორი მთავარი მომენტი: საერთო და მკერდებულა შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი და პრინციპულა. ცხადია, ყოველი ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობის მთავარი მაჩვენებელია მისი იდეური მიმართულება.

„ნამდვილი ნიჭი იწვიათად გვხვდება. — თქვა ანხ. ლ. ი. ბრეჯნევიმა სკკპ XXV ყრილობაზე. — ლიგერატორისა და ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოებები ეროვნული სიღრმეა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მხატვრული სიყვან, ფერების ელვარება, ქვის გამოსახველობა, ბეგრების პარმონია შთააგონებენ თანამედროვეებს და შთაშთაძელებს გახადცემენ სულია და გულის ხსოვნას ჩვენი თაობის, ჩვენი დროის, მისი ავ-კარგისა და მიღწევის შესახებ.“ ამრიგად, ოცაღისწინებს რა ლიგერატორისა და ხელოვნების ნაწარმოების ცხოველყოფელ გაავლენას მშრომელთა იდეურ, მხატვრულ, ესთეტიკურ აღზრდაში, მის დიდ როლს მეთუ ხუთწლეულით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალობად ქვეყანაში, პარტია ხელოვნების მუშაკებისაგან მოითხოვს ისეთი ნაწარმოებების შექმნას, რომლებიც შესაფერისად მასავენ ჩვენი გმირული პარტიისა და შრომისმოყვარე ხალხის წარსულს, აწვსისა და წინასწარს. შესაფერისი კი გულისხმობს მაღალმხატვრულობასა და იდეურობას, გულისხმობს მეთუ ხუთწლეულის დევიზის — ეფექტურობისა და ხარისხის — მიღწევას მხატვრულ ნაწარმოებებშიც.

სკკპ XXV ყრილობას წინ უძღოდა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა მორიგი ფორუმები. საქართველოს კომუნისტებმა თავიანთი XXV ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის გაზრდელ აქტივობას როგორც შემოქმედებითი, ასევე საზოგადოებრივი და პოლიტიკური მიმართულებებით. „ახლა მწერალი, — აღინიშნა საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისადმი, — მხატვარი, კომპოზიტორი, არა მარტო ყოფაცხოვრების ადწმურვით, არა მარტო ჩვენი დროის აველა გმირული საქმის მომდრალი (თუნდაც შთაგონებული), არამედ ამისთან ერთად, აველა იმ შესამჩნევი ცვლილების მოწარმე და შემოქმედი, რომლებიც ღდება რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სფეროში.“

ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკის შემოქმედებითი ძალები მზარში უდვანან პარტიას, ხალხს, მათთან ერთად წყვეტენ დღევანდლობის საჭირბოროტო საკითხებს და აქტიურად მონაწილეობენ მიღებული ღონისძიებების პრაქტიკულ ხორცშესხმაში.

პარტიამ ამ სწორი განდენიას სჭირდება შემდგომი განმტკიცება და სრულყოფა. ამიგოც იყოს, რომ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ თავის დადგენილებაში ასეთი უმჭირველად: „რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა შემოქმედებითი ინტელიგენციისთან ნუშთაში მიადწროს მიზანდასახულ და გონიერულ მიდგოვას, გააძლიეროს ზრუნვა მისი იდეური წრთობისათვის.“

საქართველოს მწერალთა, ეურნალისტთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა, არქიტექტორთა კავშირებმა, თეატრალურმა საზოგადოებამ და მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო აქტიურად შეუწყო ხელი სოციალისტური რეალობის, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებზე დამყარებული ლიგერატორისა და ხელოვნების, პუბლიცისტიკის ახალი ნაწარმოების შექმნას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწუროს კულტურულ და სოციალურ პროგრესს, ადამიანთა შეგნებასა და ქვეყანაში წარსლის გაღრმავებით. ზის დაძლევის, ნათელი კომუნისტური იდელების დამკვიდრებას.“

საქართველოს მშრომლები ღირსეულად შეხედნენ სკკპ XXV ყრილობას. მიუხედავად იმისა, რომ მეცხრე ხუთწლეულის პირველ წლებში სახალხო მეურნეობას ჰქონდა მნიშვნელოვანი გარღვევები, რაც საფრთხის წინაშე აყენებდა არა მარტო ვალდებულებების, არამედ ვეგების შესრულებასაც. რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით, საქართველოს მუშათა კლასმა, საკოლმეურნეო გლეხობამ და სახალხო ინტელიგენციამ ქვეშაირ-

გად გიორული შრომით დასძლიეს ყველა დაბრკოლება. 1975 წელს მათ გემის გადაშვებით გამოიშვეს ზედაგმითი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რიოაც შეიღის მეცხრე ხუთწლიდის დასაწყისში არსებული დანაკლისი. ამრიგად, საქართველოს მშრომელებმა სკკპ XXV ყრილობას უზაგაგეს ხუთ წელე დის შეცხრულემა. ჩვენმა მხარეებმა, შევენახებმა და მეცერტრულებმა მოიწიეს სარეკორდო მოსავალი, IX ხუთწლიდის ბოლო 3 წელიწადს სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო-წლიურმა გემმა 9,6%-ს მიადწია, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 7,8%-ით, 1970-1972 წლებთან შედარებით 18%-ით და შეგად გაიზარდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება. მეცხრე ხუთწლიდის ბოლოს საქართველოს მშრომელებმა ათიწიეს სპილენძის და ფაიფურის წარმოება — გაიხსნა მადნეულის სამიო გამამდიდრებელი კომბინაგი და ზუგდიდის ფაფურის ქარხანა. გამარჯება იზიომეს ენერგეტიკოსებმა — ამოქმედდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის პირველი ელექტროსადგურები. ჩვენი რესპუბლიკა მალე გასდება ნავთობის მრეწველობის ქვეყანა.

ღირსეულად დაფასდა ხალხის ეს შემოქმედებითი შრომა. სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ რესპუბლიკა დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით, საქართველოს მესხრე ხუთწლიდის ბოლო სამ წელიწადში ზედრეზიდ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიგეგის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პრეზსახბოსა და სრულიად საკავშირო ალკე ცენტრალური კომიგეგის გარდამავალი წიოილი დროშა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული უმაღლესი მარგენებლებითათვის.

საქართველოს მშრომელთა დარაზმვას ამ მნიშვნელოვანი ზღუდების ასაღებად, მათ ენთუზიაზმს, დიდად შეუწყო ხელი ორმა ისტორიულმა დოკუმენტმა. პირველი მათგანია — სკკპ ცენტრალური კომიგეგის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწვეგილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიგეგის ორგანიზაციულ და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, სოლო მეორე — სკკპ ცენტრალური კომიგეგისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სახალხო მეურნეობის შედგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.“ სწორედ მათი მიიღების შემდეგ მოსდა ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი გარდაგება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამიოგო იყო, რომ საქართველოს კომპარტიის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დიფიკილით ევაბად — აღწერნულ დადგენილებათა მიღებდა და მათი მიიღების შემდეგ. პირველ ეტაბზე „მკვეთრად ქვეითდებოდა რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალი, რაც წლების განმავლობაში შემირიოდა. კიდევ უფრო შესამწინევი გახდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რიგების მოდუნება, ზოგიერთი ნეგატიური მოვლენის გამოცოცხლება. მეცხრე ხუთწლიდის დირექტივების შესრულებას ჩაშლის საფრთხე შექმნა.“ (ახე ე. შევარდნაძის სიგვიდან სკკპ XXV ყრილობაზე), სოლო მეორე ეტაბზე „რესპუბლიკის მშრომელები უზაგადიო ენთუზიაზმმა მოიგვა. ხუთწლიდის მიჯნებისათვის ბრძოლა მათი პრესტიგის, მათი ღირსების და მამაცობის საქმე გახდა.

გაუზიადებლად შევიძინლა ვიქვათ, რომ ადაიანებმა შეუძლებელი შეძლეს, მთლიანად დასძლიეს ჩამორჩენა, რომელიც პირველ პერიოდში გვეიონდა.“ (იქვე).

რესპუბლიკის მშრომელთა ამ ენთუზიაზმში საქართველოს ხელოვანთა წილიც ურეგია. ქართველმა მწერლებმა, მხაგერებმა, მუსიკოსებმა, თეატრისა და კინოს მოდაწეებმა თაკიანით გამოხსული შემოქმედებითი შრომით, საქმისადმი პარტიული მიდგომით, მაღალნაზივებულ ნაწარმოებებითა და უშუალო პრაქტიკული მოდაწეებით ხელი შეუწვეეს მშრომელი ხალხის პოტენციური ძალების შემართვას.

წინასაყრობო პერიოდში ქართველ ხელოვანთა ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩაგარდა. გაიმართა მხაგვართა ნაშუქმერები: გამოფენები, მოწეწო მუსიკალური კონცერტები, ფესტივალი — ამიერკავკასიის კლასიკალური გაზახული, შეხედრები რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებთან, შეიქმნა ახალი მხაგვრული ნაწარმოებები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავი: ის პეტი, რომ რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო თეატრმა სკკპ XXV ყრილობის უძენა სპეცილური სპექტაკლი, რომელთა მაღალმხაგვრული განხორციელება იმის იმედს იძლევა, რომ ეს დადგმები დიდხანს დარჩება რეპერტუარში და ესთეტიკურ სიამოვნებას მინიჭებს მაყურებელს.

სკკპ XXV ყრილობამ მიიღო დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი სკკპ ცენტრალური კომიგეგის საანგარიშო მოსხენებისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა შესახებ. პარტიამ შექმნა მათე ხუთწლიედა: სამოქმედო პროგრამა. ახლა მთავარია, — სამუთია ქვეყნის ყველა მშრომელმა, ყველა კომუნისტმა თუ უპარტიომ, ახალგაზრდობამ საფუძვლიანად შეისწავლოს ყრილობის





ჯ. ჯ. სტალინი

მასალები და საკუთარი წვლილი შევიკანოს მის განხორციელებაში. სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ რესპუბლიკის კულტურული ფრონტის მუშაკებმაც — ლიგერატორისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში ნათლად გამოხატული პარტიული ხელმძღვანელობა, პარტიული მიდგომა შემოქმედებითი ინველიგაციისადმი. როგორც აღინიშნა, იგი მოიცავს პრინციპულობასა და, ამავე დროს, სათუთად მიდგომას შემოქმედებისადმი, რეალურ დახმარებას მის შემოქმედებითი ძიებაში. აქ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი აქვეყნებს აკეთებს იმზე, რომ ყოველი ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობა ფასდება მისი იდეური მიმართულების განსაზღვრით და განაგრძობს: „...სწორედ ლენინურად იქცევიან ის პარტიული ორგანოები, რომლებიც დიდ მუშაობას უწევიან იდეოლოგიური მუშაობის ამ სფეროში. მაგრამ თუ მაინც და მაინც მოხდა, რომ ცალკეული მუშაკები იჩენენ გაუბრალებულ მიდგომას, ცდილობენ ადმინისტრაციული მეთოდებით გადაწყვიტონ მხატვრულ შემოქმედებასთან, ფორმების მრავალფეროვნებასთან და სტილის ინდივიდუალობასთან დაკავშირებული საკითხები, მაშინ პარტია გვერდს არ აუვლის ამგვარ შემთხვევებს, ასწორებს მდგომარეობას.“

აღნიშნულ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამაც, რომლის საანგარიშო მოხსენებაში ვკითხულობთ:

„ინველიგაციისთანავე მუშაობაში საჭიროა დიდი პატივი, მოთმინება, თანწმიდვებობა, მისი დარწმუნებისა და მასზე გავლენის, თუ საჭიროა, მასთან კამათის უნარი. არ უნდა ვერიგებოდეთ მწვავე საკითხებს, თავიდან არ ვიცილებდეთ მათ გადაწყვეტას.“

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ყველას, ცენტრალურ კომიტეტსაც და პარტიულ კომიტეტებსაც გვაკავოს გონივრული და დროული ჩარევის, ინველიგაციის გონება-განწყობილებაზე აქტიური გავლენის პოზიცია, ინველიგაციისათვის მუშაობაში პასუხისმგებლობა, არამედ, პირიქით, გვაშორებს მას.“

როგორც ვხედავთ, პარტია ჭეშმარიტად ლენინურ გულისხმიერებას იჩენს შემოქმედებითი ინველიგაციისადმი, ზრუნავს იმისათვის, რომ ნიჭიერმა შემოქმედმა სრულად გამოავლინოს საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობანი, გააშრავდეს მისი გონების სახეობითი ფორმები და სტილი. ამავე დროს, პარტია ხელმძღვანელობს ძალის იმში ხედავს, რომ ხელთიანი დაყენების მქარ იდეურ საძირკველზე, ჩაუნერგოს კომპარტიის ინდივიდუალური იდეებისათვის ბრძოლის სულისკვეთება.

სკკპ XXV ყრილობის მასალების გულმოდგინე შესწავლა ხელს შეუწყობს მრავალი საინტერესო და სასარგებლო ღონისძიების განხორციელებას ჩვენს რესპუბლიკაშიც. ამხ.

ლ. ი. ბრეჟნევი თავის საანგარიშო მოხსენებაში ყრილობისადმი მიესალმა იმ ფაქტს, რომ სსრ კავშირის თეატრები შეფოხას უწევენ პარხნებს, კოლმეურნეობებს, დიდ მშენებლებებს. ცხადია, მსგავსი მაგალითების დასახელება ჩვენს რესპუბლიკაშიც შეიძლება, მაგრამ მას ეპიზოდური ხასიათი აქვს. რაგომ არ შეიძლება, რომ თბილისის სახელმწიფო თეატრმა თავიანთი საუკეთესო ძალებით შეფოხა გაუწიონ არა მარტო დედაქალაქის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, არამედ რესპუბლიკის დიდ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მუშაკებისთვის და, მაგალითად, ენერჯეტის გრანდიოზულ მშენებლობას. ცხადია, ამითვის აღვივლებზე უნდა იყოს შექმნილი სათანადო ბაზა, კულტურის სახლებისა და კეთილმოწყობილი კლუბების სახით, სადაც აკადემიურ თეატრს მაინცდამაინც არ გაუჭირდება თავისი დიდი ხელოვნების დაუბრკოლებელი ჩვენება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებამ შარშან გადამწყვიტეს, რომ ეგრეთ წოდებულ პერიფერიის თეატრებში მივლინებინათ დედაქალაქის წამყვანი რეჟისორები, განსაკუთრებით სკკპ XXV ყრილობისადმი მიმდევრილი სპექტაკლების დასადგმლად, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ რესპუბლიკის დიდ საპროფესიო ქალაქებში, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის დედაქალაქებში, აგრეთვე სხვაგანაც, სისტემატურად ჩავენ რეჟისორები თუ მხატვრები და დიდგამზე სპექტაკლებს, მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი თეატრების დადგმებში. განა რა მოხდება, რომ გამოჩენილმა თეატრალურმა მხატვრებმა გააფორმონ რაიონული თეატრების სპექტაკლები, ხოლო ცნობილმა კომპოზიტორებმა სპეციალურად ამ თეატრების სპექტაკლებისთვის დაწერონ მუსიკა? ამით ხომ რაიონში მცხოვრებ ადამიანებს ვაზარებდით ნამდვილ ხელოვნებას და სარგებლობას მოვუგანდით საერთოდ თეატრალური კულტურის განვითარებას!

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ასევე მადლიერების გრძნობითაა მოხსენიებული ის გარემოება, რომ თვითომქმედ კოლექტივებს, ლიგერატურულ გაერთიანებებსა და სახალხო თეატრებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი ოსტატები. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომღერლები და მსცეკვავეთა გუნდებისა და სახალხო თეატრებს უმეტეს შემთხვევაში სათანადო უდგანან დამსახურებული ლტობარები, ენთუზიასტი რეჟისორები და გამოცდილი

მუშაკები. შედეგად ცუდი როლია, მაგრამ რესპუბლიკის რაიონებში არადამაკმაყოფილებელი პროპაგანდა ეწევა ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორცაა სიმფონიური მუსიკა.

კონსერვატიული ციფრის დასახელება ძნელია, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ რესპუბლიკის უმრავლესობა არ სრულებით არ ნახულობენ ახალ ფილმებს, ან დიდი ხნის დაგვიანებით ნახულობენ მათ. ისეც ხდება, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები ვერ რამდენიმე ქვეყანას მოივლის, ჯილდოებსა და პრისუბებს დაიწესებულებს და მხოლოდ შემდეგ წარსდგება რესპუბლიკის ფართო მაყურებლის წინაშე, საქართველოს შორეულ რაიონებში კი საკმაოდ მომგვლებული ჩადის. დროა ქართული ფილმის პრემიერა ერთდროულად ეწყობოდეს როგორც თბილისში, ასევე სვანეთში, ხევსურეთში, თუშეთში, თვით ყივლიანის საძირებზეც კი.

უარესი მდგომარეობაა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა პროპაგანდის მხრივ. ჩვენი ფერმწერები, მოკანდაეები, ჭედური ხელოვნების ოსტატები, გრაფიკოსები, გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენლები შესანიშნავ ნაწარმოებებს ქმნიან. ბევრი მათგანი ისე აღწევს საკავშირო თუ საერთაშორისო ალიარებას, რომ თითქმის უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. ან კიდევ: ნაწარმოები ერთი-ორჯერ გამოიფინება, შემდეგ კი უკვალოდ ქრება (მედიც, ფუჭდება) სარდაფებსა თუ საცავებში და მოკლებულია მასებზე შემოქმედების უნარს.

თუ გული გულობს, არცთუ ძნელია მათი გამოყენება იმ საქმისათვის, რისთვისაც ქმნის მხავეარი. განა არ შეიძლება ხშირად მოეწყოს მოძრავი გამოყენებითი რესპუბლიკის დიდი ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში? განა საინფერესო არ იქნება თუნდაც ერთი რომელიმე მხავეარის ნამუშევრების ჩვენება ნებისმიერ რაიონულ ცენტრში ისე, რომ გამოყენებს ესწრებოდეს თვით ავტორი და ხელოვნებათმცოდნე, რომელიც დამთავლებულბუნებს საინფერესოდ ესაუბრება მხავეარის შემოქმედებაზე, თანამედროვე მხავეარის მიმართულებებსა და ტენდენციებზე? ასეთ შემთხვევაში ხომ მხავეარიც სასრულ კონკაქტს დაამყარებს ხალხთან, გაეცნობოდა მათ შეხედულებებს, საქმიანობას, მიწრაფებებს. და ეს სასარებლო იქნებოდა როგორც შემოქმედის, ისე მაყურებლისთვისაც.

მართალია, როგორც შემოქმედებითი, ასევე საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივი ორგანიზაციები თავიანთ საშუაო გეგმებში ხშირად ითვალისწინებენ ლექციების ჩატარებას ხელოვნების საკითხებზე, მაგრამ მათი პრაქტიკული განხორციელების პროცესში ერთობ დაბალია. ან კიდევ, ლექციური ჩადის რაიონში, აუდიტორია კი არ ხდება და დაგეგმილი ოქონსივება მთავრდება საგზურზე ბუქლის დასმით. ასე „იზრდება“ ჩატარებული ლექცია-საუბრების რიცხვი, შედეგი კი ხელოვნურად გაზრდილი ციფრების უკუპროპორციულია.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ინერტულ დამოკიდებულებას იჩენს ხელოვნებისადმი, რაც შემაშფოთებელია. ამიგომ ითქვა გულისკვიცილი საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე:

„...გულკრილად ვერ მოვკიდებთ იმას, რომ ჩვენში უფრო ნაკლებად, ვიდრე საშუალოდ მთელ ქვეყანაში, დადიან თეატრებში, კინოთეატრებში, ბიბლიოთეკებში...“

დიდად დამაფიქრებელია შედეგები ამას წინათ გამართული კონკურსისა „თეატრი და ბავშვები“. მან გამოაღინა არა მარტო პოზიტიური მოგვლენები, არამედ ნეგატიური მოგვლენებიც. აღმოჩნდა, რომ იმართან ერთად, ვისაც უყვარს თეატრი და იცნობს მას, არიან ისეთი მოსწავლეებიც, მეთათკლასელებიც კი, რომლებიც არცერთხელ არ ყოფილან თეატრში, არ უნახათ არც ერთი სპექტაკლი. თეატრში არც მათი მშობლები დადიან“. როგორც იკვირან, კომენტარები ზედმეტია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა მთელ თავის მუშაობას წარმართავენ მშრომელთა საკეთილდღეოდ. ყველა ხუთწლიანი გმირული შრომა კომუნისტური საზოგადოების შემქმნას ემსახურება. ამიგომ, სკკპ XXV ყრილობის მოგვიყოლებს:

„ზუსტად განვახორციელოთ პარტიის დირექტივები, მთავარ მიზნად დავისახოთ საზოგადოების, სახელმწიფოს, ხალხის ინტერესები — ასე და მხოლოდ ასე უნდა მუშაობდეს თვითველი კომუნისტი, ყველა, ვისაც გული შესტკივა ჩვენი საერთო საქმისათვის.“

ყველა ხელოვანი მუდამ უნდა ახსოვდეს ღ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომ „ოღერა-ჭრილსა და ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოები ეროვნული სიმდიდრეა“.


და რა უნდა იყოს იმაზე საპატიო და კეთილშობილური, რომ ქმნიდ ეროვნულ სიმდიდრეს, ემსახურებოდ თანამედროვეობას, შენს მშობლიურ ხალხს, რომელიც თავისი გმირული შრომის შედეგად ყოველი ახალი ხუთწლივით ახსლოებს კაცობრიობის საწყვარ ოცნებას — კომუნისმს.





სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „დასაწყისი“. ტრესტის მმართველი — ე. მანგალაძე, ბრიგადირი — ე. ლომაშვილი.

სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „დასაწყისი“. პარტკომის მდივანი — ჯ. კაციაძე, ეკონომისტი — მ. თბილელი.



## თბილისის თეატრები

### სკკპ XXV

### ყრილობას

სცენა შარანაშვილის თეატრის სპექტაკლიდან „როცა ქალაქს სძინავს“. პარმენ კაკაშიძე — ე. ნინუა, ვიქტორ ავალიშვილი — ი. ტრიპოლსკი.









ყვილოვა

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი ვ. ფალიაშვილი.

საპარტემენტოს სსრ კულტურის საინინსტრომ და საქართველოს თეატრალური საზოგადოების აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლმა ჩაატარეს სკკპ XXV ყრილობისადმი მიძღვნილი სპექტაკლების კვირეული. კვირეულში მონაწილეობა მიიღეს თბილისის აკადემიურმა და სახელმწიფო თეატრებმა: რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა დრამატურგ ა. გელმანის პიესა „დასაწყისი“ (დადგა რ. სტურუამ), კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა წარმოადგინა ა. ჩხაიძის პიესა „როცა ქალაქს სძინავს“ (რეჟისორი ნ. გაჩავა), ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ყრილობას მიუძღვნა სპეციალურად მომზადებული საკონცერტო პროგრამა, რომელიც შედგებოდა ორი განყოფილებისაგან: 1. „გზა დიდებისა“, 2. „პათეტიკური ორატორია“. პირველ განყოფილებაში შესრულებული კანტატა 3 ნაწილისაგან შედგებოდა: „მატიანე ბრძოლებისა“, „ობელისკები“, „ირმის ნახტომი“ (კომპოზიტორი ს. ცინცაძე, ტექ-

სტენა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლიდან „როცა ქალაქს სძინავს“. ჩაიწყო ქვარიანი — კ. მახარაძე, სერგო ხავთასი — თ. არჩვაძე.





სცენა სომხური თეატრის სპექტაკლიდან „თავბრუდახვევა“.  
სერგო ბეროიანი — ს. სოსიანი, ზეფი-  
ურბი — ლ. პირუმოიანი.



სცენა გრიბოედოვის თეატრის სპექტაკ-  
ლიდან „როცა ქალაქს სძინავს“.



სცენა მუსიკალური კომედიის თეატრის  
სპექტაკლიდან „პაემანი ცაში“.

სსსრ  
XXV



ჯიქოსა


სტი პ. გრუზინსკისა, დირიჟორი ვ. ფალიაშვილი). მეორე განყოფილებაში შერეული გუნდისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის (ვ. მაიაკოვსკის ტექსტზე) შესრულდა ორატორიები: „მარში“, „მოთხრობა გენერალ ვრანგელის გაქცევაზე“, „პერეკოპის ბრძოლების გმირებს“, „ჩვენი მიწა“, „აქ იქნება ქალაქი-ბაღი“, „სახვარია ამხანაგ ლენინთან“ და „მზე და პოეტი“, ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულმა დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ქართველი დრამატურგის ა. ჩხაიძის პიესა „როცა ქალაქს სძინავს“. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ა. ტოვსტონოგოვმა, მხატვრულად გააფორმა ე. დონცოვამ, სპექტაკლის წამყვანია ნ. კარლოვა. ს. შაუმოიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო სომხურმა დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა გ. სარქისიანის ორმოქმედებიანი პიესა „თავბრუდახვევა“ (სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია გ. უმიკიანი). მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა დადგა რ. მამულაშვილის ორმოქმედებიანი დრამა „მერხებზე ანგელო-



სცენა მეტეხის თეატრ-სტუდიის სპექტაკლიდან „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“.

ზები სხედან“. სპექტაკლის რეჟისორია ა. ქუთათელაძე. ლენინური კომკავშირის სახელობის რუსულმა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა წარმოადგინა ნ. ოსტროვსკის რომანის მიხედვით შექმნილი ორნაწილიანი პიესა „დრამატული სიმღერა“. ინსცენირების ავტორები არიან ბ. რავენსკის და მ. ანჩაროვის. სპექტაკლი დადგა ლმირცხულავამ. მეტეხის ახალგაზრდულმა დრამატულმა თეატრმა-სტუდიამ რუსთაველის სახელობის თეატრთან ერთად მაყურებელს უჩვენა ნ. ოსტროვსკის რომანის მიხედვით შექმნილი პიესა „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ანუ „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. ქავთარაძემ.

კვირეულზე წარმოდგენილი ყველა სპექტაკლი ეხმაურება სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს და ჩვენი თეატრალური კოლექტივები ისევე იმსახურებენ ამხ. ლ. ი. ბრენევის სიტყვებს, რომლებიც მან სკკპ XXV ყრილობაზე წარმოთქვა იდეურ - აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ, როგორც ჩვენი დიდი ქვეყნის



სცენა რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლიდან „დრამატული სიმღერა“. პავლე კორჩაგინი — ე. ბასილაშვილი.

სცენა ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლიდან „მერბებზე ანგელოზები სხედან“.







სცენა ბალეტ „ქორეოგრაფიული სიფიტიდანი“. მთელური (ლ. მითაშვილი).



სცენა ბალეტ „ქორეოგრაფიული სიფიტიდანი“.

სხვა თეატრების შემოქმედებითი კოლექტივები. აღდეს შევიძლია ვთქვათ, რომ XXIV ყრილობის მიდგომა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი სავსებით სწორი აღმოჩნდა. განვილი წლებში კიდევ უფრო გაააქტიურა საქმიანობა შემოქმედებითა ინტელიგენციამ, რომელსაც სულ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო საქმეში“.

დიდი კმაყოფილებით გრძნობთ შეხვდა შემოქმედებითი ინტელიგენცია საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს:

„შემოქმედი ინტელიგენციის წრეში გაიზარდა მომთხოვნელობა ერთმანეთისა და საკუთარი შემოქმედებისადმი, პირუთენელად აფასებენ უფერულ, უნიჭო ნაწარმოებებსა და დადგმებს, მის უმეტეს, იდეურ ხარვეზებს. ყოველივე ამაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით შემოქმედების კავშირებს, მათს პარტიულ ორგანიზაციებს“.

სცენა ბალეტ „ქორეოგრაფიული სიფიტიდანი“.





ჯეილოვა

# მიეძღვნა სკკპ XXV ყრილობას

საპარტიო მუშაოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალური საზოგადოების აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლმა სკკპ XXV ყრილობას მიუძღვნეს საქართველოს თეატრების სპექტაკლების კვირეული, რომელიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობის, ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სარაიონისა შორის, გ. ერისთავის სახელობის გორის და ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის თეატრებმა და მეტეხის ახალგაზრდულმა თეატრმა-სტუდიამ.

გემჭდავთ კვირეულზე ჭიათურის, გორისა და თელავის თეატრების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების მიმოხილვას.

ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სარაიონისა შორის სახელმწიფო თეატრი ყოველთვის აქტიურად ემზადებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც დადებით მოვლენებს, ასევე საჭიროებებს, მტკივნეულ საკითხებს. დღესაც, სკკპ XXV ყრილობისადმი მიძღვნილ კვირეულზე, ჭიათურის თეატრმა ჩამოიტანა ალექსანდრე ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“, — სპექტაკლი ამხელს იმ მანკიერ მოვლენებს, რომელთაც ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ჩვენს ცხოვრებაში ფეხი მოიკიდეს და რომელთა აღმოს-

ფხვრასაც დღეს ცდილობს ჩვენი საზოგადოებრიობა. ავტორის მიზანია ჩავახედოს ადამიანების სულში, აგვისხნას თუ რა მიზეზებმა მიიყვანა ზოგიერთი მათგანი დანაშაულამდე, ზოგი კი — დანაშაულის ხელშემწყობ გულგრილობამდე. პიესის გმირებს ხან ერთმანეთი გამოჰყავთ სააშკარაოზე, ხანაც ისინი თვითონ ამხელენ საკუთარ თავს და ბოლოს ირკვევა, რომ უცოდველი მათ შორის არავინაა. მეგობრებსა ან თანამებრძოლთა შორის სიმართლის ძიების, ერთმანეთისა ან თვითმხილების გზით ჭეშმარიტების დადგენის ხერხი დრამატურგიაში დიდი ხანია ცნობილია და თავისი გმირების ზნეობრივი სახის საჩვენებლად ა. ჩხაიძემაც ეს ხერხი აირჩია.

„როცა ქალაქს სძინავს“ მხოლოდ სასაუბრო ტექსტზე აგებული სპექტაკლია, მოქმედება ძალზე უმნიშვნელო როლს თამაშობს ამ წარმოდგენაში, მაგრამ სპექტაკლი მაინც დინამიურად მიმდინარეობს (დამდგმელი რეჟისორი ნ. იონათა-მიშვილი, მხატვარი — ე. ჯობაძე, მუსიკა შვარცია თ. მანელაშვილმა). მაყურებელი სცენაზე ხედვას თანამედროვე ავეჯით გაწყობილ, დღევანდელი მოქალაქის ჩვეულებრივ ბინას, რომლის სარკმლებიდან მრავალსართულიანი ნაგებობები სახლები მოსჩანს. რეჟისორმა და მხატვარმა სცენური სივრცე მთლიანად ბუტაფორული დეკორაციით შევსეს და ისედაც მცირე მოცულობის სცენა საკმაოდ გადატვირთეს, რაც მსახიობებს ერთგვარად ბოჭავს. სპექტაკლი დადგმული და გაფორმებულია თეატრალური გამოხმატვლობის ტრადიციული ხერხებით, მუსიკა კი მხოლოდ მოქმედების დაწყებას გავუწყებს და სხვა ფუნქცია არ აკისრია. რეჟისორის ამოცანა, ეტყობა, პიესის პერსონაჟთა ხასიათის სწორად გახსნა იყო და არა თეატრალური ხელოვნების ეფექტური ფორმების მოხსნა და მან შესძლო კიდევ სახასიათო, პუბლიცისტური პათოსით გაქვნილი სპექტაკლის შექმნა, გმირთა ხასიათის დამაჯერებლად, სანტრეჟოდ გახსნა.

საქმეტიკალი ძალზე უბრალოდ, პირობადად იწყება და თანდათან იძენს სიმძაფრეს. ავანს-ცენაზე გაივლის ქალაქის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი სერგო ხავთასი. იგი სამსახურ-რიდან სახლში ბრუნდება და ურეგულბის არაფერს მივლის. მაგრამ მას ესტუმრება დიდი ხნის უნა-სავი სკოლის ამხანაგი, შორეული ნაოსნობის ევ-სამპქერი ტრაულერის კაპიტანი, რომელიც სამ-შობლოში შებუღებები ჩამოვიდა და სურს სა-დამო ამხანაგებთან გაატაროს. სკოლის ამხანა-გები, რომელთაც გიორგი ლევაგა ურეკავს, სერგო ხავთასის ბინაში იყრანთ თავს. მათ ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობაც აქვთ და მკობრულიც, მაგრამ არა ეროვნობრივი და ტოლფასოვანი. მათი ცოდვები მეტ-ნაკლები სიმძიმისაა, ხოლო ერთ-ერთს მათ შორის, სამშენებლო ტრესტის მმართველ, ვიქტორ ავალიშვილს იასისლის სა-მართლის დანაშაულები კი აქვს ჩადენილი. ეს ფაქტი ამხილა მძაივე ტრესტის მუშამ, ლადო-ლომინაძემ. მან ქალაქის პარტიული კომიტეტის პირველ მდივანს პარტიბიუროს დაულო და გა-ნუცხადა: არ შეიძლება მე და ავალიშვილი ერ-თი და იმავე პარტიის წევრები ვიყოთ. ყოველი-ვე ამან სკოლის ამხანაგებს შორის დაძაბული ვითარება შექმნა. მეგობრული სუფრას კი შემო-უსხდნენ, მაგრამ მათ შორის თანხმობა და ურ-თიერთგაგება აღარ სუფევს. მხიარულებას ეჭვი და უნდობლობა თორუნავს. სწორედ ამის შედეგად იწყება მათი გულახდილი საუბარი, ერთმანეთის დადნაშაულება, თვითმხილება, რაზეც ყველაზე აქტიურად ჟურნალისტი ჯანიკო ქვარიანი მო-წაწოდებს. საბოლოოდ ირკვევა, რომ ვი-ქტორ ავალიშვილს მართლაც აქვს ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული. მან მსუბუქი პრეველობის სამინისტროს თანამშრომლებს ჩა-ნთების საამქროს აშენებაში ქრთამი გამოართვა, სახელმწიფოს დაუმთავრებელი მრავალსართუ-ლიანი სასლები ჩააბარა, ობიექტებზე მკვდარი სულები გააფორმა, ერთი სიტყვით, სახელმწიფო ქონებას ითვისებდა. ვიქტორ ავალიშვილი კი, თავის მხრივ, ცდილობს ამხანაგებს კონტრბოლ-დებები წამოუყენოს. ქალაქის პარტიული კომიტე-ტის პირველმა მდივანმა იცოდა, მრავალსართუ-ლიანი სასლები რომ დაუმთავრებელი იყო, მაგ-რამ მაინც დათანხმდა მათ მიღებას, რადგან სხვაგვარად ქალაქი მშენებლობის გეგმას ვერ შესრულებდა. ბანკის მოსამსახურემ, პარმენ კა-მკამიძემაც უწყობდა, რომ საბავშვო ბაღის ასაშე-ნებელი ფულით საქმოსნები ჩანთების საამქროს აშენებას აპირებდნენ, მაგრამ მაინც მოაწერა ხელი ფულის გასაცემ საბუთს. ჟურნალისტი

ჯანიკო ქვარიანი ყველაფრის საქმის კურსში იყო, რაც კი ქალაქში ხდებოდა, მაგრამ დამნაშავეთა მხილებას მაინც ვერ ბედავდა. მილიციის გან-ყოფილების უფროსი ბეგლარ კალდავა თვალს ხუჭავდა ან, უფრო სწორად, ევერ ხედავდა, ჩან-თების საამქროში რომ ბოროტმოქმედებამ მოი-კალათეს. ამგვარად, უცოდველი და ზნერული მათ შორის არავინ აღმოჩნდა, რაც პიესის აუ-ტორის უფლებას აძლევს განაცხადოს, რომ ვინც ერთხელ შესცოდავს და საკუთარი სინდისის წინა-შე კომპრომისზე წავა, იგი მფორჯვრაც შესცო-დავა, მესამეჯვრაც.

პიესაში ცხრა მოქმედი პირია. აქედან ერთს, სერგო ხავთასის მეუღლეს, მერის (მსახიობი იზა ჯიშკარიანი) თითქმის არავითარი ფუნქცია არ აკისრია და ამიტომ მსახიობის შემოქმედებით, პოტენციალზე, ამ როლის მიხედვით, ლაპარაკი ძნელია. დანარჩენი პერსონაჟების როლის შემს-რულებელ მსახიობებს კი შესაძლებლობა ჰქო-ნდათ გამოველინებინათ თავიანთი ნიჭი და შე-ქმნათ გმირთა დამაჯერებელი, შთამბეჭდავი სა-ხეები: პიესის პერსონაჟები ხასიათით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თითოეულ მათ-განს თავისი დამოკიდებულება, თავისი შეხედუ-ლება აქვს ცხოვრებაზე და თითოეული მსახიობი მოვალე იყო ღრმად ჩასწვდომოდა პერსონაჟის ბუნებას, სწორად გაეხსნა გმირის ხასიათი, რად-გან ერთი პერსონაჟის არასწორად წარმოდგენა მთელ ანამბლოში შეიჭინდა დღისანასს. ჭიათუ-რის თეატრის მსახიობებმა ამ რთულ ამოცანას კარგად გაართვეს თავი.

ქალაქის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი სერგო ხავთასი (მსახიობი გ. მოდება-ძე) პატიოსანი კაცია, რომელსაც ზოგჯერ კომ-პრომისზე უხედავ წასვლა და ეს აწუხებს, საკუ-თარი თავის წინააღმდეგ ამტყუნებს. იგი ყუ-ლაზე ადრე ხედავს, რომ ისე მუშაობა, როგორც აქამდე მუშაობდა, აღარ შეიძლება და მიუღი თავისი საქმიანობის გადარქმისაკენ ისწრაფ-ვის.

სამშენებლო ტრესტის მმართველი ვიქტორ ავალიშვილი (მსახიობი თ. ინასარიძე) ფართო მასშტაბის საქმოსანი, ყოველგვარ მატონიკეში გაქნილი, ხელქვეითთა მიმართ დაუნდობელი, უპრინციპო, მეტრთამე, ბოროტმოქმედების გზაზე დამდგარი არამზადა, რომელიც თავის ენერჯიას და თანამედობას მხოლოდ საკუთარი ინტერე-სებისათვის იყენებს.

ჟურნალისტი ჯანიკო ქვარიანი (მსახიობი ნ. ჩაჩანიძე) ცნობისმოყვარე, ბევრის მცოდნე, ენა-მახვილი, საკუთარი ცხოვრების სისწორეში დატე-



ვებული, სისუფთავისა და განწმენდისაკენ მიმართული, განათლებული პიროვნება, რომელსაც სურს არა მარტო თვითონ განთავისუფლდეს სინდისის ქენჯნისაგან, არამედ მეგობრებიც იხსნას ამ მაკლავუნისაგან და ამიტომ სხეველ უფრო სიმართლისმოყვარული, პირდაპირი და მკაცრი. მკაცრი, როგორც მეგობრების, ასევე საკუთარი თავის მიმართაც. ნოდარ ჩაჩანიძემ ჯანიკო ქვარიანი საინტერესო, კოლორიტულ პიროვნებად წარმოგივლინა, რომელსაც სპექტაკლში სიხალისე და სიმძაფრე შეაქვს.

შორეული ნაოსნობის ვეშაპჭყერი ტრაგედიის კაპიტანი გიორგი ლეჟავა (მსახიობი თ. მალრანძე) კორექტული, ზრდილობიანი, მეგობრების მოსიყვარული, თითქოსდა უნაკლო პიროვნებაა, რომელიც სუფთა სინდისით ჩამოვიდა სამშობლოში, მაგრამ ირკვევა, რომ არც იგია უცოდველი. გვემის შესასრულებლად აკრალულ ადგილებში იჭერს ვეშაპებს, რითაც ხელს უწყობს ამ ძვირფასი ზღვის ცხოველის გადაშენებას.

სხვა პერსონაჟებიც ამ ჯურის ხალხია.

როგორც აღვნიშნეთ, პიესა მძაფრ სიუჟეტურ ქარგავსა აგებული, მაგრამ თავის თავში წინააღმდეგობრივ ელემენტებსაც შეიცავს, ზოგიერთ მტკივნეულ საკითხს ბოლომდე ვერ აშუქებს და ლოგიკურად ვერ ასაბუთებს, რაც სპექტაკლზეც ახდენს გავლენას და ერთგვარ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს. ვარდა ამისა, უნაკლო და უსარგებლო არც რეჟისორის ნაშუშევარია, არც მსატყვისისა და არც კომპოზიტორისა, ვერც ყველა მსახიობი თამაშობს საკუთარ როლს უშუალოდ, ცოცხლად, დამაჯერებლად, მაგრამ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თეატრმა მაინც საინტერესო სპექტაკლი შექმნა და იგი ჩვენი დღეების აქტუალურ პრობლემებს გამოვლენავს.

მიუხედავად იმისა, რომ პიესა მოგვიანებით ავლენს იმ უარყოფით მოვლენებს, რომლებმაც ჩვენი საზოგადოების შემოფთხება გამოიწვია, მასში დასრული საკითხები ვერ კიდევ ინარჩუნებენ აქტუალობას და რადგან სპექტაკლის გმირთა უმრავლესობას სინდისი ქენჯნისა, რადგან გზასამედარნი წარსულს გამოებნ და პატიოსანი, ღირსეული ცხოვრებისაკენ ისრუაფვიან, ავტორის ტენდენცია და მიზანი გამართლებულია.

გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ქართველ მაყურებელს პირველად გააცნო ყირაგის დრამატურგის მარ ბაიჯიევის პიესა „დღესასწაული ჩვენი სახლებში“, რომელიც ქართულად თარგმნა თ. ჯანილიძემ. ეს პიესა თეატრის შემოქმედებითა კოლექ-

ტივმა იმიტომ აირჩია დასადგმელად, რომ იგი ესმად იმ სატირბორტო საკითხებს, რომლებმაც ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მანკიერი ხასიათი მიიღო და გაიკცხას, დაგმობას თხოულობს. პიესა მფლდრამატულია, გმირთა მოქმედების არე — მუხლდელი. ყველაფერი ხდება ერთი ინტელიგენტის ოჯახის ფარგლებში, მაგრამ ტიპიურობა ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების განსოგადების საშუალებას იძლევა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ქედრადობას იძენს. ნაწარმოებში სულ თითხ მოქმედი პირია — მამა, ქალიშვილი, სიძე და მამის სკოლის ამხანაგი. ოჯახის წევრებს შორის დაძაბული დამოკიდებულებაა. ოჯახის მამა, აზატი, საშუალო ინტელიგენტია, რომელსაც სურს თავისი ქალიშვილი ცერეთწოდებულ „მადლ საზოგადოებაში“ გაეყვანოს, დისერტაცია დააცევიანოს, მატერიალურად უზრუნველყოს და ამის გამო უთანხმოება აქვს სიძესთან. სიძე პროფესიით მსატყარია, მაგრამ დიდი შემოქმედის ნიჭი არ აღმოაჩნდა, მსატყრობაში სხელი მიეცარა, ბოლის ფოტოგრაფიამ გაიტაცა და თავისი ახალი პროფესიით კმაყოფილია, ხალისით უღებს ბავშვებს სურათებს. სწორედ სიძის წარუმატებლობა, არასოლიდური საქმიანობა“ აღიზიანებს აზატს და მათი ურთიერთობა თანდათან მწვაგდება, ბოლის მიორილია, იზიარებს მის თვალსაზრისის ცხოვრებაზე და ამის გამო მასაც უთანხმოება აქვს მქმართან, რომლისაგანაც მხოლოდ ზრუნობასა და არაწესიერი გზით კეთილდღობის მოპოვებაში დახმარებას თხოულობს. აზატის სკოლის ამხანაგი, სარიმანი, პროფესორი, ქიმიის მცენიერებათა დოქტორია, რომელმაც უარყოფითი რეცენზია დაწერა მადინას მიერ წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე და აზატმა იგი სახლში მარტო იმისათვის კი არ მოიწვია, რომ ჯარი შეაკლვეყროს. უარყოფითი რეცენზიის ნაცვლად დადებითი დაწერინის, არამედ სურს საკუთარი ქალიშვილი მოაწონოს და მისთვის მფარველობა გააწვივინოს, პიესაში არის მხუთე პერსონაჟიც, რომელიც: მართალია, მოქმედებაში მონაწილეობას არ დებულობს, მაგრამ დრამატუზში სწორედ მას შემოაქვს ნაწარმოებში. ეს გასლავთ აზატის მუედლე და მადინას დედა, რომელიც ქმრისა და ქალიშვილის არაკეთილსინდისიერებამ ავად გახაზა და სასოკვილო სარეცელზე მიაჯაჭვა. ოჯახში კონფლიქტი სწორედ მას შემდეგ გამწვაგდა, როცა იგი საავადმყოფოში დააწვივნეს.

მარ ბაიჯიევის პიესა სცენურად გამართული, ლოგიკურად დასრულებული ნაწარმოებია, რაც სპექტაკლს გარკვეულ მთლიანობას ანიჭებს (და-

მდგმელი რეჟისორი გ. აბრამიშვილი, მხატვარი შ. ზუგუშვილი, ქორეოგრაფი ი. ზარდაცვი, კომპოზიტორი ა. წერეთელი). სპექტაკლი მართივით გამომსახველობითი ხერხებით, მაგრამ კულტურულად და გემოვნებითაა დადგმული. აქ ბუტაფორული დეკორაცია მსახიობებს არ ზღუდავს, მათ მობარბოს არ აბრკოლებს. სპექტაკლი მდიდარია მუსიკით. საინტერესოა დადგმული ცხველები. მხატვრისაც მონდომებით უმუშავია, ეფექტურადაა გამოყენებული განათებაც. მხოლოდ ესაა, რომ სპექტაკლის რიტმი შეწყვეტილია და დაძაბულობა ვერ აღწევს იმ კულმინაციის, რასაც მკვლადრამატული სტილის ნაწარმოები მოითხოვს.

აუტო სულდამალი, ცხოვრებისაგან შერნიებული ინტელიგენტია (მსახიობი გ. ბასიშვილი), რომელიც არაფრის წინაშე არ იხევს უკან, ოღონდ კი როგორმე საკუთარ თავსაც და შეილსაც ცხოვრება გაუადვილოს, დაუმსახურებლად მოუპოვოს შრომით მისალწვევი ღირსება და საზოგადოებრივი მდგომარეობა. მისი თესლი, ვიწრო სახე, რომელსაც კიდევ უფრო მეტ სიმახვილეს ანიჭებს სამკუთხა წვერი, გვირის შინაგანი ბუნების შესაბამის პორტრეტს ქმნის. რაც უფრო მოუსვენრად ფუსფუსებს იგი, რაც უფრო გულმოდინედ მიიწვეს მიზნისაკენ, მით უფრო გალიზიანებული, გულჩათხრობილი და ცხოვრებით უკმაყოფილო ჩანს. ეს არა მარტო მსახიობის მოძრაობებში იგრძნობა, არამედ მეტყველებაშიც, რაც სიტყვას და პლასტიკას თანაბრად ეფექტურს ხდის. გ. ბასიშვილი მეტს მიაღწევდა, ეპიზოდიდან ეპიზოდზე უფრო რიტმულად. უფრო ბუნებრივად გადასვლა რომ შეეძლოს.

პიესაში მხოლოდ ერთი ქალია გამოყვანილი. მოქმედების განვითარება მის ბედთან, მის მომავლთანაა დაკავშირებული. იგი დრამის ცენტრალური პერსონაჟია და ამიტომ მისი როლიც რთული შესასრულებელია. მაღინა (მსახიობი ქ. კბულაშვილი) განვიხილავთ, ლამაზი, პრეტენზიული ახალგაზრდა ქალია, რომელსაც მეცნიერ-მუშაკისათვის საჭირო ნიჭი არ გააჩნია, მაგრამ სურს გამეცნიერება და არა იმ ნიშნით, რომ საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოს, არამედ იმისთვის, რომ პირადი მეცნიერება მოიწყოს. აღმოსავლურ ტანსაცმელში გამოწყობილი, აღმოსავლურად მორთულ-მოკაზმული მაღინა სანთლებში შუქზე ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის წინაშე საკმაოდ ფრივოლურ ცეკვას ასრულებს და თავისი ქალური სინაჟივით მართლაც სიზღავსს სტუმარს, რითაც თავის შინაგან ბუნებას ამულავნებს და უპრინციპო, ფუქსავატი ახალგაზრდა ქალის დამაჯერებელ სახეს ქმნის. მაღინას სულში მხოლოდ მაშინ ხდება გარდატეხა, როცა დედის სიკვდილს გაიგებს და მიხვდება, რომ ამ დიდ უბედურებაში მასაც მიუძღვის ბრალი.

დაირი (მსახიობი შ. ლელაშვილი) პაკიოსანი, შრომისმოყვარე, შინაგანად ფაქიზი ახალგაზრდა კაცია, რომელსაც თავდავიწყებით უყ-

ვარს მუელზე, მაგრამ მის სიყვარულს უგულვებლყოფს როგორც სიმამრი, ასევე ცოლი. მას რცხვნივა, ოჯახის ღირსების დამცირებად მიაჩნია აზატისა და მაღინას საქციელი, მათი თვალთმაქცობა, მათი პირფერობა, მაგრამ არც იმის ძალა გააჩნია, რომ გაბედულად ამხილოს ისინი. აქტიურად აღუდგეს წინ მანკიერებს, უღირს საქციელს. იგი მხოლოდ მაშინ იმალავს ხმას, მხოლოდ მაშინ წყვეტს მათთან კავშირს და სახლიდან გარბის, როცა მეტის ატანა აღარ შეუძლია, როცა ცოლისა და სიმამრის კულვრილობამ მომაკვდავი მუელისა და დედის მიმართ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მსახიობი ცდილობს თავის გვირს სასიათის სირთულე შეუნარჩუნოს და სხვადასხვა კუთხიდან დაანახოს მაცურებულს იგი რომ ამას უფრო მძაფრად, უფრო ენერგიულად აკეთებდეს, მის მიერ შექმნილი სახე მეტად ცოცხალი იქნებოდა.

სარიმანს (მსახიობი გ. ხაჩიძე) ოჯახურ კონფლიქტთან საერთო არაფერი აქვს, იგი მხოლოდ სტუმარი და მოწვევა იმისა, რაც მისი სკოლის ამხანაგის ოჯახში ხდება და ამიტომ უფრო თავისუფლად, უფრო ლაღად გრძნობს თავს. თუ დასჭირდა, საკუთარი პოზიციის დაცვაც შეუძლია.

მარ ბაიციფვა ბიესის დანტებს სიტყვები წაუმიძვარა და ნაწარმოების ძირითადი აზრი დიდი იტალიელი პოეტის შემდეგი სიტყვებით გამოხატა:



სცენა ჰიათორის თეატრის სპექტაკლიდან «როცა ქალს სინიავს».

სცენა თელავის თეატრის სპექტაკლიდან «ალმარი-დამარი».



...რაც უფრო მეტად სრულქმნილია ბუნების არსი, მით უფრო ტკბილია განცხობა მასში, ხოლო ტკივილი უფრო ძლიერია“.

ეს სიტყვები გორის თეატრის შემოქმედებებშია კოლექტივმა სწორად გაიგო და, მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა, მაყურებელს უჩვენა საინტერესო, აქტუალურ თემაზე შექმნილი სპექტაკლი.


სერგო ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა გიორგი ხუხაშვილის პიესის „აღმართ-დაღმართის“ მიხედვით შექმნილი სპექტაკლი, რომელმაც ტაში და მოწონება დაიმსახურა. ამ სპექტაკლმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ თელავის თეატრს ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ საინტერესო სცენური ნაწარმოები შექმნას, განსაკუთრებით დღევანდელი დღის საჭიროებოთ საკითხებზე, რაც მაყურებლის აქტიურ რეაქციას იწვევს.

გ. ხუხაშვილის პიესა გმირთა ცხოვრების დიდ პერიოდს მოიცავს და ეხება ომისშემდგომი სოფლის აღმავლობას, მშრომელი ადამიანების ზნეობრივ ზრდას. პიესაში ოცნე მეტი მოქმედი პირია, თითოეულ მათგანს გარკვეული ფუნქცია აკისრია და მოქმედების განვითარებას მათი ურთიერთდა-მოკიდებულება ეპიზოდური სცენებით ამდიდრებს. როგორც ზოგიერთ სხვა დრამატულ ნაწარმოებში, გ. ხუხაშვილი აქაც მისთვის დამახა-

სიატებულ ხერხს მიმართავს და სცენაზე გამოყენებული ყველა მოქმედი, ანუ, მისი გამოთქმა რომ ვიხსნათ — ავტორი, რომელიც წინასწარ გვესაუბრება პიესის გმირთა ცხოვრებაზე, გვიხსნის დრამატულად მნიშვნელოვან ეპიზოდებს. მხოლოდ მისი კომენტარების შედეგ იწყება მოქმედების განვითარება, სიტუაციის შესაბამისად გახსნა გმირთა სასიათებისა. ავტორი პიესაში მოქმედ პირადაა ჩართული.

ომიდან სოფელში ბრუნდება ანტონ ყალიჩავა, რომელმაც ფრონტზე ხელი დაკარგა და დანებდა. სახლში მას მოხუცი დედის მეტი არაფერი ხვდება. ოჯახი გაღატაკებული, გავერანებულია, რადგან მოხუც ქალს ოჯახის პატრონობის თავი არა აქვს. ანტონი ცხოვრებაზე გულაღრუნილია, უხელობას მტკივნეულად განიცდის, ღვინოს ეტანება. ამ დროს მას შეიყვარებს საკმაოდ შეპყლებული გლეხის, იაკობ ქადაგიძის ძმისშვილი მარიამი, რომელიც ბიძისა და ბიციოლას აღზრდილია. მიუხედავად ბიძა-ბიციოლას წინააღმდეგობისა, მარიამი მანვე მიჰყვება ცოლად ანტონ ყალიჩავას და დაცემულ ოჯახს დედობით შეუდგება. ბიძა ძმისშვილს არ ცნობს, არაფერში არ ეხმარება. დიდ გამჭირვალასა და შრომისუნარიანობას ვერც ანტონი იჩენს, მაგრამ მარიამი მომავალს იმედის თვალით უყურებს და ვერავითარი გაჭირვება, ვერავითარი მითქმა-მოთქმა ვერ ახევივებს უკან. იგი გარეთაც შრომობს

სცენა გორის თეატრის სპექტაკლიდან „აღმართსა და ღმერთს“.





და შინაც, ნასვამი ქმრის უზიარებლად იტანს და დედამთილის ჭირვეულობასაც, მტკრსაც ანკარინს უწევს და მოყვარულს და, როცა სოფელი დანინასავს, რომ მარიამი გამრჯე, ქმარ-შვილის მოყვარული, დიდბუნებოვანი ქალია, დააფასებს ექვსე მარიამმა თავდასწრებოვანი შრომით ოჯახი ვეზზე დააყენა, ქმარს გული გაუმგარა, საზოგადოებისთვის სასარგებლო კაცად აქცია. მარიამის ერთი შვილი უკვე საშუალოდამთავრებულია, მაგრამ ცხოვრებას ბედნიერებასთან ერთად ზოგჯერ უბედურებაც მოაქვს თან და ბედმა ამჯერად არც მარიამი დაზოგა: მას უკვდება უმცროსი ვაჟი. მთელი სოფელი შეწუხებულია. სასოწარკვეთილია მარიამიც, მაგრამ სოფელი იმდენ თანაგრძობას უწევს, ისე გულწრფელად იზიარებს მის მწუხარებას, რომ შრომითა და შვილის დაკარგვით გატყვევებული ქალი კვლავ ენერგიულად ემბება ცხოვრების ფერხულში და თავის მოვალეობას როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე საზოგადოების წინაშეც პირნათლად იხდის. მარიამმა იცის, რომ ცხოვრება გრძელდება, მისმა ტანჯვამ და გარჯამ შედეგი უნდა გამოიღოს და როცა მისი შვილი მეზობლის ქალიშვილს შეიყვარებს, იგი უკვე ბედნიერი და ცხოვრების წინაშე ვალმოსცლია. ამ თვალთ უყურებს მას სოფელიც.

პიუხის ავტორის მიზანია დაგვიანოს მშრომელი ქალის მძიმე ხვედრი, მისი ცხოვრების აღმართ-დაღმართი და ამავე დროს გვიფხრას, რომ თუ ადამიანი გამრჯე და პატიოსანი, თუ გაჭირვებასა და უბედურებას არ შეუმინდება, ბოლოს-ბოლოს, ბედნიერებას მოიპოვებს და თავის თავსაც მოუტანს სარგებლობას და საზოგადოებასაც.

პიუსა და დავა რეჟისორმა ნ. ლორთქიფანიძემ მხატვრია და ბალარჯიშვილი, მუსიკალურად გააფორმა გ. პაპოშვილმა.

სცენა წარმოადგენს ანტონ ყალიჩავას კარმიდამოს. დეკორაცია სიმბოლური მნიშვნელობისაა, რაც სპექტაკლს უფრო კოლორიტულს ხდის და მხატვრულ ლაკონურობას ანიჭებს. სცენური სივრცის რაციონალურად გამოყენებამ რეჟისორს საშუალება მისცა თავისუფლად დაედგა სახალხო სცენები. მისივე დამსახურებაა გმირთა ხასიათის გადმოსაცემად მსახიობთა სწორად შერჩევაც. საერთო ტონი სპექტაკლისა იმედიაანი და ხალხიანია. ამას ხელს უწყობს მუსიკაც, რომელიც ყველა ცალკეულ შემთხვევაში შესაბამის განწყობილებას ქმნის. უნდა აღინიშნოს აგრეთვე მსახიობთა შეწყობილი თამაში, რაც სპექტაკლს მთლიანობას ანიჭებს და დასრულებულ სცენურ ნაწარმოებად ხდის.

მარიამის როლს ასრულებს ნაზი არავიაშვილი. ამ როლის შესრულება იმტობამა რთული, რომ პიუსაში ასახულია გმირის მთელი ცხოვრება და მსახიობს მისი ტკივილი და სისარული ცხოვრებისა ამა თუ იმ პერიოდის შესაბამისად უნდა გადმოეცა. ნ. არავიაშვილი დიდი მონდობებით, აღმაუ-

რნით თამაშობს მარიამის როლს და სათანადო შთაბეჭდილებასაც ახდენს.

ანტონ ყალიჩავა ჯერ ისევე ახალგაზრდა ბრუნდება ომიდან (მსახიობი ზ. ანთოლავა), მაგრამ მას უკვე უნახავს ფრონტების ცხოვრების საშინელება, ომის სისასტიკე, — დიჭრა, დანავალიდა და ყოველივე ამა მის სულში მძიმე კვალი დასტოვა, ცხოვრებაზე გული აუყარა, თუმცა ვერ გატეხა, ნაკაცარად ვერ აქცია. იგი თავის თავს სხვების შეუმრწმელოდ ემბძვის, სურს ოჯახს მოეცილოს, კვლავ სრულფასოვან პიროვნებად იქცეს და მარიამის დახმარებით აღწევს კიდევ ამას, მაგრამ მის სულში წარუშლელი კვალი მაინც რჩება. ზ. ანთოლავა ცდილობს სწორედ ასეთ რთულ პიროვნებად წარმოვიდგინოს თავისი გმირი, მისი შინაგანი ტკივილიც დაგვიანოს და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაც, და ამას რომ იგი უფრო ოსტატურად, უფრო თავმჯავებული, მაგრამ მძაფრი ემოციურობით აკეთებდეს, მისი გმირიც უფრო კოლორიტული და შინაგანად მდიდარი იქნებოდა.

ძალზე ენერგიული და პლასტიკურია მსახიობი თ. აღინაშვილი, რომელიც სპექტაკლში იაკობ ქადაგიძის როლს ასრულებს. იგი ძუნწი, მაგრამ მძაფრი მოძრაობებითა და ვესტებიტ გვიხსატეხს ჯიუტი, თავის სიმაართეში დაღწეწეწებულ, ქონებრივი მდგომარეობისათვის ანგარიშის გამოწვევი, შრომისმოყვარე გლეხის უხუშ ბუნებას, რომელიც ახლობელთაგან მორჩილებას და დათმობას მოითხოვს. თ. აღინაშვილის მეტყველებაც უსუსტად უნდადგება იმ გარწეწულ ფორმას, რომელიც მან გმირის ბუნების დასასატეად აიჩრია.

ქების ღირსია თინათინ ბურბუთაშვილიც. იგი სპექტაკლში ანტონის დედის, ნანას როლს ასრულებს და საკმაოდ ოსტატურადაც. მისი ნანა მძიმე შრომისაგან გატეხილი, შვილის უბედურებით დადარდიანებული, ცოტათი თილქოს ახირებული დედაცაცია, რომელიც ზოგჯერ უსაფუძლოდ უხირდება რძალს, მაგრამ ამავე დროს, ბუნებით კეთილი და ოჯახისათვის თავდადებული ქალია, შრომის უნარს, სხვებზე ზრუნვის უნარს მოკლებული, რასაც მტკივნეულად განიცდის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიუსაში ოცე მეტი მოქმედი გმირია და მთითველი მსახიობის როლს შევსებდა ერთ პატარა წერილიმ შეუძლებელია. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ შემოქმედებითი კოლექტივის ყოველი წევრის კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ თავისი მოვალეობისადმი, მათმა მჭიდრო ურთიერთ კონტაქტმა დიდად შეუწყობ ხელი სპექტაკლის წარმატებას.

საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების მსახიობის სახლის ინიციატივით მოწყობილმა თბილისისა და რაიონების თეატრების სპექტაკლების კვირეულმა, რომელიც შედგენა სკკპ XXV ყრილობას, წარმატებით ჩაიარა.

# კ. ი. ლენინი და სოციალისტური რეაქციის თეორია დღეს

ტატიანა შაროკვა

ლენინის მდიდარ ესთეტიკურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობილი საბჭოთა ესთეტიკური მეცნიერება, დღეს მსოფლიო მხატვრული პროცესების, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ახალი თავისებურებების შეკვლევართა მოწინავე რიგებში დგას. განვითარებული სოციალიზმის მხატვრული კულტურის აღმავლობის პროცესში პარმონიულად განისაზღვრება კულტურის ყველა კომპონენტი და ფუნქცია, ყალიბდება სოციალისტური რეალიზმი, როგორც ჩვენი ეპოქის მხატვრული განვითარების ძირითადი გზა. ეს კი ესთეტიკური მეცნიერებისაგან მოითხოვს ფართო მასშტაბის დასკვნებს სოციალისტური რეალიზმის ნიუგატობაზე, სოციალიზმისაკენ კაცობრიობის მისწრაფების ისტორიულ კანონზომიერებაზე, პიროვნების საზოგადოებრივი თვითშეგნების ზრდაზე.

საბჭოთა ხელოვნების ჩამოყალიბების ლენინურმა იდეურ-ესთეტიკურმა პრინციპებმა დროის გამოცდის გაუძლეს. ეს პრინციპები შთაგონებენ ჩვენი დროის მოწინავე ხელოვნების შემქმნელებსა და თეორეტიკოსებს და აიარაღებენ მათ კაცობრიობის მხატვრული განვითარების კანონზომიერების ცოდნით. თავის მხრივ, სოციალისტური რეალიზმის მიღწევები — როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც, — მოწოდებენ ლენინური ესთეტიკის დებულებათა ქვეშარტებასა და ეფექტურობას იმ ბურჟუაზიულ ესთეტიკურ სისტემებთან შედარებით, რომლებიც პრეტენზიებს აცხადებენ ხელოვნების კანონების უნივერსალურ განმარტებაზე და დღეს უკვე ესთეტიკურ აზროვნებას კულში მისჩანაწლებენ.

ლენინიზმი, რომელმაც ნიადაგი გამოაცალა მისტიკას, ირაციონალიზმს, სუბიექტივიზმს და სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების სპეციფიკური თავისებურებანი განაპირობა, მოიცავს ჩვენი ეპოქის მხატვრულ ნიშნებს, ესთეტიკური პროგრესის რეალურ ფაქტორსა და მარჯვენებებს.

ახლა, 70-იანი წლების შუა პერიოდში, მთელი მსოფლიოს ხელოვნების მოწინავე მოღვაწენი ეყრდნობიან საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების იმ შემოქმედებით მიღწევებსა და გამოცდილებას. საბჭოთა ხელოვნების ლენინური იდეურ-ესთეტიკური პრინციპების გზით რომ დამკვიდრდა. ამიტომ ამ პერიოდის ესთეტიკური მეცნიერების მიღწევათა გააზრებისას, სოციალისტური რეალიზმის თეორიის კვლევის თვალსაზრისით, რელიეფურად ვხედავთ, რომ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები დაკავშირებულია ლენინური ეს-



თეტიკური მეგვიდროების ათვისებასა და განვითარებასთან.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა ესთეტიკურ და ლიტერატურათმცოდნეობით ლენინიანას, სოციალისტური რეალიზმის თეორიას შეემატა მთელი რიგი განმარტებული გამოკვლევანი, რომლებიც გამოქვეყნდა კრებულებში „ლენინი და ხელოვნება“ (1969), „X X საუკუნის ლენინური მეგვიდროება და ლიტერატურა“ (1969), „ლენინის მიხედვით ლიტერატურის როლი“ (1969), „სოციალისტური რეალიზმის აქტუალური პრობლემები“ (1969), „ლენინი და მეცნიერების მეთოდოლოგიური პრობლემები“ (1970), „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მსოფლიო ლიტერატურა“ (1970), „სოციალისტური რეალიზმის მხატვრული ფორმის პრობლემები“ (ორი ტომი 1971) და სხვ. ამ კოლექტიური კრებულების მეთოდოლოგიური დებულებანი ნიშანდობლივია. ლენინური ესთეტიკური მეგვიდროების ცნობილი მკვლევარი ი. ბავერინი სტატიაში „სოციალისტური მხატვრული კულტურის განვითარების ლენინური პრინციპები“, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ესთეტიკის პრობლემათა, პირველ რიგში, სოციალისტური რეალიზმის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემათა, შესწავლაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ლენინიზმის იდეებს საერთოდ და არა მხოლოდ ლენინის გამოხატუებებს ლიტერატურისა და ესთეტიკის დარგში.

ერთ-ერთი კრებულის რედაქტორის, ა. ბუშინის მიზანია შეისწავლოს „დიალექტიკური აზროვნების ნიმუშები ლენინის ნაწარმოებებში“. მისი ფილოსოფიური აზროვნების ლოგიკა, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობის დასადგენად.

ჩვენი მეცნიერების ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომის წყალობით, ესთეტიკური მეცნიერება სკკპ XXIV და XXV ყრილობებს შორის პერიოდში გაძლიერდა არა მარტო საბჭოთა მკვლევარების ფუნდამენტური შრომებით, — როგორცაა ბ. სუკოვი, „რეალიზმის ისტორიული ხვედრი, ფიქრები შემოქმედებით მეთოდზე“ (მოსკოვი, 1967, 1970, 1973), ი. ბარაბაშის „ესთეტიკისა და პოეტიკის საკითხები“ (მოსკოვი, 1973), მ. ხრამჩაშვილის, „მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობა და ლიტერატურის განვითარება“ (მოსკოვი, 1970, 1974), დ. ჩხაკიშვილის, „ხალხი და კულტურა“ (თბილისი, 1974) და სხვა, არამედ, სოციალისტური ქვეყნების ესთეტიკისა და წარმოებისათვის. მაგალითად, ტ. პავლოვის

„ხელოვნების შესახებ“ (სოფია, 1974), ეგი კოსაკის „ლენინი და კულტურა“ (ვარშავა, 1970), ლ. შტოლის „ხელოვნება და იდეოლოგიური ბრძოლა“ (პრაღა, 1972), კოლექტიური კრებულები „სოციალისტური რეალიზმის თეორიისათვის“ (ბერლინი, 1974) და სხვა.

აღნიშნულ კრებულებსა თუ ცალკეულ შრომებში თავმოყრილია სოციალისტური რეალიზმის მეთოდოლოგიისა და პოეტიკის კვლევის შედეგები, განსაზღვრებანი, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებათ მხატვრული შემოქმედების არსებით კანონზომიერებათა შესახებ ლენინური კონცეფციების გაგებაში, განვითარებული სოციალიზმის ესთეტიკური კულტურის სპეციფიკის გამოვლინებაში.

60-70-იანი წლების საბჭოთა ესთეტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი მიღწევა გახლდათ იმის თეორიული შექმნა, რომ ახალი მხატვრული მეთოდის ნოვატორობა გულისხმობს რუსული კლასიკური რეალიზმის ტრადიციების კრიტიკულ ათვისებას. თეორეტიკოსებმა დაასაბუთეს მრავალმხრივულ საბჭოთა ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის აღმოცენების კანონზომიერება. ამ მეთოდისკენ მიისწრაფოდა კაცობრიობის მხატვრული აზროვნების განვითარება. აქედან გამოიკვეთა საბჭოთა მეცნიერების — ხელოვნების ისტორიკოსთა და თეორეტიკოსთა ტენდენცია — სამოლოდ გაეინადგურებინათ დიქტატორული შეხედულება სოციალისტური რეალიზმის მიერ მხატვრული ასახვის საშუალებათა „რეგლამენტირების“ შესახებ და დაედასტურებინათ სოციალისტური რეალიზმის „მრავალსიმომკველობა“, შემოქმედებითი ინდივიდუალობის სტილთა და ქანრების მრავალფეროვნება. მათი მიზანი იყო ყოველივე ეს განეხილათ ჩვენი ქვეყნის მომავალ ხალხებისა და სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურათა, აგრეთვე თანამედროვე მსოფლიო მხატვრული პროცესების განვითარების ფონზე.

„ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე დღის წესრიგში დადგა სოციალისტური რეალიზმის უფრო ღრმა კვლევის საკითხი. აღნიშნული დადგენილებისა და მთელი რიგი თეორეტიკოსების (ი. ბარაბაში, ა. ვგორივი, გ. ლომიძე, ბ. სუკოვი, ლ. ტიომფევი, ვ. შერბინი, ი. ელსბერგი და სხვები) შრომების საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებების საფუძველზე, 70-იანი წლების შემდგომ მეცნიერთა წინამშე წამოიჭრა სოციალისტური რეალიზმის თეორიის შესწავლის საკანონო პრობლე-



მები, ისტორიის განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებათა და მოთხოვნებუბათა შესაბამისად.

ამრიგად, სოციალისტური რეალიზმის იმ აქტუალური პრობლემების განხილვამაც, რომლებიც წამოაყენეს 60-70-იანი წლების ესთეტიკონებმა, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ლენინური ესთეტიკური მემკვიდრეობა მცნიერების სიახლისა და პროგრესის დაუშრეტელი წყაროა, რომ სწორედ ლენინური ფილოსოფია, ლენინური მეთოდოლოგია, სოციალური და იდეოლოგიური მოვლენების ლენინისული განმარტებანი უდევს საფუძვლად სოციალისტური რეალიზმის პრობლემატკასა და მეთოდოლოგიას.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული სიხადით უნდა გამოკვეთოთ ლენინური ესთეტიკური მემკვიდრეობის შემდეგი მხარეები: ხელოვნების მოვლენებისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა, საბჭოთა ხელოვნების ნოვატორული ბუნების განხილვა, მხატვრული თეორიის რეაქტიული რევოიზონისტული კონცეფციების მწვავე კრიტიკა და, რასაკვირველია, ყველაზე ძირითადი — ასახვის ლენინური თეორიის ღრმა შესწავლა. ლენინური თეორია, ხომ იყო, არის და იქნება ხელოვნების არსის თანმიმდევრული მცნიერული გააზრების საფუძველი.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ კონკრეტული ისტორიზმი საზოგადოებრივი მოვლენების მარქსისტული კვლევის მნიშვნელოვანი პრინციპია.

კონკრეტული ისტორიზმის პრინციპი ხელოვნების შესწავლის საქმეში განსაკუთრებულია, ვინაიდან შესასწავლი საგანი თავად ატარებს გარკვეული ისტორიული ეპოქის, სიტუაციის, ავტორის ინდივიდუალური თავისებურების ნიშნებს. კონკრეტული ისტორიზმი სოციალისტური რეალიზმის სპეციფიკის მკვლევარისაგან მოითხოვს, რომ იგი ხელოვნების საკითხებს შემეცნებელი სოციალურ-კლასობრივი პოზიციებიდან მიუდგეს, დაინახოს ხელოვნების სოციალური გენეზისი და ფუნქცია, აგრეთვე მისი როლი ყველა დროის იდეოლოგიურ ბრძოლაში. სწორედ კონკრეტული ისტორიზმის გაცდენით უნდა აიხსნას, რომ ესთეტიკოსი თავის შრომებში თანმიმდევრულად ატარებს კომუნისტური პარტიულობის პრინციპს.

ასახვის ლენინურ თეორიაში ასახებითი მნიშვნელობა ენიჭება სინამდვილის ასახვის რეალისტური მეთოდის დამკვიდრებას და არა მოდერნისტულსას. ემპირიოკრიტიციზმის, ემპირიოსიმბოლიზმისა და ნეოკანტიანელობის სხვადასხვა გამოვლინების ლენინისული კრიტიკა, აგრეთვე

ლენინის მიერ არაერთჯერ გამოთქმული მოსახრება გერცენის, ტურგენევის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩინდრინის რეალიზმზე, ბოლოს, მისი სტატები ლ. ტოლსტოის მეთოდსა და მსოფლმხედველობაზე კონკრეტულად განმარტავენ ასახვის ლენინური თეორიის თავისებურების იმის შესახებ, რომ ხელოვნება ასახავს თავისსავე საფუძველს — რეალურ სინამდვილეს.

ასახვის ლენინური თეორია შეიცავს ხელოვნების კლასობრიობისა და პარტიულობის პრინციპს. ვ. ი. ლენინი თავის სტატაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც საპროგრამო დოკუმენტია და ახალი, სოციალისტური ხელოვნების ძირითადი ამოცანების განსაზღვრავს, ხაზს უსვამს იმ დებულებას, რომ მხატვარს, რომელიც ისწრაფვის ემსახუროს რევოლუციას, ხალხს, სხვა გზა არა აქვს, გარდა იმისა, რომ ემსახუროს პროლეტარულ პარტიას, იყოს მისი დაიდი იდეების თანმიმდევრული დამცველი, აქ ერთმანეთს ერწყმის შემოქმედების პარტიულობისა და მისი თავისუფლების გზები. ვ. ი. ლენინი გასაწყალის, რომ პარტიულ შემოქმედს არ სჭირდება ამტიციოს მუშათა კლასისა და მისი პარტიის სიღიადე, ამას მისივე მართალი შემოქმედება დადასტურებს. სინამდვილე ვი კომუნისტების მხარეზეა.

კომუნისტურ პარტიულობაზე საუბრისას ვ. ი. ლენინმა, პირველმა საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, დააყენა პარტიულობისა და ობიექტური სინამდვილის, პარტიულობისა და ჭეშმარიტების ორგანული ერთიანობის საკითხი.

სოციალისტური ქვეყნების მცნიერებები, პირველ რიგში, სოციალისტურ რეალიზმში ხედავენ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან სინამდვილის ასახვის გზას, რაც თავის კონკრეტულ გამოვლინებას კომუნისტური პარტიულობის პათოსში პოულობს. სწორედ კომუნისტური პათოსი აერთიანებს ისეთ შემოქმედთ, როგორც არიან: გოჩი და მაიაკოვსკი, ბარბიუსი და ელიუარი, პიკასო და სიკეირსი, ბრეჰტი და ბქიშეთი, პროკუფევი და ბალანჩივაძე.

პარტიულობის ამ ლენინურ პრინციპში, რომელიც სოციალისტური რეალიზმის საფუძველია საფუძველია, ხედავენ საბჭოთა ესთეტიკოსები სოციალისტური რეალიზმის რევოლუციურ-გარდამქმნელი ძალისა და აქტიურობის ძირითად წყაროს.

ამრიგად, ისტორიულად სასებითი კანონზომიერია, რომ ასახვის ლენინურმა პრინციპებმა დღეს შემქმნეს სოციალისტური რეალიზმის თეორიული საფუძველი და მის განზოგადებებს პე-

რსპექტიულობა, მასშტაბურობა, ისტორიზმი შე-  
სძინეს.


ცნობილია, რომ ხელოვნების სოციალისტური პრინციპების გავრცელება (სოციალისტური კულტურის ქვეყნებიდან ლათინური ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებზე გავრცელებაც) თანამედროვეობის წამყვან ტენდენციად იქცა, ამიტომ, 70-იანი წლების პირველ ნახევარში მნიშვნელოვან მოვლენად გამოიკვეთა საბჭოთა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ბულგარეთის, უნგრეთის მეცნიერთა მიერ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის სხვა მეთოდებთან შედარების (თანაფარდობის) საკითხის ერთობლივი დამუშავება.

ამასთან, 70-იანი წლების პირველი ნახევრის მოწინავე ესთეტიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები, ხელოვნებათმცოდნეები იდეურ-მხატვრული, სოციოლოგიური და ესთეტიკური ანალიზის ლენინურ მეთოდოლოგიას ეყრდნობიან. მათ წინაშეა კვლევის ახალი სფერო — კაპიტალისტური ქვეყნების (აზია, აფრიკა, ლათინური ამერიკა, და, ბოლოს, ევროპის სოციალისტური სახელმწიფოები) თანამედროვე პროგრესულ ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის ჩასახვის, განვითარებისა და დამკვიდრების ისტორია.

ამრიგად, 70-იანი წლების ესთეტიკური მეცნიერება განაზოგადებს საბჭოთა მრავალეროვნული ხელოვნების განვითარების გამოცდილებას, სოციალისტური ქვეყნების ხელოვნების მიღწევებს, ამკვიდრებს სოციალისტურ რეალიზმს, როგორც ძირითად მიმართულებას, ჩვენი ეპოქის მხატვრული განვითარების ძირითად ხაზს, ამით იგი საშუალებას იძლევა ამოიხსნას მსოფლიო მხატვრული პროცესების კიდევ ერთი ძირითადი კანონზომიერება.

აღსანიშნავია სოციალისტური რეალიზმის თეორიის თანამედროვე კვლევის კიდევ ერთი მეთოდოლოგიური ასპექტი. ეს არის ურთიერთობანი როგორც ხელოვნების შიგნით, ასევე საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა მხარეებთან, პოლიტიკასთან — თეორიული და ისტორიული პრობლემატური შრომები თანმიმდევრულად უნდა ასახავდნენ ლენინურ მიდგომას მეტყველებასა და თანამედროვეობის გამოცდილებასთან, ტრადიციების, ხალხურობისა და ნოვატორობის საკითხებთან.

ვ. ი. ლენინი, ესეობდა რა პოლიტიკური ხასიათის ერთ-ერთ ამოცანას, მოითხოვდა პარტიულობას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც. სოციალისტური რეალიზმის თეორიის 70-იანი წლების გამოკვლევები ამხელენ ბურჟუაზიული დეიდოლოგიას, ხელმძღვანელობენ ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპით, აშკარად და შეგნებულად იცავენ სოციალიზმისა, რევოლუციისა და სოციალისტური მხატვრული კულტურის მონაპოვრებს.



ჩვენს საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონცერტს, რომელიც გაიმართა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ა. წ. 18 იანვარს. კონცერტს დირიჟორობდა კაპელის ახალი მხატვრული ხელმძღვანელის ქორმეისტრი გივი მუნჯიშვილი.

კონცერტის პირველი განყოფილება დეიშო დასავლეთეფროპულსა და რუსულ საგუნდო მუსიკას — კლასიკოსთა (ბახი, სკანდელიუსი, პერსელი, ჰაიდნი, სერტონი, კალინიკოვი), თანამედროვე კომპოზიტორთა (შესიანი, ბერტსტაინი) ნაწარმოებებსა და ზანგურ ხალხურ სი-

მღერებს. მეორე განყოფილებაში კაპელამ შესარულა სხვადასხვა თაობის თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა (შ. შვეციძე, ო. თაქთაქიშვილი, ა. მაქავარიანი, ა. ჩიქაძე, დ. თორაძე, მ. ფარცხალაძე, ო. გორდელი, ი. კეკეაშვილი) გუნდები.

გთავაზობთ საქართველოს სახელმწიფო კაპელის ხელმძღვანელის ბიძი მუნჯიშვილი და ეურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მუსიკალური განყოფილების გამგის მანანა ახმეტაშვილის საუბარს, აგრეთვე ო. თაქთაქიშვილის, ვ. ბერიძის, რ. ლალიძის, ს. ნახიძის, ნ. მამისაშვილისა და ბ. აბრამაძის შთაბეჭდილებებს.

მ. ახმეტელი:

საქართველოს სახელმწიფო კაპელას თქვენ სულ რამდენიმე თვის წინ ჩაუდგენით სათავეში და მოკლე დროში კოლექტივის შემოქმედებით წინსვლას, რეპერტუარის გადახალისებასა და გამდიდრებას მიაღწიეთ, რაც მკაფიოდ გამოჩნდა 18 იანვარს გამართულ კონცერტზე. მუშაობის პროცესში თქვენ, ალბათ, სირთულეებსაც წააწყდით. ვგულისხმობთ სამშენსრულებლო ხელოვნების იმ სარეგებს, რომლებიც კაპელის ინტენსიურ ზრდასა და განვითარებას აფერხებენ. აქედან გამომდინარე, როგორია საქართველოს სახელმწიფო კაპელის შემოქმედებითი უნარიანობა და პროფესიული დონე?

გ. მუნჯიშვილი:

მეტისმეტად არათანაბარი, არასტაბილური. მომდერდების მეტ ნაწილს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. მიუხედავად ამისა, უმრავლესობის პროფესიული მომზადების დონე დაბალია. ყველაზე სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს სოლოფეიოს უცოდინარობა, რის გამოც მრავალ მათგანს უჭირს მუსიკალური ტექსტის, მისი შინაარსის ამოკითხვა. არადა, სამშენსრულებლო ხელოვნების ამოსავალს სწორედ ტექსტის სისუსტე წარმოადგენს. სარეგების შეინიშნება ვოკალურ ტექნიკაში — დაბალია ინტონირებისა და ნიუანსირების კულტურაც... ყოველივე ეს მეტისმეტად ახანგრძლივებს მუშაობის პროცესს, მით უფრო მაშინ, როცა ეგულებით თანამედროვე კომპოზიტორთა საგუნდო მუსიკას, რომელსაც, ხშირად, საფუძვლად უდევს მეტისმეტად რთული და უჩვეულო ინტონაციური, პარმონიული თუ პოლიფონიური კომპლექსები.

მ. ახმეტელი:

რა თქმა უნდა, ამ სერიოზული სარეგების აღმოფხვრა ერთბაშად ვერ მოხერხდება. ამაზე უპირველესად, უნდა ზრუნავდეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, სადაც იზრდება იმ რესპუბლიკის მუსიკალური კადრები. მომავალმა მომდერდებამაც სწორედ კონსერვატორიაში უნდა შეიძინონ პროფესიული ჩვევები, აქ უნდა ეგულებოდნენ მუსიკალურ დისციპლინებს და არა შემოქმედებით კოლექტივში მუშაობის დროს.

საქართველოს სახელმწიფო კაპელაში კი მდგომარეობა ალბათ მაშინ გამოსწორდება, როცა კოლექტივის შემადგენლობა განახლდება და გაასალგაზრდადება. შესაძლებელია კი კოლექტივის გადახალისება?

გ. მუნჯიშვილი:

ეს ძალიან რთული ამოცანაა. საქმე ისაა, რომ ჩვენ მწველ განვიციდით პერსპექტიული პროფესიული კადრების ნაკლებობას. იძულებული ვარ კაპელაში მომდერდები კი არ მოვიწვიო, არამედ საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი. მაინაღინა, მათ ძლიერი ხმები არა აქვთ, სამაგიეროდ, იცნობენ საგუნდო ხელოვნების სპეციფიკას. ამ გზით ვფიქრობ საქართველოს სახელმწიფო კაპელის პროფესიული დონის ამაღლებას, სხვა გამოსავალს ჯერჯერობით ვერ ვხედავ.





**მ. ამბეტელი:**

კიდევ რა სირთულეებს აწყდებიან მუშაობის პროცესში?

**გ. მუნჯიშვილი:**

ესაა მიმდებარეობები, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო კავალა იმყოფება ათეული წლების მანძილზე. არა გვაქვს სამეცადინო ადგილი. დღენიადაგ საგონებელში ვარ ჩაყარდით — წინასწარ არ ვიცე, სად, როდის არ როგორ უნდა ჩატარდეს რეპეტაციები.

ეს პრობლემა დიდი ხანა გადაჭრილია მოძმე რესპუბლიკებში. სომხეთის სახელმწიფო კავალას ცალკე შენობა აქვს გამოყოფილი. ჩვენ არ გვჭირდება ასეთი დიდი ფართობი. მუშაობის ნორმალისაციისათვის საკმარისია სულ 3-4 კლასი (ჯგუფური მეცადინეობისათვის) და ერთი სარეპეტაციო დაბრაზი.

ჩემი აზრით, რეალური არ არის ის შემოქმედებითი გეგმა, რომლის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო კავალამ ყოველ სუბოში უნდა გამართოს 80 კონცერტი. ასეთი დატვირთვის დროს მეტისმეტად ძნელია სამშსრულებლო დონის ამალდება, რეპერტუარის გამდიდრება, პრემიერებისა და გასტროლების ჩატარება... 60 კონცერტი კი უკვე სასესობით რეალურია.

**მ. ამბეტელი:**

დამეთანხმებით, ალბათ, რომ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე თანდათან შეწელდა პროფესიული ქართული საგუნდო მუსიკის განვითარება. ვულისხმობ აკაპელას სტილს, რომლის ტენდენციად უნიკალური ტრადიციები შექმნილია მრავალსაგუნდო ქართული ხალხურ მუსიკაში.

მიუხედავად ამისა, ჩვენი წამყვანი კომპოზიტორები ამ ჟანრს რატომღაც სულ უფრო იშვიათად მიმართავენ, რის გამოც მან პერიოდში ვადანისაცვლა და მიეცა კარნაკიელი ცხოვრებას. ისეთი თომაბეჭდილება იქმნება, რომ ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკა არ განიცდის ევოლუციას, იგი უფრო სტიქიურად და ეპიზოდურად ვითარდება. მას ნაკლებად შეეხო ის განმანახლებლური ძიებებაც, ასე ინტენსიურად რომ მიეძალა ქართულ სიმფონიურსა თუ კამერულ-ინსტრუმენტულ მუსიკას.

ალბათ, ეს ვითარებაც ართულებს საქართველოს სახელმწიფო კავალის მუშაობას ეროვნული რეპერტუარის სტაბილიზებისა და გამდიდრების თვალსაზრისით.

**გ. მუნჯიშვილი:**

საშუალოდ, ასეა. აკაპელას სტილით დაწერილი ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკა მეტისმეტად მცირერიცხოვანია. ეს პარადოქსული და დამაფიქრებელი ფაქტია, ვინაიდან ჩვენს ხელთ არის ისეთი განძი, როგორცაა ქართული ხალხური საგუნდო შემოქმედება, რომელიც ქმნის უმდადრეს ნიადაგს ამ ჟანრის განვითარებისა და წინსვლისათვის.

ძალიან მიკვირს — ჩვენს პროფესიულ საგუნდო მუსიკაში რატომ არ ხდება ამ უნიკალური ეროვნული ტრადიციების ათვისება და განვითარება? განა საგუნდო ხელოვნება რამეთი ჩამოუვარდება სიმფონიურსა თუ კამერულ-ინსტრუმენტულს? განა რომელიმე ინსტრუმენტი შეედრება ადამიანის ხმას?

საგუნდო მუსიკის გამომოსახველობის ამოუწერავი ლეგები ვაჩანია, რაზედაც ისევე და ისევე ქართული ხალხური სიმღერა მეტყველებს. პროფესიული ქართული საგუნდო ხელოვნებაში ჯერ არაფერი შექმნილა მისი სადარი. გამოხალისიანია ნიკო სულხანიშვილი, რომელმაც დაგვიტოვა უბადლო შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

თქვენ საესეობით სწორად აღინშნეთ, რომ ჩვენს პროფესიულ საგუნდო ხელოვნებას არ განუვანია ეროვანი განვითარების პრეკისი. ნ. სულხანიშვილის შემდეგ ამ ჟანრს მიმართავენ დასდენ გამოწინილი კომპოზიტორები — შ. შველიძე, ა. მარჯავანიანი, თ. თაქთაქიშვილი, რ. ლალიძე, ა. ჩიმაკაძე... მათ შექმნილი აქვთ აკაპელას სტილის მაღალმხატვრული გუნდები, მაგრამ ეს არ კმარა იმ დიდი ინტენსივობის ამოსახველად, რომელიც მოიცავს პერიოდს სულხანიშვილიდან დღემდე.

**მ. ამბეტელი:**

ეს ცალკეული გამონათებებია, რომლებიც არ ქმნიან ამ ჟანრის განვითარების უწყვეტ ჯაჭვს. ამიტომ გვიძნელდება ეტაპების გამოჯება. ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკაში ძნელია იმ იდეურ-ესთეტიკური ტენდენციების გამოყოფა, იმ სტილისტურ-ტექნოლოგიური პროცესების აღნიშვნა, რომლებიც დამახასიათებელი იყო ამა თუ იმ პერიოდის ქართული საბჭოთა მუსიკისათვის.

უკანასკნელ ხანებში ცვლილებები აღინშნება. ამაზე მეტყველებენ ი. კეკელიძის ციკლები, ი. კეკელიძემ მიავრთ საგუნდო ინსტრუმენტობის ახალ ხერხებს, შეიმუშავა ხალხურ მასალასთან მიდგომის თავისი მეთოდი და დაადგა კიდევ ეროვნული საწყისების თრიგინალური მოდიფიცირებისა და გათანამედროვების გზას. მთავარი კი ისაა, რომ მის შემოქმედებაში ტექნიკა ემსახურება მხატვრული იდეის ხორცშესხმას. იგი საუკლებია და არა მისაზნი.

ი. კეკელიძის საგუნდო შემოქმედება აღბეჭდილია პოეტურიობითა და შინაგანი ჰარმონიულობით. ამ თვისებებმა მთელი სისასებით იჩინეს თავი მის უკანასკნელ საგუნდო ციკლშიც „ძველი თბილისის სიმღერები“, სადაც კომპოზიტორმა პოეტისაყიის გზით ქალაქური ევოლუციის პოპულარულ ჰანგებს მკვეთრად შეუცვალა იერი — ინტიმური მგრძობელობა ზოგან გადაზარდა ამალღებულსა და ნატივ ლირიზმში, ზოგან—გროტესკსა და მახვილგონიერულ იუმორში. თანაც ისე, რომ არადა დაზიანებულა ხალხური მუსიკის განუყოფელი კოლორიტი, არსად გამარყვებულა ქალაქური ყოფის ამსახველი სურათები, არ შელახულა ძველებური ყაიდის ღირსებები.

ერთი სიტყვით, ძველი თბილისი დანახულია თანამედროვე ადამიანის თვლით, მისი სახეები გაცოცხლებულია თანამედროვე ოსტატის ხელით.

**გ. მუნჯიშვილი:**

ჩემი ღრმა რწმენით, ი. კეკელიძე საგუნდო მუსიკისათვისაა დაბადებული. ესაა მისი მოწოდება, მისი სტიქია. მას აქვს საგუნდო საციციციის შეგრძობის თანდაყოლილი ნიჭი და უნარი. ამიტომაც, მან უფრო ინტენსიურად უნდა იმუშაოს სწორედ ამ ჟანრში.

ი. კეჭყაყმაძის ახალი ციკლი მთელი ქართული მუსიკის მონაპოვარია. ჩვენ არ მოგვეგონება ქალაქური მუსიკალური ნასალის ასეთი ორიგინალური გადაზრების სხვა ნიმუში. ამით ი. კეჭყაყმაძემ სრულიად ახალი ინტანაციურ-პარმონიული პლასტი შემოიტანა თანამედროვე ქართულ მუსიკაში. სიახლე განაპირობა არა მარტო თანამედროვე ტექნიკამ, არა-ნედ კომპოზიტორის შემოქმედებითა ინდივიდულობამ, მის-ბა ტალანტმა, უაღრესად დახვეწილმა გემოვნებამ.

მთავარი კი ისაა, რომ ი. კეჭყაყმაძის შესისხლბორცებული აქვს ქართული ხალხური მუსიკა, რაც დღეს შვიათად ახასიათებთ ახალგაზრდა კომპოზიტორებს.

მას შეუძლია ქართულ საგუნდო მუსიკაში მთელი ეპოქის შექმნა და, მე მჯერა, რომ ნსწორედ ი. კეჭყაყმაძე მოახდენს წლების მანძილზე დაკარგული შესაძლებლობების კომპენსირებას.

სამწუხაროდ, სხვა ახალგაზრდა კომპოზიტორები ჯერ-ჯერობით არ იჩენენ ინტერესს საგუნდო მუსიკაში. შესაძლოა იმიტომაც, რომ ამ ჟანრს ყურადღებას არ აქცევენ ჩვენი კონსერვატორიის პედაგოგები, — სტუდენტ-კომპოზიტორებს არ ასწავლიან საგუნდო მუსიკის სპეციფიკას, არ აცნობენ ამ ჟანრის ლიტერატურას.

**მ. ახმეტელი:**

როგორია საქართველოს სახელმწიფო კაპელის უახლოესი შემოქმედებითი გეგმები და ამოცანები?

**გ. მუნჯიშვილი:**

ჩვენი უმათიესი მიზანია ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკის პროპაგანდა ფართო მასშტაბით, რაც სტიმულს მისცემს ამ ჟანრის განვითარებას. დღეს ჩვენს ხალხურ მუსიკას მზრუნველობა არ აკლია. ახლა მას მზარდი უნდა ამოუყენებთ პროფესიული საგუნდო შემოქმედება. განზრახული მაქვს ყოველ სესონში გაგმართო ორი კონცერტი, რომლებზე-დაც შესრულდება მხოლოდ ახალი ქართული ნაწარმოებები, რათა დამყარდეს კონტაქტი კაპელას, კომპოზიტორსა და მსმენელს შორის. ასეთი ურთიერთკავშირის გარეშე ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრება ვერ განვითარდება.

ჩვენს ამოცანას შეადგენს აგრეთვე საზღვარგარეთის, რუსული და საბჭოთა მუსიკის პროპაგანდა. ვგულისხმობ რიგობრივ კლასიკურ მემკვიდრეობას, ისე თანამედროვე საგუნდო მუსიკას, სადაც ძალზე საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. ამ სფეროში განსაკვირვებელ შედეგებს მიაღწიეს თანამედროვე ფრანგები და ამერიკელები კომპოზიტორები.

ძალიან მინდა გაგმართო ციკლიური კონცერტები, რომელთა პროგრამაში შევა ძველი საგუნდო მუსიკა, როგორც ბაზამდელი ეპოქის, ასევე ბაზის ნაწარმოებები და ა. შ.

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად კი შევასრულებთ დიდ ტილოებს — კანტატა-ორატორული ჟანრის ნაწარმოებებს.

ამ სფეროშიც არჩევანი მეტისმეტად ფართოა. ერთი სატყვიით, შეეცდებით უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გაგზადოთ ჩვენი კოლექტივის შემოქმედებითი ცხოვრება.

**ოთარ თაქთაიშვილი:**

საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონცერტმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. იმედი მომივა, რომ ჩვენ სულ მალე ნამდვილი კაპელა ვეყვითლება.

გივი მუნჯიშვილი ნიჭიერი და საინტერესო მუსიკოსია. მან მოკლე დროში შეგვიჩვენა რამ ახალი შეიტანა კაპელის შემოქმედებაში. ამაზე მეტყველებს თუნდაც თანამედროვე საგუნდო მუსიკა, რომელიც კოლექტივმა მაღალ დონეზე შესარულა.

ძალიან გაბახარა ი. კეჭყაყმაძე თავისი ახალი გუნდებით. ეს ნიჭიერი კომპოზიტორი თავისუფლად ფლობს თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკას. მთავარი კი ისაა, რომ მას აქვს საკუთარი და კუმპოზიტორულ-რუსული დამოკიდებულება როგორც ახალი ტექნოლოგიური ხერხებისადმი, ისე ეროვნული საწყისებისა და ხალხური მასლის მიმართ. ამიტომაც მისი გუნდები ასეთი ცოცხალი და ხალისი, ეს თვისებები ი. კეჭყაყმაძე ვამთავობს წინამორბედ საგუნდო ციკლში („ფშაური იდილიები“), რომელიც ასევე ძალიან მომწონს.

კონცერტზე მალაღმატებულად შესრულდა შ. მშველიძის შესანიშნავი „ფშაურები“, რომლის სოლო პარტია მშვენიერად იმღერა ირაკლი მათიკაშვილმა.

კაპელამ რატომაც ზოგიერთი გუნდი (მათ შორის ბაზის ნაწარმოებები) ფორტეპიანოს თანხლებით შესარულა, რაც არაა მიზანშეწონილი, რადგან საგუნდო სიმღერა და ფორტეპიანო ვერ ეთესიებიან ერთმანეთს. უჭირბესი იყო ბაზის ნაწარმოებთა შესრულება ორლანოს თანხლებით, მით უფრო, რომ კონცერტი ჩატარდა კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც ორლანოა აღმართული.

ჩვენი ვაღია დაეხმაროთ საქართველოს სახელმწიფო კაპელას, შევექმნათ ყველა პირობა მუშაობისა და წინსვლისათვის. ამისათვის კი ჩვენმა კომპოზიტორებმა მას არ უნდა მოახვიონ საეკო ხარისხის დიდი ფორმის ვოკალურ - სიმფონიური ნაწარმოებები. კაპელა ფაქიზი „ინსტრუმენტია“. მისი რეპერტუარის საფუძველს უნდა ქმნიდნენ აკაპელას სტილით დაწერილი გუნდები...

იმედი მაქვს, რომ საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონცერტება დიდ თანამოხილს ჰპოვებენ მსმენელში, რომლის თანაგრძნობა და მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ამ კოლექტივის წინსვლას, დაჩქარებს მის განვითარებას...

## ზუზუნ ბერიძე:

ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ს. კეჭაყაძის „ძველი თბილისის სიმღერების“ ციკლმა. თვითონ რომ ამ მომეხმინა, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ერთსადაიმევე კონცერტში შეიძლება მოისმინო — და ეს სრულიად ბუნებრივად გეჩვენოს — ზახის „მაგნიფიკატი“ და საველი ნაწარმოები დაწერილი „აქაქელანისა“ და „ახ, თვლებო, თვლებო“ თუკახე. მაგრამ ნამდვილ ტანჯვას ბევრი რამ ძალუხს. ამ თემატის პრიმიტულ თემებზე, რომლებიც ადვილად შეიძლება იქცას იაფფასიანი ეფემტების საფუძვლად, შექმნილია სრულიად ახლებური, გრამატიკული, მახვილკონიური, მკაცრი დეტალები მუსიკა, რომელსაც აუღვლეზბლად ვერ მოისმენ.

გამოცა კომპოზიტორის ვირტუოზულმა ისტატობამ — გუნდის შესაძლებლობათა (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის უცნობ შესაძლებლობათა) მაქსიმალურად გამოყენებამ, უსახვლო ტემპრულმა სიმდიდრემ და ფერადობებამ. თანაც, ეს ვირტუოზულმა თვითმზნად არ არის ვადატული, ყველგან ემსახურება ემოციურ გამომსახველობას. „კეჭაყაძის“ იშვიათი სიმახვლითა და ეუმორიკითა დაწერილი — ყველა დიმიდიორეული და სახეგაბრწყინებელი უსმენდა მას; „უნეც გაიგებს ჩემს სიმღერას“ (იეთიმ-გურჯის სიტყვებზე) — ნამდვილ დრამატულ ძალას აღწევს.

ჩვენმა კავლამ, რომლის მოღვაწეობასაც დიდი ხანი ვადევნებ თვალს, იმ დღეს განსაკუთრებით გამოირჩინა თავი სწორედ ს. კეჭაყაძის სიუიტის შესრულებით. ჩემთვის დიდად სასიხარულო იყო ეს მეორე აღმოჩენა — ლობთარი მუნჯიშვილი, რომელმაც სეროზული, მაღალი პროფესიული დონის მუსიკოსის შთაბეჭდილება დატოვა.

მოუთმენლად ველო, როდის შეასრულებს კაპელა ს. კეჭაყაძის საველი სიუიტას მთლიანად. კომპოზიტორსაც და ლობთარსაც გულით ვულოცავ.

კეჭაყაძის საველი ციკლი, რომელმაც ვადავიშვალა სრულიად ახალი სამყარო. მიუხედავად იმისა, რომ მას საველად პოპულარული ქალაქური სიმღერები დავდო. ი. კეჭაყაძემ ეს მასალა გააკვირვებინა, აიყვანა მაღალი ესთეტიკური ხარისხი. ამით იგი დაუპირისპირდა თანამედროვე ქართულ ესტრადას, რომელმაც ასე ვაცითა, გააყალბა ძველებური თბილისური პასეები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქური ფოლკლორის ტრადიციები დიდი ხანი აღარ შემოჭრილა ქართული პროფესიული მუსიკის „სეროზულ“ ენარგში. თუმცა ეს პრატიკა ყერ კიდევ ჩვენმა კლასიკოსმა — ხ. ვალიაშვილი, დ. არაქიშვილი, ვ. დოლიძე — დანერგეს. ეს ტრადიცია ვაგრძელოდა ა. ხანაჭირიანის შემოქმედებაში, რომელიც გამსჭვალულია თბილისური მუსიკალური ფოლკლორის ათვისებისა და გარდაქმნის შესანიშნავი მაგალითებით.

ი. კეჭაყაძე პირველია, რომელმაც ეს ვაუშეორებელი, უარესად კოლორიტული მასალა გამოიყენა პროფესიულ საველი შემოქმედებაში, მან შექმნა ემოციური, პოეტური, ქეშმარტივად ეროვნული და თანამედროვე ნაწარმოები. სწორედ ასე უნდა თანამედროვე ტექნიკის, ხალხური მასალისა და საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ერთმანეთთან დაკავშირება.

ი. კეჭაყაძეზე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებ. მისგან ბევრს ველო. იგი ამ ურთულესი ჟანრისათვისაა მოწოდებული.

## სულხან ნასიძე:

ჩემთვის საქართველოს სახელმწიფო კაპელის ამასწინანდელი კონცერტი იმიტომ იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ მუსიკოსთა ახალგაზრდა თაობის ორმა წარმომადგენელმა — კორმისტრმა გვი მუნჯიშვილმა და კომპოზიტორმა იოსებ კეჭაყაძემ სრულად გამოაჩინეს თავიანთი ნიჭი. მათი ხელოვნება აბმტედილი იყო არტიტული მომზიდველობითა და პროფესიული ისტატობით.

გ. მუნჯიშვილმა ნაყოფიერად იმუშავა კაპელასთან და მოკლე დროში სათანადო შედეგებსაც მიაღწია. კაპელამ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა, დასძლია ურთულესი პარტიტურები, რომელთა უმრავლესობა კონცერტზე საინტერესოდ შესრულდა. კოლექტივი ისწავლის ავადემიკოსობისკენ, მოქნილი და ვაიმასხველი ნიუანსირებისკენ, ბევრი და წარმოქმნის კულტურისაკენ. ამ თვისებების დამკვიდრების ტენდენცია აშკარაა, საჭიროა მათი ვანითარება. საველო ტესიტურის ზოგეირი მონაკვეთში ფლერალობს ყერ კიდევ აკლია კომპაქტურობა და სიმყარე.

ამ კონცერტზე კიდევ ერთხელ დავინახეთ თვალნათლივ ეს მაღალი შედეგი, რომელიც ქეშმარტივ შემოქმედებით თანამეგობრობის ახლავს ხოლმე. ნიჭიერად დაწერილი მუსიკა მხოლოდ მაშინ ახუნს ეფემტს, როცა მას ზოგეირი ინტერპრეტატორი გამოუჩინდება. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ი. კეჭაყაძის ხუთ პარაფრაზს ციკლიდან „ძველი თბილი-

## აკვავ ღლიძე:

დიდი ტრადიციები აქვს საქართველოს სახელმწიფო კაპელას. მისი შემოქმედებით ბიოგრაფია დაკავშირებულია გ. ხახანაშვილის, თ. თაქთაქიშვილის, ჯ. კახიძის, გ. ბაქრაძის სახელებთან... დღეს მათ მიერ ვაკვალულ ზახს აგრელებს ნიჭიერი კორმისტერი გვი მუნჯიშვილი, რომელმაც ძალზე სეროზულად, ემთუხარებით, შემოქმედებით ვატალებით მოჰკიდა ხელი ქართული საემსრულებლო ხელოვნების ამ მეტად საასუსხისმგებლო უზანს.

საქართველოს სახელმწიფო კაპელამ ახალი ცხოვრება დაიწყო. შეიცვალა მისი დამოკიდებულება მუსიკასადმი, საემსრულებლო ხელოვნების ამოცანებისადმი, ამიტომაც კონცერტზე ვარგად ცნობილი ნაწარმოებებიც კი ახლებურად აჟღერდა.

იმ საღამოს ქართველი კომპოზიტორის ნამდვილ აღმოჩენად იქცა კომპოზიტორ იოსებ



სის სიმღერები“<sup>1</sup>, რომლებიც კავლამ გ. მუნ-  
ჯიშვილის ღირსიერობით ბრწყინვალედ შეა-  
სრულა.

ი. კეჭუყაძის ახალი საგუნდო ციკლი სე-  
ციალური მსჯელობისა და განხილვის საგა-  
ნია, კომპოზიტორმა განამკვიდრა საგუნდო  
ტექნიკის ფლობით, კოლორიტისა და ფაქ-  
ტურის საოცარი შეგვიზნებით, ოსტატობითა  
და მაღალი გემოვნებით, რააც ძველი თბი-  
ლისის ფოლკლორულ სახეებს სრულად ახ-  
ლებური ეროფერია მისცა. ეს ციკლი დასაბამს  
აძლევეს ეროფერული პროფესიული საგუნდო  
მუსიკის ახალ ეტაპს, იგი მთელი ქართული  
მუსიკის შენამენია.

კონცერტმა დიდი იმედება ჩაუტანა. მან  
დაგვანახა საქართველოს სახელმწიფო კაპე-  
ლისა და ქართული საგუნდო მუსიკის ხათუ-  
ლი პერსპექტივები, რაც ძალზე სასიხარუ-  
ლოა.

### ნორა მაისაშვილი :

ხშირად ვამბობთ — კონცერტმა კარგად  
ჩაიარაო. ეს გამოთქმა ზუსტად გამოხატავს  
ვითარებას, რადგან ხშირად წარმატებით ჩა-  
ტარებულ კონცერტს უყვალოდ ჩაივლის  
ხოლმე.

სწავლავარი იყო საქართველოს სახელმწიფო  
კაპელის კონცერტი, იგი არა მარტო წარმა-  
ტებით ჩატარდა, არამედ მუსიკალურმაზში ჩაგ-  
ვრჩია, რადგან დიდი გზის დასაწყისს გვეუწყა.  
კონცერტი გამოირჩეოდა მრავალფეროვანი  
პროგრამით, საიდანაც გამოჩნდა რეპერტუა-  
რის გაფართოების თამაში ცდა, შევიგრძენით  
და დავინახეთ ის რთული ძიებები, რომლე-  
ნიც სამეცნიერო-მუსიკალურ დონისა და ხარისხის  
ამაღლებისაკენა მიმართული.

მართალია, კაპელის სამეცნიერო-მუსიკალურ  
ხელოვნებაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანე-  
ლები — საერთო ჩმოვანებას აცლია კომპაქ-  
ტურობა, მამაკაცთა გკუფებასა და სოლისტთა  
ხმებს გამოიყრება სჭირებნათ, სასურველია  
ანსამბლის მეტე მოქნილობა და ა. შ. მაგრამ  
ნაკლოვანებები ფერმკრთოლდებიან იმ ნაყო-  
ფიერი და სერიოზული მუშაობის ფონზე,  
რომელიც გ. მუნჯიშვილმა ჩაატარა.

ემოციურად, გატაცებით მთორდა კავლა  
ზახის უროულეს პოლიფონიურ ნაწარ-  
მოებებს, სკანდელიუსის, პერსელის, ჰაიდნის,  
სერტანას, კალინიკოვის, მესიანის, ბერსტა-  
ნის ნაწარმოებებს, ზანკლ სიმღერებს, ქართ-  
ველ კომპოზიტორთა — შ. მშველიძის, ო.  
თაქთაქიშვილის, ა. მაჭავარიანის, დ. თორა-  
ინის, ა. ჩიმაქაძის, მ. ფარცხალაძის, ო. გორ-  
დელის გუნდებს. ი. კეჭუყაძის „ძველი თბი-  
ლისის სიმღერებმა“<sup>2</sup> კი ნამდვილი ფიერვერ-  
კი დატრიალეს. მრავალფეროვნებაც ამას  
ჰქვია, მაგონდებია ი. სტრაინსკის ნათქვამი  
— პროფესიონალიზმი რეპერტუარის ვარე-  
შე არ არსებობს.

მისასალმებელია, რომ გ. მუნჯიშვილმა  
სწორედ რეპერტუარის გაფილტვებით დაი-  
წყიო თავისი მოღვაწეობა. მკერა, რომ ეს ზნა,  
საქართველოს სახელმწიფო კაპელას სამეც-  
ნიერო-მუსიკალურ ხელოვნების მწვერვალებთან მი-  
ყვანს.

### ბინია კვიციანი :

მისასალმებელია, რომ საქართველოს სა-  
ხელმწიფო კაპელას სთავეში ჩაუდგა საგუ-  
ნდო ხელოვნების შესანიშნავი წარმომადგე-  
ნელი, ნამდვილი მუსიკოსი-პროფესიონალი  
გივი მუნჯიშვილი. იგი მოწოდებითაა ლტ-  
მბარი. შესანიშნავად იცნობს მუსიკალურ ლი-  
ტერატურას, საგუნდო ხელოვნების რთულ  
სპეციფიკას, ადამიანის ხმის ბუნებასა და  
გამომსახველობით რესურსებს. გ. მუნჯიშვი-  
ლი მუსიკოსი-არტისტიცაა. მან ნამდვილი  
შთავიზებით, მულეგარებით ჩაატარა თავისი  
პირველი კონცერტი, რომელზეც საქართვე-  
ლოს სახელმწიფო კაპელამ თვისობრივი ვანა-  
ხლება გამოამოქმედა. ნაწარმოებთა დიდი ნა-  
წილი მაღალ დონეზე შესრულდა. თვალსაჩინო  
ყო ინტონაციის სისუსტე, ხატოვანება,  
სტილის შეგრძნება, მუსიკალური სახეების  
გამოყვეთის უნარი...

ამჯერად აღინიშნავ მოვლოდ იმ ნაწარმოე-  
ბებს, რომელსაც კიდევ ესაქართვებთ და-  
წევა. ასეთია ბახისა და მესიანის გუნდები;  
ღათი შესრულება მოითხოვს ნიუბანსიერების  
მაღალ ტექნიკას, ტემპრული პალატრის გან-  
საკუთრებულ ფერადობებს. საერთოდ,  
კაპელამ უნდა იზრუნოს სწორედ ნიუბანსის  
გამდიდრებაზე... მისასალმებელია, რომ კონ-  
ცერტის ერთი ვანყოფინა მთლიანად დე-  
იმიო ქართულ საგუნდო მუსიკას, ჩვენი კომ-  
პოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებებს,  
რომელთა შორის განსაკუთრებული შთაბეჭ-  
დილება დასტოვა შ. მშველიძის „ფშურბა“.

ამ კონცერტზე შესრულდა ხუთი პარაფრა-  
ზი ი. კეჭუყაძის ციკლიდან „ძველი თბილი-  
სის სიმღერები“, რომლებიც, პირადად ჩემ-  
ზე, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს, ნამ-  
დვილი აღტაცება განვიცადე. ი. კეჭუყაძემ  
გამაოცა თავისი ნიჭით, უკმარაბით პროფე-  
სიონალიზმით, მაღალი გემოვნებით, ტექნი-  
კით, საგუნდო ხელოვნების თავისებურებების  
სრულიად ახლებური და ორიგინალური ვაგ-  
რებით. ი. კეჭუყაძის დიდ წარმატებულ მე-  
ტყველებზე აღდებობის რეაქცია, ეს იყო  
ნამდვილი ტრიუმფი... ქართული მუსიკის  
შეიმტა შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც  
პირნაოლად წარსდგება საბჭოთა და საერთა-  
შორისო ასპარეზზე.

ი. კეჭუყაძემ ქართული ქალაქური ფოლ-  
კლორის მასალაზე შექმნა ნამდვილი სპექტა-  
კლი, დახვეწილი და თეატრალური მუსიკა,  
რომელშიც არაფერია ზედმეტი, გამარულ-  
ბულია ყოველი ბგერა, თითოეული ინტონა-  
ცია. ამიტომამა მისი მუსიკაც ასეთი ბუნებრი-  
ვი, წრფელი, ადამიანური...





# ტელევიზიის პროგნოზი სოციალურად

სანდრო თუმშალიშვილი

„ტელევიზიის ან სამუდამოდ დაამსხვრევს ჩვენი მულტრობას, ან დაგვებზარება მის მოპოვებაში...“

ი. შაიძე.

ტელევიზიის, XX საუკუნის უდიდეს საოცრებას, მომხრევი ნრავალი ჰყავს და მოწინააღმდეგეც. ზოგი მას „ჯადოსნურ, გარე სამყაროში გაჭრილ სარკმელს უწოდებს“, ზოგი — „ბრიყუების ყუთს“. „ის მიგვაქანებს კულტურის ნივთიერებისაკენ. აზროვნების სტანდარტიზაციისაკენ!“ — ამბობენ ერთნი. „წიგნის საბჭედი დაზვის გამოგონების შემდეგ ტანდავყენა უდიდესი კულტურული რევოლუციის წინაშე“ — პასუხობენ სხვანი.

„ტელევიზიამ იაპონია ას მალიონ სულელად აქცია“ — აცხადებს სანტი თია — იაპონელი საზოგადო მოღვაწე.

— „ტელევიზია კულტურისა და ინფორმაციის გავრცელების, დასვენების ბრწყინვალე საშუალებაა“ — ამბობს ახდრე დილიჯანი — ფრანგი პუბლიცისტი.

„ტელევიზია — სისულელეებისა და თქმობების ღმონსტრაციაა“ — ცხარობდა ანა მანინა.

„ტელევიზია მსოფლიო მასშტაბის გამოგონებაა. იგი გლასწავლის ამ მასშტაბით აზროვნებას“ — ეს სიტყვები ეკუთვნის — ეი-ბი-სის! პრეზიდენტს ოლივერ ტრევისს.

ძნელია, დაფთანხმით ტელევიზიის მიმართ გამოთქმულ ასეთ კატეგორიულ განცხადებებს, ისევე, როგორც ე. უაიტის „წინასწარმეტყველებას“ — „ან ჩვენ, ან ის“. ალბათ, ყველაზე მისაღებია „ტელევიზია — ჩვენივის, ჩვენიან ერთად“. ერთი კი უდავოა — ტელევიზიის გავლენა საზოგადოებაზე დიდადღს და კიდევ უფრო დიდია იქნება მომავალში.

რამი მდგომარეობის ამ „გავლენას“ არსი, როგორია მისი სწორად წარმართვის ზუსტი ფორმები, რა კანონზომიერებას ემორჩილება იგი — ამაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ხელთ გვექნება ტანდავყენების „უკუგაგონის“ შედეგები, როცა ზუსტად გვეცოდინება,

ენტა, ეთერში გავზაენილმა სიტყვებმა მიაღწია თუ არა დასახულ მიზანს. ყოველგვარი ფსევდო „ეთერშიმობსოფუნელობის“ გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ცნობები ჩვენ თითქმის არ გავგაჩნია. სამწუხაროდ, ტელეკომუნიკაციის ჩვენი სოციოლოგიური კვლევის „ეთერ ლაქად“ რჩება. ერთია, დაფთვალთ გაყიდული ვაჭურების, კინოს ბილეთების, წიგნების რაოდენობა, მეორე — გაევიტო — რამდენმა კაცმა უყურა ტელეგადამცემს, რომელი პროგრამა ნახა და როგორ მიიღო იგი. დღეს აღარ შეიძლება ხელმძღვანელობა ოდესღაც ჰრინციკში აყვანილი ფორმულით: რეგისტრირებული ტელემომცემების რაოდენობა  $\times 4$  (საშუალო ოჯახი) = მაცურებელთა რიცხვს, ისევე როგორც არ შეიძლება უკუგაგონის ჩვენში გავრცელებულ ძირითად ფორმაზე — მაკურებელთა წერილზე დაყრდნობა. ეს წერილები არ ჩაითვლება ტელეკომუნიკაციის რეაქციის საზომად მათა სტიქიური, თვითწარმოშობად ხასიათის გამო. სტიქიური რეაქცია იმდენად ცვალებადია, იმდენად ემოციური და არაკვალიფიცირებულია, რომ მის საფუძველზე რაიმე დასკვნების გამოტანა არამც და არამც არ შეიძლება. სანამ ეს ასე იქნება, ეკრანიდან წარმოთქმული სიტყვა დარჩება ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა...“

არცთუ ისე შორსაა დღე, როდესაც კოსმოსური სატრანსლაციო თანამგზავრების საშუალებით პრაქტიკულად შესაძლებელი გახდება რეგულარული „ტელეკავშირი“ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან. ბურჟუაზიული სოციალოგები „კოსმოსგავში“ „კომუნისტურა იდეოლოგიის გავრცელების“ უდიდეს საშინოებას ხედავენ და, ამიტომ, დიდად ხანია, რაც შეუდგნენ „ტელეკავშირების“ პოლიტიკას, რაც მაცურებლის შესწავლათ დამოწმებს. წლების განმავლობაში ჩანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში შექმნა ფართო

ქსელი სპეციალური უწყებებისა, რომელთა მუშაობაზე „ტრიპიური ტელემაყურებლის“ ჩამოყალიბებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ადამიანის მსოფლმხედველობის ფორმირება დიდად არის დამოკიდებული გარეშე ფაქტორებზე. ოჯახი, პედაგოგები, კოლეგები, მეგობრები და ა. შ. XX საუკუნეში პრესის, კინოს, რადიოსა და განსაკუთრებით — ტელევიზიის დახმარებით ბიროვნების ფორმირების ათაკეები კიდევ უფრო მეტად ვადასცა საზოგადოების მმართველ კლასებს. ბურჟუაზიული საზოგადოების იდეოლოგიაში, კოლექტივიზმ ბიროვნების ფსიქოლოგიის შესწავლაზე დაკრძალვით, უპირველეს ათვისება ბიროვნების სტანდარტიზაცია დაისახა. ცნობილია, რომ ირგვლივ მყოფთა გავლენით ინდივიდი სხვაგვარად მოქმედებს, ვინაობის და აზროვნების, კიდევ მარტოობისა. უპირველეს ყოვლისა, ეს აიხსნება იმით, რომ ამდამიანს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ დამოუკიდებლად მიიღოს ეს თუ ის გადაწყვეტილება. ამიტომ იგი ორიენტაციას იღებს მასზე მეტად განსწავლულ, ინფორმირებულ ადამიანებზე. ხშირად, კოლექტივთა გავლენას ახდენს თავისზე მეტად კვალიფიცირებული ბიროვნებებზე. მოვეხსენებთ, კომუნიტური ფილიზმის თუ სექტაკლის ჩაბარებისას, მისი ავტორები გასინჯავთ იწვევენ მაყურებელთა ფართო ავტორიზაციას ფილიზმის ავტორებმა იცინა, რომ უბრალო მაყურებლის რეაქცია გარკვეულად იმოქმედებს სპეცილისტთა — სამხატვრო საბჭოსა თუ მიმდებნი კომპაიის უფერების აზრის ჩამოყალიბებაზე.

კოლექტივი თავისი წევრების ემოციებს, აზრებსა და საქმიანობას წარმართავს კომუნიკაციების სხვადასხვა ხეხით: სიტყვით, უფხვით, მიმიკით და სხვ. ტელევიზია (უფრო მეტად, ღირებუ მასობრივი კომუნიკაციების სხვა საშუალებები) ამ წარმართველ ფუნქციებს იყენებს მთელი საზოგადოების მიმართ.

ამერიკული სტატისტიკის მიხედვით, ოჯახების 90% — ჩართული აქვს ტელემიმდები 5 — 5,5 საათს, ხოლო ზამთარში — 6 საათს და მეტსადაც. მხოლოდ აშშ-ში არსებობს 50-ზე მეტი ორგანიზაცია, რომლებიც იკვლევს თუ რამდენი ხნის განმავლობაში, და, რაც მთავარია, რას უყურებს ამერიკელი ტელემაყურებელი. აუდიტორიის შემსწავლელი ძირითადი ცენტრებია — ა. ნილსენის, კ. ტრენდესკისა და არბიტრონის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტები. სხვა ქვეყნებში ამ ფუნქციებს ასრულებს: ტელეკომპანია „ენ-ეჩ-კეის“ — ტელეკვლევის ინსტიტუტი იაპონიაში, „რეისი“ — საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი სამსახური იტალიაში, „მინი-სისი“ — აუდიტორიის შემსწავლელი განყოფილება ინგლისში. შედარებით დიდი ხანი არაა, რაც დაიწყო, ინტენსიური მუშაობა „ტრიპი-ვის“-ის კომპანიაში იაპონიაში.

კინოსა და ტელევიზიის ცნობილი ფრანგი მკვლევარი ლუი მერლანი სოციოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდების წინამორბედად მიიჩნევს ე. წ. „პილარდლივურ“ მეთოდს. ამ მეთოდის „უდაბლდება“ უკანონოაღივ გვირგვინზე, თუ რაოდენ განაპირობებს კაპიტალისტური სამყაროს ძირითადი პრინციპი — პირადი განდიდებისა და გამდიდრების პრინციპი — ამა თუ იმ მეცნიერების განვითარებას. აი, როგორ აღწერს ლუი მერლანი: „ინაე-უ-სინ“-ის პერიოდენტ ამა მეთოდის წარმოშობას.“

„რეკლამა, ვაჭრობის მამოძრავებელი რეკლამა, ტელევიზიის „მარჩნალი“ ათეული წლების პანძილზე კაპიტალისტური

ტური სამყაროს ეს ლოზუნგი უტყუარად განსაზღვრავს ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ხელოვნების არსს. შენობა თუ იძულებით ტელევიზორთან „მიკაჭვული“ მაყურებელი „ყლამას“ რეკლამის შეწყვეტილი ფილიზმს თუ კონცერტის გაგრძელების მილოდინა. რა რიგ მისაწერიც არ უნდა იყოს რეკლამა, მას ყოველთვის ჰკავს მაყურებელი...

და აი, ერთ მშენებელ დღეს, ქალაქ დიეტროიტის წყალხედის კომპანიის დირექტორმა ყურადღება მიიქცია იმ გარემოებას, რომ ბოლო წლებში, დაახლოებით სადამოს ცხრა საათიდან დაწყებული, მკვეთრად იკვლავ მახსოვრებულთა მიერ წყლის ხარჯების მარეგნებელი. თუ წინათ ეს მარეგნებელი კვლამის მოახლოების ვალდავალ თანდათან დაბლა იწვედა, ახლა, 15,30 და ზოგჯერ 60 წუთის განმავლობაში მარეგნებელი თითქმის ნულს უახლოვდებოდა. პერიოდულად, თითქმის რაღაც საიდუმლო ნიშნად მისცემო, მარეგნებელი მკვეთრად იწვედა ზეითი 5-10 წუთით, შემდეგ — ისევ ნულამდე დადიოდა. დირექტორმა დაიწყო გამოკვლევა — რა არის მიზეზი იმისა, რომ ასეთი დიდი ქალაქის მოსახლეობას ენოდირეუვად, თითქმის წამების სიზუსტით, მიუნდება ხოლმე „ხელების დაბანა“? აღმოჩნდა, რომ „დამნაშავე“ რეკლამა, „ტელევიზიის მარჩნალი“ რეკლამა — როგორც კი გადაცემა წყდება და იწყებოდა რეკლამა, მაყურებელი მუხანათურად უქცევდა ზურგს ტელევიზორს და „ხედის დასაბანად“ მიდიოდა... ასე განიავდა რეკლამის ყოვლისშემძლიების მითი.

დასაწყისში სოციოლოგიური კვლევა საკმაოდ პრიმიტიულიად ხდებოდა (თუმცა ეს კვლევა შრომატევადი გახლდათ). მაგალითად, პ. ლანარსფერდის მეთოდი ეხებოდა ცალკეული გადაცემების ემეტორ ფორმას და კვლევა ტარდებოდა ჯგუფური გამოკითხვის მეთოდით. ჯგუფები დგებოდა შესასწავლი აუდიტორიის საერთო მოდელის ყველა სოციოლოგიური და დემოგრაფიული ნიშნის მიხედვით. ეს მეთოდი განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი სისწრაფის გამო კერძო ტელეკომპანიაში. თუმცა, როგორც და რაილი და რაილი წერენ, „ამგვარი მიდგომის დროს კომუნიკატორი (ამ შემთხვევაში ჟურნალისტი, დირექტორი — ს. თ.) დანტერეგებულად მხოლოდ იმით, რომ მაყურებელმა რაღაც შეიძლება შთამბეჭდვად მიიტანოს ცნობა. სილოის ძეღის კომპი გამოიკვლიდა რეკივიენტობა (მსმენელი, მაყურებელი — ს. თ.), იღებს გადაწყვეტილებას (რომელსაც არასოდეს შესაძლებელი) თუ როგორ მიიტქვს იგი ამგვარი ცნობის მიღების შემდეგ.“

დიდი პოპულარობით სარგებლობდა აშშ-ში ჰუპერის მეთოდი — გამოითხვა ტელეფონით: „„გაქვთ ტელევიზორი?“ — დიას, არა.

— „ამგვამად უყურებთ თუ არა გადაცემას?“ — დიას, არა.

— „თუ უყურებთ — რომელ პროგრამას?“ — პასუხი.

— „ახლა თუ არ უყურებთ, რომელ პროგრამას უყურებთ უკანასკნელად?“ — პასუხი.

ეს მეთოდი არც სიზუსტით გამოირჩევა და არც დამაჯერებლობით. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ქალაქში, სადაც ფართო სატელეფონო ქსელი. მიუხედავად ამისა, მისი სისწრაფე იძლიოდა უშუალოდ გადაცემის პროცესში კორექტივის შეტანის საშუალებას. მისი სასწრაფოდ შეწყვეტას ან პირიქით — გაგრძელებას თუ „რეიტინგი“ უჩვენებს, რომ გადაცემის დიდძალი მაყურებელი ჰყავს — არა აქვს მისი განმავლობის ხარისხის — გამოქონდა დასკვნა — გადაცემა კარგია და მაყურებელი ხვალაც ამ პროგრამას ჩართავს...





მართალია, ჰუმერ-ტრენდევსის მეთოდი გარკვეულ ინფორმაციას იძლეოდა ტელეკომუნიკაციების ხასიათზე. მის რეკვირზე, მაგარა იგი არაფერს მატებს მთავარ პრობლემას — ამერიკელი ამდენ საათს რატომ ატარებს ტელევიზორში, რატომ უყურებს ამა თუ იმ გადაცემას?

ამერიკელი დილოლოგის „მაშაში“ არ მალავენ, რომ მასობრივი კომუნიკაციების ძირითადი ფუნქციაა რეალური სოციალური ურთიერთობებისა და მათების გატყუება „გამაყუჩებელი“ ინფორმაციის საშუალებით.

როგორც ცნობილია აღნიშნავს სოციოლოგი ვ. შრამი, „...ინფორმაცია მხოლოდ მისთან როდია, იგი სასურველია გარდაქმნების საშუალებაცაა“.

და მართლაც, ინდივიდები, სისტემები მკაცრი ჩარობისაგან თავდაცვის მიზნით, ცდილობენ შეეგუოს მარტეს, შექმნას ილუზია, რომ მისი დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ მსუბუქი და ლაღია, იგი აჯერებს თავის თავს, რომ ბეისბოლი და კრივი უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე პოლიტიკა, შეფულების საზრიალად გატარება კი უფრო მინიშნელოვანია, ვიდრე სამსახურის პრობლემები.

ამგვარად, ტელევიზიის, როგორც მასობრივი კომუნიკაციური საშუალების ძირითადი არხის, უმთავრესი ფუნქციაა იქნა რაღიეთი ამერიკელის შეგნებაში იმ იდეებისა და პრინციპების „ჩაწევა“, რომლებიც ასახაობენ „ამერიკული ცხოვრების იერს“ — ცრუდაჯერებლობა ზვალინდელ დღეში, მოსალოდნელ გამედრებაში, რის გარანტიასაც იძლევა „თანაბარი შესაძლებლობების ქვეყანა“.

საინტერესოა აუდიტორიის ე. წ. რეპრეზენტატული მოდელი, რომელსაც ბურჟუაზიული სოციოლოგები იყენებენ როგორც მთელი ქვეყნის თუ ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენელს (როგორც ცნობილია, მასობრივი კომუნიკაციების ნებისმიერ არხს სწავლობენ სპეციალური შერჩევის საფუძველზე. ექსპერიმენტის სახით, კვლევის პირველ ეტაპზე ისინჯება რეპრეზენტატული მოდელის 10% ნებისმიერ პროგრამასთან მიმართებით. თუ ექსპერიმენტული 10% მართლაც უყურებს მოცემულ პროგრამას, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი მოსახლეობის 10% უყურებს მას და გამოიმდინარე აქედან, მოდელი სწორად არის შედგენილი). მაგალითად, ბი-ბი-სის აუდიტორიის შემსწავლელი დეპარტამენტის მკვლევარები თვლიან. რომ მთელი პრიტანეთის მოსახლეობის (48 მლნ. ადამიანი) მთელი შეიძლება იქნას წარმოდგენილი 4000 კაცით. სწორედ ასეთ მოდელს (4000!) ყოველდღიურად იყვლინებ ბი-ბი-სის თანამშრომლები და შტატგარეშე ინტერვიუებები. უნდა ითქვას ისიც, რომ პრიტანეთის შეადსვე რაიონში, (რაიონები, სადაც ბი-ბი-სის ფილიალები აქვს), „დრედისი“ მოძღვრების გარდა არსებობს ბავშვთა აუდიტორიის მოდელიც; სამი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით: 5-7, 8-11 და 12-14 წწ. ამ ქვემოდლების შემადგენლობა თავის მხრივ, მთელი ქვეყნის 10% მოდელის ინტერტია.

იდილურ მოდელში წარმოდგენილია მოსახლეობის ყველა სოციალური და ასაკობრივი ფენის წარმომადგენლები: მუშე-ბი, გლეხები, ინტელიგენცია, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სამხედროები, დიასპოლისები, ტრულეტები, პენსიონერები და ა. შ.

ინტერვიუებმა დღეში 15 გამოკითხვა უნდა ჩაატარონ. ყოველი მათგანი შეიარაღებულია სპეციალური ჟურნალით, რომელშიც აღწუსს ყველა გადაცემა კვირის იან

დლის მანძილზე. ყოველ გადაცემას თავისი კოდი აქვს, ისე რომ, კარგად მომზადებული თანამშრომელი საკმაოდ სწრაფად შეძლებს გამოკითხვას. ინტერვიუები, მიუხედავად ყოველდღიური კვლევისა, მუშაობაში ერთვება დაახლოებით კვირაში ერთხელ. მაგალითად, ბი-ბი-სის ინტერვიუებთა მუდმივ შტაბში 1200 კაცი ჰყავს, ამათგან ყოველდღიურად მუშაობს 300 კაცი.

მოგვხსენებთ, ადამიანი ყოველთვის აქტიურად როდი უყურებს გადაცემას. ამერიკაში ნილსენის კომპანია, (რუსულ აშშ-ში 53800800 „ტელეოპიაზა“), თვლის, რომ ადამიანი, რომელმაც შესთერებაში გადაცემის ნახვარი მანძივს ვერ შეშინა, არ შეიძლება ჩართული იყოს გამოსაკითხავთა მოდელიში. როგორც ხედავთ, ინტერვიუებები საკმაოდ მკაცრად ვერღებიან თავიანთ საქმეს.

რასაკვირველია, მხოლოდ მაყურებელთა რაოდენობის გარეშე არ არის ინტერვიუებთა მიზანი. ეს პირველი ეტაპი. ნორმად და მთავარი ფაზა გულისხმობს გამოკვლევის შედეგებს კონიერ ინტერპრეტაციას. აი, რა განაპირობებს აუდიტორიის რაოდენობას:

1. გადაცემის დრო. თუ დრო კარგადაა შერჩეული — მაყურებელი მეტია.
2. გადაცემის ადგილი სხვა გადაცემებს შორის. თუ წინა გადაცემა საინტერესო იყო და ბევრი მაყურებელი ჰყავდა — ეს საწინდარია იმისა, რომ მაყურებელი „დარჩება“ შემდეგ გადაცემაზეც და პირიქით.
3. აუდიტორიის დამოკიდებულება რეკლამის ხარისხზე.
4. ნაცნობი ემბლემა თუ რეზერვის გამოჩენა.
5. სხვადასხვა პროგრამით ერთდროულად მიმდინარე გადაცემების უფარდობა. (ამ შემთხვევაში აუდიტორიის გამოკითხვა არ ითვლება მიზანშეწონილად).
6. აუდიტორიის დამოკიდებულება გადაცემის ფორმასა და ენისადაც. (მაგალითად, უმეცურთის ტრანსლაცია და ჯ. ლინდონის სხვისი საღამო).

ანკეტები, რომლებითაც ინტერვიუებები სარგებლობენ, ძირითადად ორი სახისაა: ღია და დახურული. ღია ანკეტა გამოსაკითხავს პიროვნებას ღია თავისუფლებას ანიჭებს კითხვებზე პასუხისას. დახურული ანკეტა, როგორც წესი, კითხვებზე პასუხის რამდენიმე ვარიანტს შეიცავს — გამოსაკითხავ ადამიანს შეუძლია აირჩიოს ის პასუხი, რომელიც მას სწორად მიიჩნია. დახურული ანკეტების მომზადება გაცილებით რთულია, თუმცა მათი მანქანური დამუშავება იოლია.

ბოლო წლებში მომზადდა მაყურებელთა შედგიმომქმედი საკონტროლო ჯგუფები, რაც ძალიან ეხმარება ტელეკომუნიკაციების სწრაფად და ზუსტად დაადგინოს გადაცემის საუკეთესო დრო, მაყურებელთა რაოდენობა, ამა თუ იმ რეზერვის აგ-კარგინაობა. იაპონელი სოციოლოგები, მაგალითად, თვლიან, რომ რეპრეზენტატული შედეგების მისაღებად ყველა გადაცემაშიან დასავლეთში საკმარისია გამოკითხვის 800 კაცი. იაპონის სახელმწიფო ტელეკომპანია ნ-ჩე-კეის, ნებაყოფლობითი კორესპონდენტების ხუთი სია აქვს. ყოველ სიაში 800 კორესპონდენტია, თითოეული მიმავლებულია 4-5 გადაცემაზე. ეს არის საკონტროლო ჯგუფები.

ანკეტურ გამოკითხვას, როგორც აუდიტორიის შესწავლის ერთ-ერთ ხერხს, ბევრი ნაკლი აქვს. ხშირია შემთხვევა, რი-დასავლეთ ანკეტას ის პიროვნება რომ აესმის, ვისთვისაც იგი

განკუთვნილია, არამედ მის მაგიერ (კოლი, მეგობარი და სხვ.) ამას სხვა აკეთებს. ისეც ხდება, რომ ერთი კაცი რამდენიმე ანექტას ავსებს, ანდა, არ იძლევა პასუხს ყველა შეკითხვაზე და ა. შ. არ ნაკლებადი მხარეების გამოსწორების მიზნით არ-ჩვენ 10-10 კაცს ყოველი ქვემოთხსენიდან და განმეორებით გამოკითხვას აწარმოებენ (ეს ერთ-ერთი ხერხია). ასეთ შემთხვევებში ანექტაში შეტანილია დამატებითი კითხვები:

— შეასეთ თუ არა ამ კოტა ხნის წინათ ანექტა? — დი-ახ, არა.

— მოგეხსოვთ ანექტას საქმიანი მხარე? — დიახ, არა.  
— თუ გასულიყო, რამდენ ხანს გქონდათ ანექტა შესასუ-ბად? — პასუხი.

თუ ბოლო კითხვაზე პასუხი ზუსტად არ არის (1, 2, 3.), მაშინ ანექტა ანულირებულია.

მანქანობის სტიქიურ რეაქციას (წერილები, ტელეფონით გამოთქმული საყვედურები) ანგარიში თითქმის არ ეწევა — იმდენად განსვადებდა კვალიფიცირებულად ჩაატარებული ანექტირების შედეგები ამგვარი სტიქიური რეაქციისგან. ლ. პორტის მიერ „ორტფ“-ს მაგალითზე ჩაატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ გადაცემებზე სტიქიურად რეაგირებს საწარმოების მოსახლეობის 3-6%. „...რასაკვირველია, მე შორს ვარ აზრისადაც, რომ ეს ხალხი მინაკლებს ამ მოცულობის აზრან, მაგრამ მათი რეაქცია ძალზე არაზუსტად განსაზღვრავს მოსახლეობის სურვილებსა და შენიშვნებს“<sup>3</sup> — წერს იგი.

არცთუ ძალიან განსხვავდება სტიქიური რეაქციისგან ე. შ. „საგანგებოდ გამოწვეული“ რეაქცია — მაყურებელთა წერი-თობა, რომლებიც სასაუწყებლო ორგანიზაციების თხოვნითა დაწერილი შეკითხვები ამ შემთხვევაში გახსრებულია და გა-დაიცემა რადიოთი, ტელევიზიით ან იბეჭდება პრესაში. ამ შეთოდის შესახებ ბელოგილი სოციოლოგი გ. ლაიომბლურს: „როგორც ჩანს, ამ ჩვენს შეკითხვებზე მუდმივად პასუხობს მოსახლეობის ერთი და იგივე ნაწილი, რომელსაც ერთ-როდების საწარად აქვს საკუთარი დრო და საწინააღმდეგო არაფერი აქვს ჩვენთან თანამშრომლობის...“<sup>4</sup> როგორც გა-მოცდილება გვიჩვენებს, ამგვარი მეთოდი არაა სრულყოფილი, ვინაიდან იგი მეტნაკლებად მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვე-ვებში, როდესაც გადაცემა გამიზნულია კარგად მომზადებული მაყურებლისთვის, მცირერიცხოვანი „სატელევიზიო ელიტისა-თვის“, რომელიც ამ შეიძლება ჩაითვალოს რეპრეზენტატულ ჯგუფად.

სასებითი ცხადია, რომ, როგორც არ უნდა იყოს სტატის-ტიკური კვლევის მეთოდი და რეპრეზენტატულობის კრიტე-რიუმი, ამგვარი ანექტა მოითხოვს სისტემატური კვლევის გა-რკვეული დროის განმავლობაში. ეს კი დიდ დროს, ენერგია-სა და ხარჯებს საჭიროებს.

სოციოლოგიური კვლევის ექვეტიანობის ამალგების მიზ-ნით სულ უფრო და უფრო მეტი ტელეკომპანია გადადის კვლევის ტექნიკურ სასუალებებზე. მაგალითად. ინისათვის, რომ გამოდგებით ხელთ იქონიოს აუდიტორიის აზრი ამა თუ იმ გადაცემაზე. ნილსენის ინსტიტუტმა შემოიღო მცირე ზო-მის მოწყობილობა — აუდიომეტრი, რომელიც ჩამონტაჟებუ-ლია ტელემიმდებებში. სპეციალური კოდათ აუდიტორიის იწე-ვით, თუ რა დროის განმავლობაში და რომელ პროგრამაზე იყო არათული ტელემიმდები. ეს ხელსაწყობები რეპრეზენტა-ტულობის პრინციპით მონტაჟდება იმ ოჯახებში, რომლებიც განსაკუთრებით ტიპური ამა თუ იმ ქალაქობის, რაიონის-

სთვის, შტატისთვის, — გათვალისწინებულია სოციალურ-დემოგრაფიული, ასაკობრივი და სხვა მონაცემები. ყოველდღიური კვირის თავზე აუდიომეტრების სარგისტრაგოი ლენტებიდან იკითხება ინფორმაცია, რომელიც გამსუფრისა და კომპიუ-ტრულ დაშუშავების შემდეგ ქვეყნდება სპეციალურ ბიულეტენებში.

მეორე საინტერესო ტექნიკური სისტემა, რომელიც სი-ბი-ეს-ის<sup>5</sup> სოციოლოგიური კვლევებისა და აღჭურვილობის განყო-ფილებს დირექტორმა პიტერ გოლდმარკმა შემოიღო, „აუ-დიტორიის დაკუთვნილი დათვლის სისტემა“ — „იამს“-ი. ეს სისტემა რადიოს პრინციპზე მუშაობს და ასე განიხილება ტე-მა: ნიუ-იორკში, კოლამბია-ილინდზე დამონტაჟებული გა-დამცემი ჩვეულებრივ ტელეტალასთან ერთად ვიწროში გზავნის განსაკუთრებული სიხშირის სპეციალურ მიკროტალ-ღებს, რომლებსაც დებულობს ტრანსკრიპტორი — ტელემიმ-დებში ჩადგმული ასანთის კოლოფისოდენა ხელსაწყო. თუ ტელემიმდები ჩართულია, ტრანსკრიპტორი პასუხს „უგზავ-ნის“ კრანსლერი-ბილდინგის საურავზე დადგმულ ანტენაზე. ელექტრონული აპარატურა ითვისს „პასუხებს“ და უგზავ-ნის შედეგებს სი-ბი-ეს-ის დისპეტჩერს, ის კი — კომპანის მხატვრულ დირექტორს. ამგვარად, კომპანის ხელმძღვანე-ლი მუდამ საქმის კურსშია, რამდენი მაყურებელი ჰყავს ამა თუ იმ გადაცემაზე. თუ გათვალისწინებთ იმ გარემოებე-საც, რომ მიმდებ-მრიცხველს შეუძლია მიიღოს 250000 სინა-ლი წამში, დაერწმუნდებით, რომ პრაქტიკულად ქსელის ყვე-ლი პროგრამის შემოწმება შესაძლებელია ყოველი 15 წუთის განმავლობაში.

საინტერესოა, რომ „იამსის“ სისტემაში დიდი გადატრია-ლება გამოიწვია ვერანის „კარსკვლების“ პოპულარობის შეფასებაში. ჟურნალმა „ნიუ-იორკმა“ ამასთან დაკავშირებით გამოაკვეთა ნახატ, რომელზეც დაღობული ლიტტარი ეუ-ბნება ორკესტრს: „შევიძლიათ აღარ გაავრტელოთ, ჩვენ არა-ვინ გავყურებთ...“

ტელეაუდიტორიის შესწავლის ტექნიკურმა სასუალებამ (ძალიან ხშირად მათ შედეგებს ანექტური გამოკითხვის შეიო-დთან კავშირში მოაქვს ყველაზე კარგი შედეგი) მკვლევარები თითქმის, მიიყვანეს ტელეაუდიტორიის მიახლოებით რი-ცობრივ მონაცემებთან. დადაკ მეორე საკითხი — როგორია მაყურებლის რეაქცია ამა თუ იმ გადაცემაზე? ამასთან დაკა-ვნირებით შემუშავდა ე. წ. „პროგრამული ანალიზატორის მეთოდი“, რომელიც მაგნიტურ ფირზე იწერს მაყურებლის ამა თუ იმ რეაქციას — მოწონებას ან დაგმობას. პრაქტიკულად ეს შემდგენიარად გამოიყენება: რეპრეზენტატულად შერჩეულ ოჯახებში ტელემიმდებებს მიემტება დისტანციური მართვის პატარა პულტები, რომელზეც ორი (ზოგჯერ სამი) დილაკია განალაგებული. თუ მაყურებელი იწონებს გადაცემას — აჭერს ერთ დილაკს, თუ არა — მეორეს. თუ ზოგი რამ მოეწონა, ზოგი კი არა — მესამეს. პროგრამული ანალიზატორის შეიო-დით პირველად ბი-ბი-ის კომპანის აუდიტორიის შემსწავლე-ლმა განყოფილებამ გამოიყენა.

და მაინც, მიუხედავად ტექნიკის „ყოვლისშემძლეობისა“, ტელეაუდიტორიის შესწავლის ყველაზე გარკვეულულ და მი-საღებ ხერხად უცხოელი სოციოლოგები ინტერვიუს მიჩნევენ. კვებობით, ინტერვიუს „გაპანტების“ ვამოიწვია იმ გარემო-ებაში, რომ ტექნიკური სასუალებებით და ანექტური მეთოდით აუდიტორიის შესწავლა იძლევა სასუალებებს სისტემატურად „წავსოს“ და წარმართოს ინტერვიუერთა მუშაობა. იმ შემ-

3. „საბჭოთა ხელგინება“, № 4, 1976.





თხევამი, თუ ანექტები და ტექნიკა არ დაეხმარებიან ინტერვიუს, იგი ვერ დარჩება სათანადო სიმძლავრეზე.

ინტერვიუ იმით განსხვავდება კვლევის სხვა ხერხისგან, რომ მას იწყებს ცოცხალი ადამიანი, რომელსაც ვერცხლიანი ტექნიკა და მით უფრო — ანექტა ვერ შეადრება. ინტერვიუებს აქვს საშუალება განემარტოს კითხვასკითხვის პირს ძნელად გასაგები კითხვა, არჩევს, კითხვის რა ფორმა გამოეგება მავან და მავან ინდივიდუალთან, მას აქვს პერიფრაზის საშუალება და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისის მთავარ ტელეკომპანიას — ბი-ბი-სის მუდმივ რედაქტორს ჰყავს 400 ინტერვიუერი, რომლებიც განსწავლული მუშაობენ 3000 ინგლისულ ტელემაყუჩუნეთთან. ფერ-ში, სასოციალურბრივი ზრის ინსტიტუტი „ინტერტექსტი“ ყოველკვირულად 400 ოჯახის გამოკითხვას აწარმოებს. იაპონიაში, რადიოსა და ტელევიზიის კვლევითმა ინსტიტუტმა საკმაოდ მოკლე ხანში 170 ასაკის მაყურებლის გამოკითხვა მოახერხა. ყველა ამ ქვეყნის ტელეკომპანიის ინტერვიუს თათის ფორმები აქვს, რომლებიც შეიძლება დაჯგუფდეს ორ ძირითად სახეობად: სტანდარტიზებული და არასტანდარტიზებული ინტერვიუ.

სტანდარტიზებული ინტერვიუ წინასწარ ჩამოყალიბებულ კითხვებზე პასუხებს ჯულისხმობს. ასეთ შემთხვევაში ინტერვიუერის მუშაობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს (მხოლოდ კითხვართან პასუხების შედარება) და ადვილია დასამუშავებელი. ანექტური გამოკითხვისგან იგი დიდად არ განსხვავდება. არასტანდარტიზებული ინტერვიუს ჩატარება მაღალი კვალიფიკაციის მუშაკებს ევალება. კითხვები ამ შემთხვევაში გაკლებით ღრმა და შინაარსიანია. ინტერვიუერი ვალდებულია წინასწარ შეადგინოს ინტერვიუს დაწერილობითი გეგმა, კარგად შეისწავლოს ხალი, ვისთანაც მიუწევს მუშაობა.

ამერიკელი სოციოლოგების ზრითა, ღია ინტერვიუს ჩამატარებელი უნდა იყოს აუცილებლად ვანბრითი, კარგი მესაუბრე, სათნო ადამიანი, შეგობილად განწყობილი ინდივიდუალის მიმართ. საინტერესოა, რომ ამერიკაში საუკეთესო ინტერვიუებს ქალები იღებენ. ინგლისელი და ფრანგი სპეციალისტები კი თვლიან, რომ ინტერვიუერის გარეგნობა და ჩაცმულობა არ უნდა უშლიდეს მას მუშაობაში ხელს. ინტერვიუერი არ უნდა იყოს ზედმეტად ენაწყლიანი, ვერგვილი. ინტერვიუერი, რომელიც კითხვის დამსმის ხმარობს ისე, როგორც სიტყვებს, როგორც „საერთოდ“, „მაგალითად“, „ხშირად“ და სხვა, საშასურადან თავისუფლდება, ვინაიდან იგი ასე უზოგად დასმულ კითხვებზე ზუსტ პასუხს ვერ მიიღებს.

დიდი მნიშვნელობა ენაჭება კითხვების ლოგიკურ თანმიმდევრობას, ვინაიდან ცნობილი სოციალური სტერეოტიპების გაფლენის მოსაპყრებლად ამბობს იმას, „რაც მიღებულია“ და არა იმას, რასაც ფიქრობს. მაგალითად, ინტელექტუალური შრომის ადამიანს რომ კითხობ, რისი მოსმენა ურჩევნია — კლასიკური მუსიკისა თუ ვარიეტული, შიშაუფლ, სტერეოტიპის გავლენით, უპირატესობას მიანიჭებს სერიალულ (კლასიკურ) მუსიკას, თუმცა სინამდვილეში ვარიეტებს ურჩევს ამჯობინებს. ამ შემთხვევაში ინტერვიუცია ასეთ კითხვას ითვალისწინებს: „ხომ ვერ ტყვეობ, რას ფიქრობდ ამის თობაზე (ვარიეტე თუ კლასიკა)? თქვენი ნაფიქრობი?“

სხვადასხვაგვარ მიდგომას მოითხოვს ინტერვიუცია ქალეზისა და კაცების მიმართ. კითხვების თანმიმდევრობა ქალთან

საუბრისას სხვაგვარი უნდა იყოს. ინტერვიუებს არამც არამც არა აქვს უფლება კატეგორიულად მოითხოვოს კითხვებზე პასუხის გაცემა. საუბრისას თითქმის აკრძალულია სხვადასხვა სიტყვების „ტელევიზია“, „გადაცემა“, „კითხვა“, „პროგრამა“ და ა. შ. თუ რომელიმე კითხვაზე მოპასუხე პასუხობს „არ ვიცი“ — კითხვა სწორად არ ყოფილა დასმული. თითო ინტერვიუ საშუალოდ ორ საათს გრძელდება.

როგორც დასავლეთ ევროპის სოციოლოგები აღნიშნავენ, გამოკვლევების ჩატარება სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება. მაგალითად, იმისათვის, რომ ჩატარდეს კვლევათი სამუშაო „ტამა“-ის სისტემით (1964 წლიდან დაწყებული „ტამა“-ის სისტემამ დაიწყო გავრცელება ჰოვან ინგლისში), კომპანია იძულებულია დააპირდეს „მოდელში“ ჩართული ყველა ტელემომღებების მფლობელს, რომ მათი ტელევიზორების მოვლას თავის ხარჯზე იღებს („ტამა“-ის სისტემა შემდგომი მდგომარეობის სპეციალური ხელსაწყო — „ტამბერტი“, რომელიც შეერთებულია „მოდელის“ ყველა ტელემომღებთან, აღრიცხავს, თუ რომელ არხში, რომელ პროგრამაში და რა დენდრის ხნის განმავლობაში არის ჩართული ანა თუ ის მიმღები).<sup>1</sup>

აუდიტორიის ეს უნდობლობა გამოიწვევლია იმით, რომ წლების განმავლობაში მაყურებელი მიხვდა, — აწვევარი გამოკვლევების მიზანი მხოლოდ ტელეკომპანიების კეთილდღეობაა. თვით მაყურებელს კი უფრებენ როგორც წავასა, რომლისგანაც ნებისმიერი სახის გამოძიერვა შეიძლება. ბურჟუაზიული სოციოლოგები თვითონაც არ მალავენ, რომ მათ სრულიადვე არ აინტერესებთ თვით ტელევიზიის „მუწევა“ ან მისი მხატვრული ღირსებები. ამერიკელი „იდეოლოგი“ გ. სტიინერი პირდაპირ აცხადებს: „ჩვენ გვანტერესებს მხოლოდ გავიგოთ, ზომ არ გამოიყოფა ტელემაყურებელთა ამხტარებელი მასიდან რაიმე რეალური კატეგორიის ხალხისა, რომელთა პრინციპები და მოსაზრებები არ ემთხვევა საერთო ნაისს ზღის. და თუ არის სხვადასხვაობა არხებთან, მაყურებელთა რა რაოდენობა უჭერს მხარს ან თუ იმ მოსაზრებას და რაც მთავარია, ვინ არიან ისინი?“<sup>2</sup>

**შენიშვნები:**

- 1 ეი-ბი-სი (ABC) — American Broadcasting Company — ამერიკის ტელემაყურებლობის კომპანია.
- 2 ენ-ე-კე — იაპონიის სახელმწიფო ტელეკომპანია. ცნობილია იმით, რომ თავის გადაცემებში არასოდეს არ იძლევა რეკლამას.
- 3 რაი (RAI) — იტალიის რადიო და ტელევიზია.
- 4 ბი-ბი-სი (BBC) — British Broadcasting Corporation — ბრიტანეთის სახელმწიფო ტელეკომპანია.
- 5 ტი-ბი-ეს (TBC) — იაპონიის ფლდესი კერძო ტელეკომპანია.
- 6 «Sociologia serodina», M., 1965, სტ. 619.
- 7 რეიტინგი (Rating) — რაიმე მოვლათა შეფასების მეთოდი, ფაქტობრივად გამოიყენება სოციოლოგიური კვლევის დროს.
- 8 ორტე (ORF) Office de la Radio-diffusion (et de la) Television Française — საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის კორპორაცია. ამჟამად „ორტე“ რეორგანიზებულია.
- 9 L. Porte — «Cahier d'Etude de Radio-television», № 12, p. 320.
- 10 Н. Лякомова, Радиозвчание и Телевидение и его аудитория, ТДК, № 3, с. 55.
- 11 სი-ბი-ეს (CBC) — Columbia Broadcasting Cistem — აშშ სახელმწიფო ტელეკომპანია (კოლუმბიის ტელე და რადიო-მაყურებლობა).



# „ზოსკა“ ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე

მანანა ახმეტელი

როსა ქუთაისის საოპერო სპექტაკლები უნდა შენახა, უნებურად დავეფიქრე: მაინც რა სახომით, რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს ამ თეატრის შემოქმედებითი დონე, მისი ხარისხი? როგორი კუთხით უნდა მივუდგეთ ამ ახალგაზრდული კოლექტივის, რომელიც დღესაც შემოქმედებითი ფორმირებისა და თვითდამკვიდრების ხანაშია?

რა თქმა უნდა, ვეულისხმობდი კოლექტივის ასაკს, პირობებს, მარჯვენებსა და იმ ნიადაგს, რომელზედაც ეს რთული და ძალზე სპეციფიკური ორგანიზმი ჩამოყალიბდა. ქართული საოპერო ხელოვნების საერთო მდგომარეობაც მჭინდა მხედველობაში.

მოხდა კი სრულიად მოულოდნელი რამ: აღმოჩენიდი სერიოზულსა და ორგანიზებულ შემოქმედებით ატმოსფეროში. შეხვდები ნიჭიერ, მონდომებულ ახალგაზრდობასა და გულისხმიერ აუდიტორიას. მთავარი კი ისაა, რომ დავესწარი ძალზე საინტერესო სპექტაკლს — პუშინის „ტოსკას“, რომელსაც შეუნელებელი ცნობისმოყვარეობით ვადგენებდი თვალყურს თავიდან ბოლომდე.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სპექტაკლი წარმოადგენს საოპერო კლასიკის ახ-


ლებური წაკითხვის ცდას. იგი მიმართულია იმ მოძველებული სტანდარტებისა და სტერეოტიპების წინააღმდეგ, რომლებმაც ფეხი მოიკიდეს ქუთაისის საოპერო თეატრში და მისი კონსერვაცია გამოიწვიეს.

ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი „ტოსკა“ შექმნეს საოპერო ხელოვნებაში სრულიად გამოუცდელმა ახალგაზრდებმა — რეჟისორმა ვარლამ ნიკოლაძემ და მხატვარმა ნოდარ გაფრინდაშვილმა, რომელთა გეზი იმთავითვე მიმართული იყო დრამატული თეატრისაკენ, სადაც მიმდინარეობდა მათი შემოქმედებითი ცხოვრება და წრთობა. გარემოებამ კი ერთბაშად შეატრიალა მათი გზა ქუთაისის საოპერო თეატრისაკენ. რომელიც არა მარტო შველას, არამედ გარდაქმნას, შექმნას, შენებას ითხოვდა. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, თეატრში მისვლისთანავე რომ დაინახეს საგონებელში ჩაგარდნილმა ახალგაზრდებმა. გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია სწორედ ვითარების მთელი სიცხადით დანახვამ, მდგომარეობის მართებულმა განჭვრეტამ, საიდანაც გამოჩნდა ქუთაისის საოპერო თეატრის გადახალისებისაკენ მიმართული გზა, ჩაისახა გაბედული ძიებებისაკენ აღებულნი გეზი.

და მაინც საქმე ვაჭკვს პარადოქსალურსა და ამდენად, დამაფიქრებელ შემთხვევათან, რადგან დადებითი შედეგი მოგვცა არა მარტო გამოუცდლობამ, არამედ ეროვნული საოპერო ტრადიციებისა და წლების მანძილზე გამოშუშავებული პრინციპების არცოდნამ, შემოქმედებითი პრაქტიკის გაუთვალისწინებლობამ.

ამ პარადოქსს, სხვათა შორის, საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიური მომენტი, რამაც უარყოფითი ფაქტორები (გამოუცდელობა, არ ცოდნა, გაუთვალისწინებლობა) დადებითად გარდაქმნა და ფასეულობათა (ტრადიციები, პრინციპები, პრაქტიკა) გადასინჯავც გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ვ. ნიკოლაძე და ნ. გაფრინდაშვილი საოპერო თეატრის ატმოსფეროს არ იყვნენ შეგუებულნი. მათი აღქმა და ხედვა სრულიად თავისუფალი იყო იმ ჩვეებისა თუ ასოციაციებისაგან, რომელთა რკალი, ხშირად, გასაქანს არ აძლევს ხოლმე დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნების განვითარებას. ასეთ ვითარებაში ადვილად იკიდებს ფეხს დაკანონებული ნორმებისადმი კომპრომისული დამოკიდებულება, რაც ძირწივე საბოის თეატრში დამკვიდრებულ ინერციიდან თავის დაღწევას შესაძლებლობას.

ერთი სიტყვით, დისტანციამ შეუნარჩუნა ვ. ნიკოლაძესა და ნ. გაფრინდაშვილს თეატრალური სიტუაციის უკომპრომისო შეფასების უნა-



კავარალსი — ი. კავასუ

რი. მათ გარედან, ობიექტური თვალთ შეხედვით ქუთაისის თეატრის სცენას და მთელი სიღრმადი დანიხებს საოპერო სპეციფიკას ამოფარებული ის ხასხამდებული ტრადიციონალიზმი, რომელიც ჯერ შემუშავდა შეეპარა, ხოლო შემდეგ კი მიეძალა ეროვნულ საოპერო რეჟისურასა და სცენოგრაფიულ ხელოვნებას.

ყოველივე ამან ქუთაისის საოპერო თეატრის კონსერვაცია გამოიწვია, რამაც წამოჭრა კიდევ მისი ყოფნა-არ ყოფნის საკითხი. ამ ვითარებას, რაღა თქმა უნდა, ფეხები ღრმად აქვს გადგმული, მრავალნაირია მისი გამოშვები ფაქტორებიც. ამჯერად აღვნიშნავ მხოლოდ ერთ, მაგრამ არცერთ მიზეზს: ესაა საოპერო და დრამატული ხელოვნების გამიჯვნის, უფრო ზუსტად კი მათი გათიშვის შედეგი, რის გამოც ქართული საოპერო თეატრი იზოლირებული, კარაკეტული ცხოვრების საღებებში აღმოჩნდა.

ასეა თუ ისე, უკანასკნელი წლების კლასიკური საოპერო რეპერტუარიდან ძნელია სახოვანი, ორიგინალური და მთლიანი რეჟისორულ-სცენოგრაფიული აზროვნებით აღბეჭდილი სპექტაკლის გამოყოფა. ასეთი სურათია არა მარტო დიდი ტრადიციების თბილისის საოპერო თეატრში, არამედ ახლადდაარსებულ ქუთაისის ფილიალშიც. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ქუთაისის საოპერო თეატრი ინერციას გაჰყვა და იმთავითვე დაადგა წლების მანძილზე გამოშვებული ნორმების მექანიკური გადმოტანის, უფრო ზუსტად კი სტანდარტების დუბლირების გზას. არც ესაა გასაკვირი, რადგან ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ამ ახალგაზრდულ კოლექტივს იმხანად შემოქმედებითი ინიციატივის გამქაფარებისათვის არ გააჩნდა სათანადო პირობები. იგი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა. ასეთ მდგომარეობაში კი შეუძლებელი იყო დამოუკიდებელი შემოქმედებითი გეზის აღება, საკუთარი გზის გაკაფვა, განმახლებლური ტენდენციების დამკვიდრება.

აღნიშნული ვითარება მკვეთრად შეცვალა სპექტაკლმა „ტოსკამ“, რომელმაც ყურადღება მიიპყრო სწორედ რეჟისორულ-სცენოგრაფიული გადაწყვეტით, საიდანაც გამოჩნდა დამდგმულთა აქტიური შემოქმედებითი პოზიცია, მიმართული პუჩინის პარტიტურის ფინრობრივი საყრდენების გადამავილებიდან, ქვეტექსტების წამოწევისა და გამაფრებისაკენ, იდეური მოტივების გამწვავებისა და განზოგადებისაკენ. ყოველივე ამან მწყობრში ჩააყენა სწორედ ის მექანიზმები, მოძრაობაში რომ მოჰყავთ ნებისმიერი პროფილისა თუ სპეციფიკის თეატრი. ერთბაშად აღსდგა კავშირი საოპერო და დრამატულ ხელოვნებას შორის, ამოქმედდა მუსიკალურ-სცენური გამომსახველობის წონასწორობის და კოორდინაციის პრინციპი, რამაც ესოდენ ცნობილი, მრავალგზის განცდილი და გაშინაურებული ნაწარმოებები წარმო-





გვიდგინა სრულიად ახალსა და უჩვეულო რაკურსებში.

საქმე იმაშია, რომ დამდგმელებმა — რეჟისორმა ვ. ნიკოლაძემ და მხატვარმა ნ. გაფრინდაშვილმა, რომლებსაც სამყოფი მუსიკალური განათლება აღმოაჩნდათ, სპექტაკლში განავითარეს სწორედ დრამის ელემენტები, რის საფუძველსაც იძლეოდა ოპერა „ტოსკა“; იძლეოდა პუჩინი — დრამატული ხელოვნების ეს მხურვალე თაყვანისმცემელი. „თეატრისთვის ვარ გაჩენილი“ — ამბობდა იგი და, მართლაც, დღემდე, მთელი თავისი ცხოვრების წინაშე, არა მარტო საოპერო, არამედ დრამატული ხელოვნების შუაგულში ტრიალებდა. მთავარი კი ისაა, რომ თავისი ოპერებისთვის საშინი მასალა პუჩინის სწორედ აქედან — თანამედროვე დრამატული თეატრიდან ამოჰქონდა. აქ პოულობდა იგი საოპერო პირობითობის გასაფართოებელ, განმარტებელსა და გასამაფრებელ საშუალებებს — დრამატურული მოდლებს, თეატრალური აზროვნების პრინციპებს, აქტუალურ ცხოვრებისეულ პრობლემებსა და მისთვის საინტერესო სასაბაობებს. დრამიდანვე აიღო მან საოპერო სახეების ფსიქოლოგიზაციისა და დრამატიზაციის გეზი, რომელმაც პუჩინის ოპერები ცხოვრებისეულ სინამდვილესთან მჭიდროდ დააკავშირა და გამსჭვალა იგი ელვარე და სახოვანი თეატრალიზმით. ამიტომ იყო, რომ სტანისლავსკიმ პუჩინის არა მარტო დიდი მუსიკოსი, არამედ შესანიშნავი რეჟისორიც უწოდა. ყოველივე ამას მოწმობენ მსოფლიო საოპერო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები — „ბოქომა“, „ტოსკა“, „ჩიო-ჩიო-სანი“, „ქალიშვილი დასავლეთიდან“, „ტურანდოტი“, რომლებიც პუჩინიმ შექმნა სწორედ დრამატული თეატრის სპექტაკლების შთაგონებითა და უშუალოდ შემოქმედებით.

ტოსკა — ი. ჭაფარიძე, სკარპია — თ. ფარცველია



თვით პუჩინიმ კი ასე განსაზღვრა თავისი სპექტაკლებითი მრწამსი: „თეატრს აქვს უცვლელი წესები — დაინტერესო, განაცვიფრო და შეძრა ადამიანთა გულები“.

როგორც ჩანს, სპექტაკლი „ტოსკა“ იქმნებოდა სწორედ ამ უცვლელი თეატრალური წესების გათვალისწინებით. ამის გამო, რეჟისორმა ვ. ნიკოლაძემ და მხატვარმა ნ. გაფრინდაშვილმა აირჩიეს დრამატურული ცენტრების გადაინაცვლების, უფრო ზუსტად კი შუპრისპირების გზა, რის შედეგადაც მიზეზი მიზნად გარდაქმნა და ოპერის სივარული-პოლიტიკურმა ფონმა, ლირიკული ტრაგედიის მხარდამხარ, წინა პლანზე წამოიწია. სწორედ ამ ფონიდან ამოზარდა სპექტაკლის რეჟისორულ-სცენოგრაფიული კონცეფცია. საყრდენად მათ მიჩნევის რელიგიურ-პოლიციური დიქტატურის ის პარადოქსული თანხმებება, რომელიც პარტიტურაში მინიშნებულია მრავალჯერ, და განსაკუთრებით ხაზგასმულია პირველი მოქმედების ფინალში, სადაც კათოლიკური ტაძრის წმიდათა წმიდა თაღებ ქვეშ, საუხიმოდ ამაღლებული კათოლიკური მესის ფონზე (გუნდი და ორდანი), იღვება და ვითარდება სკარპიას მონოლოგი. დამდგმელებმა სპექტაკლის ყველა კომპონენტი სწორედ ამ მახვილგონივრული კონტრაპუნქტის, ცინიზმით აღებუტყვით პარადოქსის განზოგადების ამოცანას დაუმორჩილეს.

რელიგიურ-პოლიციური რეჟიმის მამხილებელი კონცეფცია ინტენსიურად ვითარდება სამივე მოქმედებაში. მის ჩამოყვანილობაში აქტიურ როლს თამაშობს მხატვარი, რომლის მიზანია — მეტაფორულად გაასწრებელი კონსტრუქციულ-ფორმული საშუალებებით გამოაშკაროს ეპოქის რეაქციული სული, შენიღბული და გამწვანებული რელიგიური პათოსით. ამ მიზნით იგი ყოველ მოქმედებაში საგანგებოდ გამოპყობს კათოლიკური მსოფლმხედველობისათვის ტიპიურ ამა თუ იმ იდეურ მოტივსა თუ რიტუალურ ელემენტს და მათ პოლიტიკური ქვეტექსტის მნიშვნელობასაც აკისრებს. ასე მაგალითად: პირველ მოქმედებაში დეკორატიული გადაწყვეტის სიმძიმის ცინიზმით გადატანილია კათოლიკური ტაძრის ინტერიერია უკანა ხედზე, სადაც მოქორციელი ლითონის მილებიდან შეკრული, სცენის გასწვრივ გადჭიმული ბრტყელი და ვერტიკალური კონსტრუქცია განასახიერებს დიდზე დიდი მოცულობის ორდანოს. შვე ჩარჩოში ჩასმული ლითონის ეს ვეფხე და ლაპალა მასა, აგრერიგად რომ ამძიმებს და ახშობს ტაძრის ატმოსფეროს, გვესახება კათოლიციზმის ძლიერების სიმბოლოდ. კონსტრუქციას კომპოზიციურად ჰკრავს ტაძრის „გუმბათზე“ აღმართული წავი, მკვეთრწახანჯიანი ჯვარი, რომელსაც ამავე დროს, ზეცისკენ მიმართული მახვილისა თუ დაშლის ფორმაც მიუღია.

ატმოსფერო მთავრდება და შიშვლდება მეორე



მოქმედებაში, სადაც კონსტრუქციის მოხერხებუ-  
ლი და, რაც მთავარია, გამიზნული სახეცვლა გა-  
მოწვეულია კვლავ პოლიტიკური ორსახოვნების  
მსოფლიო: აქ კათოლიკური ტაძრის ინტერიერი  
ინკვიზიციის ბუდედ, კანდარმერის რეზიდენცია-  
დაა გადაქცეული. ესაა გახადადმოღობული საპყ-  
რობილე, დასახლებული „ჯოჯოხეთური მანქანე-  
ბით“, სიკვდილის კამერებით, რომლებიც მხატ-  
ვარს სცენის გვერდით კიდევში ჩაუმწყრი-  
ვებია და შეუნიღბავს წითელი ფერის ხასხასა  
ფარდებით, მდიდრულად მორთული ყოფითი ან-  
ტურაჟით, ფუფუნების საგნებით. ასეთია სკარპი-  
აის კაბინეტი — უსიამოვნო ლამაზი და გამაღი-  
ზიანებლად მოწესრიგებული. ბოროტმოქმედების  
ეს მიზეზივარ ბუნავი მოპირკეთებულია „რე-  
ლიგიური პანორამით“, რომლის ცენტრშია  
ჯვარცმული ქრისტეს ფიგურა, გარემოცული თო-  
რმეტი მოციქულის ასევე საგანგებოდ გაღიდე-  
ბული და დროდადრო შიგნიდან გაზონათებული  
თანატოლი პორტრეტებით. ყურადღებას იპყ-  
რობს მოციქულთა გამომეტყველებაც — მათ  
მშვიდ სახეებს ოდნავ შესამწევი ირონიული,  
დამცინავი და სევდანარევი დიმილი შეპარავი-  
თ... ქვეტექსტი მრავალსმითქმელია და ნა-  
თელი — ქრისტიანული რელიგია წარმოად-  
გენს პოლიციური რეჟიმის ნიღაბს, დროშას,  
მრწამსს!

აქ სცენოგრაფიული კონცეფცია აყვანილია  
კულმინაციამდე. მაგრამ ყოფითი ანტურაჟის  
ლაბიდარულ ფორმებსა და მხატვრის ფერწერულ  
ხელწერას შორის შესაბამობა აღინიშნება: ქრი-  
სტეს ფიგურას ისევე, როგორც კავარადოსის ნა-  
ხატ მადონას პირველ მოქმედებაში, აშკარად  
დაპკრავს სტილისტური მანერულობის დაღი.  
სხვა სახეით მანერაშია შესრულებული მოციქულ-

სპოლტა — შ. ლოლობერიძე.



თა პორტრეტებიც. საქმე იმაშია, რომ საყვარელი  
კაბინეტის ანტურაჟი და აქუსუარები, ისევე რო-  
გორც მთელი სპექტაკლის კონსტრუქციულ-საგ-  
ნობრივი გადაწყვეტა, შეგნებულად მოდერნიზე-  
ბულია. ამის გამოა, რომ სცენაზე ბოლომდე არ  
ზუსტდება მოქმედების ადგილი და დრო, რაც  
სპექტაკლში აშკარად განზოგადებულია. სპექტა-  
კლის ფერწერული გადაწყვეტა კი მანერულია,  
კონკრეტულია და გარუკვევლია სტილისტურა-  
დაც. ან იქნებ ესეც მიზანია, თავისებური ხერ-  
ხია, მეტაფორა? იქნებ ამ გზით ცხდად მხატვარ-  
მა გამოეხატა ქრისტიანული მორალის გაყალბე-  
ბის, გაუფასურებისა და დამახინჯების პათოსი?  
დღეს ეს მხოლოდ ვარაუდია, მიუღწეველი მი-  
ზანია... ამ შემთხვევაში განუხორციელებელი  
შთანაფიქრის მიზეზი უფრო მარკვეულია: ამ ახ-  
ალგაზრდა და ნიჭიერ მხატვარს, მის ხელწერას,  
გამოუცდებლობის გამო, ჯერ კიდევ აკლია მხატვ-  
რული დამაჯერებლობა და სტილისტური სი-  
ცხადმცე.

მესამე მოქმედებაში კათოლიკური ტაძრის ინ-  
ტერიერი ციხედ, ნამდვილ სატუსალოდ გადაიქ-  
ცა. აქ დეკორატიული გადაწყვეტის სიმძიმის  
ცენტრი გადმოტანილია რკინის იმ მძიმე ფარ-  
და-გისოსზე, რომლითაც ჩარაზულია მთელი სცე-  
ნა. აქაც ისევე, როგორც პირველ მოქმედებაში,  
კონსტრუქციას კომპოზიციურად ჰკრავს ციხის  
„გუმბათზე“ აღმართული, ზეცისაკენ დამიზნე-  
ბული ორსახოვანი ჯვარი — დაშნა, ჯვარი-მახ-  
ვილი.

სცენოგრაფიული კონცეფციის განვითარებაში,  
განათებათან ერთად, აქტურად მონაწილეობს  
ფერწერული პალიტრაც: სიმბოლურადაა გამოყე-  
ნებული შავი (სიკვდილი), წითელი (სისხლი)  
და თეთრი (თავსუფლება) ფერები. თეატრალური  
კოსტუმებიც, პერსონაჟთა შესაბამისად, ძირითა-  
დად, ამ ტონებშია გადაწყვეტილი, რაც ხატოვ-  
ნებით მსჭვალავს სპექტაკლის კოლორიტს.

ამრიგად, ნ. გაფრინდაშვილმა სცენოგრაფიუ-  
ლი საშუალებებით დაბაბული პოლიტიკური ატ-  
მოსფერო წარმოსახა, რეჟისორმა ვ. ნიკოლაძემ კი  
მიზნად დაისახა ამ ატმოსფეროს პერსონიფიცი-  
რების, გამოაშკარავებისა და გამოწველების ამო-  
ცნა. მან სკარპია დააყენა რეჟისორული კონცე-  
ფციის ცენტრში და მას დააკვირა ორი როლი,  
ორი ფუნქცია — იგი სპექტაკლში რელიგიურ-  
პოლიციური დიქტატურის სიმბოლოცაა და სამ-  
ხილებელი იარაღიც. ასეთმა პოზიციამ სკარპიას  
პოლიტიკური ფიზიონომიის აქტივობაც გამო-  
იწვია, რაც გამართლებულია მუსიკალური პარ-  
ტიტურით, უფრო ზუსტად კი იმ მიზეზივარ და  
შაგნული ლეიტმოტივით (ან ლეიტმორნიით),  
იპერის პირველივე ტაქტებში რომ მკვიდრდება და  
ერთდროულად „ტერორისა“ და სკარპიას თემას  
წარმოსახავს.

ამ ორი თემის, ორი ფუნქციის გასამაფრებ-



სცენა სპექტაკლიდან „ტოსკა“.

ამ პერსონაჟების ფონზე შედარებით მჭიდროდ  
 ლად გამოიყურება მღვდელთმსახური. არადა,  
 თვით პუჩინი ახასიათებს მას სკერცოზული ხა-  
 სიათის თემით, ბუფონური ელემენტებით. აქედან  
 გამომდინარე, ამ კოლორიტული პერსონაჟის მა-  
 ხვიღონიერული წარმოსახვაც შეიძლება. იგი  
 კი რატომღაც ტრადიციული ოპერულობის სფე-  
 როში დარჩა.

პორტრეტული დახასიათების პრინციპს რე-  
 ჟისორი მიმართავს სკარპიას წარმოსახვის დრო-  
 საც. იგი, აქაც, მოურიდებლად იყენებს გროტეს-  
 კულ-პლასტიკური შარჟირების ხერხებსა და სა-  
 შუალებებს, რაც გამოსჭვივის სკარპიას უაღრე-  
 სად ანტიპათიური გარეგნობიდან — არაბუნებრი-  
 ვად დაქიმული სხეული, ჯიუტად გამწვანებულ  
 კისერი, არაპროპორციულად დიდი თავი. იგი  
 მელოტიცაა, მისი ქვევეები ჟინიანია და მკაცრი...  
 ესაა კარიკატურული უტირების საკმაოდ აშკა-  
 რა გზა, რომელიც მსუბუქ, დინამიკურ კომიზმ-  
 ში კი არ იღებს გამოხატულებას, არამედ უხეშსა  
 და მიმეც, აგრესიულ სატირაში, მაგრამ პერსონა-  
 ჟის შინაგანი არსი, მისი ბუნება უძლებს ამგვარ  
 დაბტვირთვას — გროტესკულ გახვიადებასა და  
 ნატურალისტურ გამიშვებებს, რადგან ამ ხერ-  
 ხებს საყრდენი აქვთ მუსიკალურ პარტიტურაში,  
 ვერისტულ ეთიოტიკასა და იდეოლოგიაში.

და მაინც მეტი კონტროლია საჭირო, უმათე-  
 რესად კი სკარპიას სიკვდილის სცენაში, სადაც  
 გროტესკულ-ნატურალისტური გამომსახველობის  
 პათოსი აყვანილია კულმინაციამდე. აქ კვლობის  
 ფსიქოლოგიური პროცესის ნაცვალად ავკაცს  
 სიკვდილის ფიზიოლოგიურ გამოვლინებებთან.  
 ამიტომ იქნება სიკვდილის აღწერისა და არა  
 წარმოსახვის სურათი.

სკარპიას როლის შემსრულებელმა ახალგაზრ-  
 და მომღერალმა თ. ფარცხანიამ პირნათლად შე-  
 ასრულა თავისი მისია — შიავნო სკარპიას ხა-  
 სიათის ნერეს, მისი ფსიქიკური წყობისათვის შე-  
 საცხების ინტონაციას, აქტიური და ვოკალური  
 გამომსახველობის ერთიანობის გზასაც. ნათლად  
 გამოჩნდა ამ სერიოზული ვოკალისტის პროფესი-  
 onული ზრად, დაოსტატებისკენ აღებულ გეზში.  
 რაც მას თანდათან სულ უფრო ახლოს მიიყვანს  
 პუჩინისეული მუსიკის სტილისტურ სისტემასთან.

ასეთია სპექტაკლის ერთი პოლუსი — უხეში,  
 სასტიკი, მძიმეწარე... სპექტაკლის მეორე პოლუსი  
 კი გამსჭვალულია ამაღლებული, ფაქიზი რომან-  
 ტიკით... იმისათვის, რომ ამ სამყაროთა შო-  
 რის კონტრასტი უფრო მძაფრად და მკვეთრად  
 გამოჩენილიყო, რეჟისორმა, როგორც ჩანს, მხა-  
 ტრულ სახეთა (ტოსკა, კავარადისი) ლირიზა-  
 ციის გზა აირჩია. მაგრამ ამით უწინელად ის პე-  
 როიკულ-დრამატული ენერჯია და ტემპერამენტი,  
 უფრო მეტად რომ გამაწვავებდა ამ სამყაროთა  
 კონფლიქტური შუპირისპირების პროცესს. საქმე  
 იმაშია, რომ ლირიზაციის ტენდენციის გამო

ლად სპექტაკლში სკარპიასათვის შექმნილია ცო-  
 ცხალი ფონი — თანამზრახველთა და მოქმედელთა  
 მთელი შტატი! ამ უტყვი და უსახური ანტურ-  
 რაჟიდან ორი მკვეთრად ინდივიდუალიზირებუ-  
 ლი ტიპია გამოყოფილი — პოლიციელი სპოლეტა  
 და ჯანდარმი შარონე, რომლებიც რეჟის-  
 სორს აქტიურად ჰყავს ჩართული მოქმედება-  
 ში. მთავარი კი ისაა, რომ ეს პირ-  
 წაყარდნილი ჯაშუშები ვ. ნიკოლაძემ სკარ-  
 რპიას სახის „გასამდიდრებლად“, გასამგლავ-  
 ნებლად მოიშველია. მათ, თავის მხრი-  
 ვაც, დაავალა პოლიციური მექანიზმის ამოძრა-  
 ვება, სკარპიას მოქმედების კომენტირებაც. ასეა  
 ვადაწყვეტილი პირველი მოქმედების ფინალი,  
 მეორე მოქმედებაშიც.

ამ სცენებში, სკარპიას მხარდამხარ, განსაკუ-  
 თრებით სპოლეტა და შარონე აქტიურობენ. ისი-  
 ნი ხან კათოლიკური ტაძრის ლაბირინთებში  
 დაძრწიან, ხან დაძვრებიან სკარპიას კაბინეტის  
 სხენეზე. ამასთან ერთად, ზე პერსონაჟები გრო-  
 ტესკული შარჟირების გზით დაყვანილია კარი-  
 კატურამდე. ამით მათ ასეთ დაძაბულ ატმოსფე-  
 როში მკვეთრი დინამიკური და კომედირი კონ-  
 ტრასტიკ შემოქაქთ. სახასიათო როლებს წინა  
 პლანზე წამოწევენ დიდად შეუწყვეტი ხელი მომ-  
 ლერებმა — შ. ლობჯინიძემ (სპოლეტა) და  
 გ. კინწურაშვილმა (შარონე). რომელთა „გმირე-  
 ბი“ ყურადღებას აბყრობენ სახაითობრივი სი-  
 უსტით, არტისტინობით, სახიერი პლასტიკური  
 მეტყველებითაც.



ტოსკას სახემ დაკარგა შინაინი ძალა, ამის შედეგად საექტაკლში ვერ განვითარდა, ვერ დაიბაბა ტოსკასა და სკარპიას დამაპირისპირებელი რთული ფსიქოლოგიური სველები (ვევლი-სხმობ როგორც სცენურ, ისე მუსიკალურ ინტერპრეტაციას) არადა, სწორედ ამ დროს მთელი სივსადილი უნდა გამოჩენილიყო ტოსკას გმირული ტემპერამენტი, შეუპოვარი ხასიათი, რითაც საექტაკლში წინასწარ შეშინდებოდა და ერთგვარად მაინც გამართლდებოდა ამ ოპერისათვის უწვევლო, მაგრამ თავისთავად საინტერესო და სრულიად მოულოდნელი ფინალური პასაჟი. საქმე იმაშია, რომ რეჟისორმა ტოსკას ბედი დიამეტრულად შეატრიალა — სიცოცხლე შეუნარჩუნა და იგი შურისძიების, შურისგებლობის, მოუდრეკლობის მარადიულ სიმბოლოდ აქცია. ცხადია, ესოდენ თამამ განცდებებს ესაჭიროებოდა საფუძვლიანი დასაბუთება, წინამძღვრების შემზადება, შთანაფიქრის თანმიმდევრული გატარება და ლოგოეკური განვითარება. რეჟისორი კი მიიწოდო მოულოდნელობის ეფექტს, რომელმაც, მართლაც, მოახდინა შთაბეჭდილება, მაგრამ ვერ დაგვაჯერა.

ან იქნებ ჰეროიზაციის პროცესი უბრალოდ ვერ აისახა სცენაზე, ვერ გამოვლინდა საექტაკლში? იქნებ ეს შთანაფიქრი ტოსკას პარტიის შემსრულებელმა ია ჯაფარიძემ ვერ წარმოსახა? ანადა, ამ ნიჭიერ მომღერალს ვველაფერის თითქოს ხელს უწყობს — ლამაზი და ცლიერი ხმა, საინტერესო გარეგნობა, განცდის უნარიც. ეს ნათლად გამოჩნდა ამ საექტაკლიდან, მაგრამ აქედანვე გამოჩნდა მომღერლის ბუნებრივი ლირიკული მიდრეკილებებიც, ერთგვარი არტისტული ძალდატანებაც.

ლირიზაციის ტენდენციამ კავარადოსის რომანტიკულ სახეშიაც კპოვა თავისებური ანარეკლი — თითქოს უფრო პოეტურ-მელანქოლიური ელფერი მისაც, რამაც ტონი დაუწია პუჩინისეულ მხურვალეობას და ვგზატყავის (ვევლისხმობთ როგორც სცენურ, ისე ვოკალურ ინტერპრეტაციას). ასეთი შთაბეჭდილება დასტოვა ლირიკულმა ტენორმა იმერი კავსაძემ, რომელმაც საექტაკლი პროფესიული კულტურითა და არტისტული სიწრფელით გამსჭვალა.

დინამიკურად, მღვდლვარედ ვითარდებიან საექტაკლში ტოსკასა და კავარადოსის უმოთიერთობის სველები. შთაბეჭდვაცაა მათი სრული შეხედრება — კათოლიკურ ტაძარში, სკარპიას კაბინეტსა და სატუსალოში. სამივევან რეჟისორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კავარადოსის ადგილს სცენაზე — საჯაროდ აქაყვს, საგანგებოდ ამყოფებს კონსტრუქციის „ამაღლებულ“ წერტილებსა თუ ცენტრებში: ეკლესიის კიბის თავზე (I მოქმედება), სკარპიას კაბინეტის სხენზე (II მოქმედება), სატუსალოს კიბის თავზე (III მოქმედების ფინალი). ქვეტექსტა ნათელია.

აქედანვე აშენებს იგი ფართოდ გამოლი, სივრცობრივად ტვეად მიზანსცენებს, რომელთა გავრცელების მოცულობითი არე არ ემორჩილება ტრადიციული ოპერატულობის „შედეგად“ სახურვებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ტოსკასა და კავარადოსის ექსპრესული შეპირისპირების მომენტი — ემოციური და რელიეფური მიზანსცენა, დიაგონალურად რომ ჰკვეთს სცენას მეორე მოქმედებაში აღსანიშნავია აგრეთვე ტოსკასა და კავარადოსის უკანასკნელი შეხედრება რკინის ფიში ფარდა-გისოსის სიმბოლური გაუნარჩუნების მიმხედრება და ბოლოს, კავარადოსის სახე საექტაკლში სიმბოლურად განზოგადებულიცაა. მასშია პერსონიფიცირებული შემპარწუნებელი შედეგები — მთელი მსხვერპლი რეაქციული დიტატურისა.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია კიდევ ერთი საინტერესო რეჟისორული მიგნება: სატუსალოს კიბეებზე უწვევლო ჩამომსხდარი ფიგურები, უფრო ზუსტად კი ლანდები ცოცხალ ფონს რომ უქმნიან მათსავით უცოდველსა და განწირულ კავარადოსს. ესაა რეაქციული ეპოქის სარკე, ასეთია სულის შემხუთეული ატმოსფეროს ტრაგიკული პანორამა.

და კიდევ ერთი რეჟისორული მიგნება, სიმბოლური განზოგადების კიდევ ერთი მაგალითი — სასიკვდილოდ განგმირული კავარადოსი ზეზურად კვდება, მისი სხეული თანდათან ზუსტად ისეთ პლასტიკურ სახეს მიიღებს, როგორც სკარპიას კაბინეტში ჯვარცმული ქრისტის ფერწერულ გამოსახულებას ჰქონდა...

ამ თამამა ქვეტექსტმა, მეტაფორამ, ასოციაციამ ორაზროვნად დაუსვა წერტილი პოლიტიკურ დრამას.

ასეთია ზოგადი შთაბეჭდილება საექტაკლ „ტოსკას“ პრემიერიდან, რომელმაც, მართლაც, დიდი აღმავლობით ჩაიარა. ამაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქუთაისის საოპერო თეატრის მთავარ დირიჟორს რევაზ ზურცილავას, ესოდენ რთული და მრავალსახოვანი რეჟისორული-სცენოგრაფიული პარტიტურა მოლონობაში რომ შეკრა და იგი მუსიკალურ გამოსახულებათთან დააკავშირა. რ. ზურცილავამ შესამჩნევად აამაღლა კოლექტივის საშემსრულებლო დონე, მიადწია საორკესტრო, საუნდლო და ვოკალური გამომსახველობის ორგანიზებს, გეზო აილი პუჩინის მუსიკის სტილისტური თავისებურებები გამოვლინებისაკენ.

მთავარი კი ისაა, რომ ესოდენ საინტერესო და ორიგინალური საექტაკლი დაიბადა სწორედ აქ — ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე, რაც მის პოტენციურ შესაძლებლობასა და პერსპექტიულობაზე მეტყველებს.





„ხილი“

## პრალის კაპერული

## თეატრის სცენაზე

ა. ჩხაიძის პიესა „ხილის“ სცენური ცხოვრება დაიწყო ქ. რუსთავში. მას შემდეგ ამ დრამატულმა ნაწარმოებმა საქართველოს თითქმის ყველა თეატრის სცენა შემოიარა. 1968 წელს მოსკოვში საგასტროლოდ მიწვეულმა რუსთავის თეატრმა ეს სპექტაკლი დედაქალაქში ჩაიტანა. მასურებელმა გულბილად მიიღო იგი, მოსკოვის თეატრალური საზოგადოება დანტერესდა პიესით და ლეონიდ ზორინმა პიესა რუსულად თარგმნა. გავიდა დრო, ა. ჩხაიძის „ხილი“ დაიდგა საბჭოთა კავშირის ოცდაათზე მეტ ქალაქში სხვადასხვა ენაზე, მათ შორის მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში, ტალინში, ვილნიუსში და სხვ.

ამ ბოლო წლებში კი ეს დრამატული ნაწარმოები გასცდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს და ჯერ ბულგარეთის ქ. ბლაგოეგრადის სცენაზე დაიდგა, მარშან კი, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ერთთვიანი დაკავშირებით, შეიტანეს საბჭოთა კულტურის დღეების პროგრამაში. და, აი, 1975 წლის 5 ნოემბერს პრალის კაპერულმა თეატრმა ჩემ მასურებელს უჩვენა ქართველი დრამატურგის ცნობილი პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი. პრემიერას დიდი წარმატება ხვდა.

თუ რა დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველი დრამატურგის ნაწარმოების პრალის კაპერული თეატრის სცენაზე დადგამა, ამაზე ცხადად მიტკვევებს წარბოდეანის პირფარამის პოლიგრაფიული და შინაარსობრივი გაფორმება, პრემიერაზე ქართველი დრამატურგის მიწვევა და პრალის ცენტრალური გაზეთების გამოხსენება.

აი, თუნდაც, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში „რუდე პრაგოში“ გამოქვეყნებული რეცენზია. ავტორი სწერს: „თანამედროვე საბჭოთა დრამატურგიის აღმოჩენად უნდა მივიჩნიოთ ჩვენს სცენაზე ქართველი ავტორის, ალექსანდრე ჩხაიძის „ხილის“ დადგმა, რომელიც ჩეხურ ენაზე თარგმნა დ. იანდროვამ. პიესა დადგა პრალის კაპერულმა თეატრმა. 51 წლის დრამატურგი და მწერალი ცნობილია არა მარტო საქართველოში, სადაც იგი დაიბადა 1924 წელს, არამედ მისი პიესები იდგმება მთელ საბჭოთა კავშირში“.

„ავტორი მასურებლის წინაშე სცენა დღევანდელი დღის მწვევე საჭირობოთო საკითხებს, გვიჩვენებს გმირთა შინაგან ფსიქოლოგიურ ცხოვრებას და ყველაფერი ეს ხდება კომუნისტის მომავალი, აქტიური, მოქმედი ადამიანის სახელით, ადამიანისა, რომელიც ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებას აშენებს. მთავარი გმირის, პროკურორის ახალგაზრდა თანამშრომლის სახეში მოცემულია ის ნიშნები, რომლებიც დამასახიანებელია საბჭოთა ადამიანებისათვის“.

„კომუნისტური მორალის ძირითადი ნიშნები ცხოვრებისადმი კომპრომისული დამოკიდებულება კი არ არის, არამედ სიმართლისა და სამართლიანობისათვის ბრძოლა. მარიკა ჩოდრინვილის ბუნებას სწორედ ეს ნიშნები ახასიათებს. მისი მიზანია პრობლემის პრინციპულად გადაწყვეტა, იგი საკუთარ ინტერესებსაც კი არავითარ ანგარიშს არ უწევს, როცა საქმე ამას მოითხოვს. მარიკა ჩოდრინვილი ისეთი გმირია, რომელიც თანამედროვე რეალური ცხოვრებით ცხოვრობს, მთლიანად დაკავშირებულია თანამედროვეობასთან და იბრძვის ცხოვრების გაკეთილმოხილებისათვის. მისი ბრძოლა ადვილი როდია, მაგრამ არაფრის წინაშე არ იხევს უკან. პიესის ავტორი ღრმად ანალიზებს გმირთა შინაგან ბუნებას და ეს მას ხელს არ უშლის იმაში, რომ პიესა, უპირველეს ყოვლისა, იყოს პოლიტიკური, მიუთითებდეს და ამხელდეს წარსულის გადმონაშთებს, ცალკეული პრობლემების შემჩანობას, ვიწრო ეგოისტურ ინტერესებს“.

აი, ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური გაზეთი „რუდე პრაგო“ ა. ჩხაიძის დრამატულ ნაწარმოებს, რაც ნაოლად გვიდასტურებს, რომ ამ პიესის დადგამა პრალაში საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია.

რადგან პიესის ავტორია ა. ჩხაიძე სპეციალურად მიიწვიეს პრემიერაზე, ადგილობრივმა ჟურნალისტებმა მას, რა თქმა უნდა, მრავალი კითხვა მისცეს და ჩეხურმა გაზეთებმა დაბეჭდეს რამდენიმე ინტერვიუ.

სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური ბიუროს ორგანოს, მღლდა ფრონტას კორესპონდენტი ა. ჩხაიძეს კითხება: „იციით თუ არა თქვენ, რომ „ხილი“ ქართველი ავტორის პირველი თეატრალური ნაწარმოებია, რომელიც პრალაში დაიდგა?“

ა. ჩხაიძე — „მისიარია, რომ მე პირველი ქართველი დრამატურგი აღმოვჩნდი, ვისი პიესაც პრადსი დაიდგა, მაგრამ, დამეწმინდეთ, რომ საქართველოში ბევრია ისეთი დრამატული ნაწარმოები, რომლებიც უთუოდ დაინტერესებს ჩემოსლოვაკიებს კულტურულ საზოგადოებას“.

პიესა დადგა ცნობილმა ჩეხმა რეჟისორმა ი ვაისმა, მხატვრულად გააფორმა ფრანკოზეკ სკრიპირკმა, კოსტიუმებიც ეკუთვნის ადოლფ უნისს, მუსიკა სპექტაკლისათვის შეარჩია ი. ჯეფ სმეტანამ.

ირაკლი რაზმაძის, პროკურორის როლს ასრულებს ვაცლავ ვოსკა, მარიკა ჩოდრიშვილისას — ლიბუშე შვორნოვა, არჩილ საცანელიას — იან ტრიშკა, გერონტი სართანასას — ოტო ბუდინი, ანეტასას — იარმილა შემიკალოვა, გიორგი გორდეზიანასას — კარლა გოგერი, ანზორ გუჯაბიძისას — მიროსლავ მოსოუსევი.

თუ როგორ შეფასებას აძლევენ ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური გაზეთები სპექტაკლის დადგმას და ჩეხი მსახიობების მიერ უცხო ქვეყნის წარმომადგენელი გმირების თამაშს, ამაზე ცხადად მეტყველებს ის რეცენზიები, სადაც შეფასებულია როგორც რეჟისორის ხელწერა, ასევე საშემსრულებლო კოლექტივის თამაში. გაზეთ „რუდე პრავოს“ რეცენზენტი ი. ვაისზე წერს, რომ მან შესძლო ეჩვენებინა ცალკეული პერსონაჟების როგორც შინაგანი ბუნება, ასევე მათი იდუარო მსოფლიმდევლობა და წარმატებით შესძლო ამ ორი შემადგენელი ნაწილის ერთ მთლიანობაში შერწყმა. ი. ვაისმა რეალურ გარემოში გამალა დრამატული მოქმედება და ნაწარმოებს ეფექტურობა მიანიჭა. მაყურებელი წარმოდგენის მიმდინარეობის მთელ მანძილზე მონაწილეობა მოქმედებაში. ყველაფერი ემორჩილება პიესის მოთვარ აზრს — მოუწოდოს მაყურებელს, რომ თითოეულმა მათგანმა თანაბარი გულწრფელობით, პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერებით გააღწეოს პირადი პრობლემები „ხიდის“ დადგმა რეჟისორ ი. ვაისისათვის დიდი გამარჯვებაა და მან ღირსეულად დაიმსახურა მაყურებლის აღტაცება და ტაში.

ამ სპექტაკლში არც ჩვენი მსახიობების თამაშია ნაკლებ კოლორიტული, დამაჯერებელი და შედგენიანი. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ პროკურორის როლის შემსრულებელი ვ. ვოსკა, რომელიც წარმოვიდგება მასმეტაბურ, შინაგანად მდიდარ, დრამატუზით სასვე, ღრმა ადამიანურ პიროვნებად. ასევე ოსტატურად შეასრულა პენსიონერი ინჟინრის, გიორგი გორდეზიანის როლი კარალ გოგერმა (სამწუხაროდ, ამ როლის შემსრულებელი, ცნობილი ჩეხი მსახიობი იაროსლავ რაუერი სპექტაკლის დაწყების წინ კულისებში გარდაიცვალა). კ. გოგერმა მაყურებელი დააწმუნა, რომ ყველაზე ეპიზოდურ როლშიც კი ხელშეწყობა უნდა იყოს ჭეშმარიტი მსახიობის პენსიონერი ინჟინერი ცხოვრებისადმი კე-

თილსინდისიერად დამოკიდებული ადამიანია და საქმეს შეგნებულად უდგება.

ყველაზე რთული, მარიკა ჩოდრიშვილის როლის შესრულება, რა თქმა უნდა, ლიბუშე შვორნოვას ერგო წილად. ეს როლი მსახიობისაგან დიდ პროფესიულ დახელოვნებას და სპექტაკლის მიმდინარეობის რიტმის ზუსტ დაცვას მოითხოვდა. აი, როგორ ახასიათებს მის თამაშს ერთ-ერთი ახალგაზრდული გაზეთის რეცენზენტი: „მთავარი გმირის, პროკურორის თანაშემწის როლს თამაშობს ლიბუშე შვორნოვა, ახალგაზრდა ქალი, რომელიც სიმართლისათვის იბრძვის და საკუთარი რისკის ხარჯზე აღწევს კიდევ მიზანს. ცდილობს გაიფართოს თავისი ცხოვრებისეული გამოცდილება, მაგრამ თავის სიმართლეს სწორად ისე მტკიცედ, ისე გაბედულად იცავს, რომ დამაჯულობის გამო ზოგჯერ კარგავს კიდევ მაყურებლის სიმბაძისას. მაგრამ მან მინც ჩინებულად გაართვა თავი ამ რთულ როლს.

მარიკა ჩოდრიშვილი — ლიბუშე შვორნოვა  
ირაკლი რაზმაძე — ვაცლავ ვოსკა.



დიდი წვლილი შეიტანეს სპექტაკლის წარმატებაში სხვა მსახიობებმაც. ყოველი მათგანი ცდილობდა ზუსტად ისეთი სახე შეექმნა, როგორც პიესის ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული და ეს სპექტაკლი მართლაც იქცა „სეზონის საუკეთესო დამოლოებად“.

რა თქმა უნდა, ჩვენ აქ არ შევეციდია მთლიანად მოვიტანოთ ყველა რეცენზია, რომლებიც ამ სპექტაკლის დადგმა მიედრნა, მაგრამ ა. ჩხაიძის პიესას რომ მართლაც წარმატება ზღვა წილად პრადის კამერული თეატრის სცენაზე და ჩეხოსლოვაკიის კულტურულმა საზოგადოებამ რომ იგი გულთბილად მიიღო, ამას ცხადყოფს ჩეხოსლოვაკიის თითქმის ყველა ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნებული რეცენზიები, რომლებშიც პიესის ავტორსა და სპექტაკლის დამდგმელ კოლექტივს ჭეშმირი იხსენიებენ.

ძარბაზულ სოფელში ძველთაგანვე შეიქმნა საცხოვრებელი სახლის ეზოს გამწვანების ტრადიციები. სახლის დასადგმელად უმთავრესად მწვანე მთლით დაფარულ ამაღლებულ ადგილს ირჩევდნენ, იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ მზის სხივები ზომიერად შეჭრილიყო ოთახებში. ჩრდილის შესაქმნელად დიდრონი ფოთლოვანი ხეები ირგვებოდა, ხოლო ეზოს მწვანე მთლი მოსავდა. საკარ-

ამის ერთ-ერთი მაგალითია სოფელ წინანდალში პოეტ ალ. ჭავჭავაძის კარმიდამო.

კარმიდამოს გამწვანების ეს ისტორიული ტრადიცია უნდა შევინარჩუნოთ და განვავითაროთ. გვემსურობა, მხატვრულ-დეკორატიული, ყოველმხრივ მოფიქრებული გადაწყვეტა უნდა დაედოს საუბედოდ საცხოვრებლის ესთეტიკური გარემოს შექმნას.

საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ბევრგან გაიხსნა სასოფლო სახლ-მუზეუმები, ბევრ მოსახლეს ლამაზად გამწვანებული კარმიდამოები აქვს.

სოფლად, სადაც ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს ნარგავების გახარებას, მცენარეული მომრავლდა, გახშირდა.

დასავლეთ საქართველოს სოფლებში, დაახლოების ცენტრალური ტერიტორიის მხატვრულად გაფორმე-

# სოფლის მწვანე სამოსელი

შევიწარმეთ და განვაანთაროთ  
კარგი ტრადიცია

## ზურაბ ალუღიშვილი

მიდამოში რგავდნენ აგრეთვე ხე-ხილს. ხალხი ვარდ-ყვავილებითაც ამკობდა კარმიდამოს. აღმოსავლეთ საქართველოში წვეულებას უმთავრესად ბაღებში აწყობდნენ.

არქანჯელო ლამბერტი „სახერგელის აღწერაში“ მოგვითხრობს, რომ მეგრულ ვლენებს კარმიდამოებში ხეები მწკრივად ჰქონდათ დარგული, ჩრდილის ქვეშ ისვენებდნენ და პურაყ იქა სჭამდნენო.

ჩვენი წინაპრები ეზო-გარემოს გამწვანებით რომ თავს იწინაგრებდნენ,

საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრების შემდეგ თანამედროვე სოფელში განდა ახალი წარმოება-დაწესებულებები, კეთილმოწყობილი ტერიტორიებით, კარმიდამოებით, სოფლის ცენტრით და ამ ცენტრის მაპროფილენებელი შენობებით. ახალი ტიპის შენობებმა, დეკორატიული ხეებისა და ბუჩქების ნარგავებმა, ტერიტორიის მწვანე მთლით შემოსვამ შეცვალა სოფლის საერთო ხედი.

სოფელი დაამშვენა კულტურულ-

ბის მხრივ, გამოირჩევა ნატანები, შრომა (მახარაძის რაიონი), ოქუმი (გალის რაიონი), ჭაბუკიანი, გელათი (ლაგოდეხის რაიონი) და სხვა სოფლები. ქუჩებში და მოედნებზე ლამაზი დეკორატიული პალმები აღმართული. ირვლივ სხვადასხვა ფერის სურნელოვანი ყვავილები და ჩარადმწვანე ბუჩქები ხარობს. მწკრივების წინ გაშენებული ნარგავები და გახონები ალამაზებს სოფლის მიდამოებს.

სოფელ ნატანების ცენტრში საბა-





ვგო ბაღის და სხვა შენობები დეკორატიულ ხეებში, ბურქებსა და ყვავილებში ჩაფლული. სოფელ შრომის ადმინისტრაციული და სხვა დანიშნულების შენობათა ტერიტორიებზე სუბტროპიკული მარადმწვანე მცენარეებისა და ყვავილების გაშენება მსატრელო გემოვნებითაა გადაწყვეტილი.

სოფელ გელათის მცხოვრებ მშობი ხარატიშვილების კარმიდამო შემოზღუდულია მარად მწვანე ცოცხალი ღობით, კვიპაროსის მწვანე ხეებით. უზოები ერთმანეთისაგან გამოყოფილი არ არის და ერთ მილიან დეკორატიულ ბაღს წარმოადგენს.

მთელ რიგ სოფლებში მსატრეულად არის გამწვანებული მწერალთა და სასოფლო მოღვაწეთა სასლ-მუხეუმების ტერიტორიები, მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ილია ჭავჭავაძის კარიბდაშო ყვარელში, რომელიც მეტად სასაბოძოვო სანახაობას წარმოადგენს.

სოფელ ჭაბუკიანის (ლაგოდეხის რაიონი) ადმინისტრაციული შენობის ტერიტორია მცენარეულის სამოსელშია გახვეული. შენობის შესასვლელს თაღვანი თალარი გასდევს, მის ორივე მხარეს წიწვოვანი ხეებია გაშენებული, დანარჩენი ტერიტორია დეკორატიული ხეებით, ბურქებით და ყვავილებითაა გამწვანებული.

მთელ რიგ სოფლებში აივნებსა და ნაჯარებს მცენარეულობით ამკობენ. საამისოდ, ძირითადად, გამოიყენებულა მცენარე მცენარეები — ვაზი და აქეინდია. შედარებით იშვიათად, ნაგრამ მინც ხელებით საცხოვრებელი სახლის წინა მხარეს ორ ან სამ სახლიდან გაზის თარალს (ტალავარი).

გას შენდგე, რაც გურჯაანისა და ზუსტაქონის რაიონებმა კარმიდამოების, ქუჩების, სასოფლო გზების, საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილების და მწვანების ინიციატივა აიღეს, სოფლებში ბევრი რამ გაკეთდა ამ მიზნით.

სოფლის ცენტრის, მთავარი ქუჩისა და მოედნის გამწვანება და ახ-

ლებური ზონის კეთილმოწყობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მწვანე ნარგავები არა მარტო უნდა აუმჯობესებდნენ მიკროკლიმატს, არამედ სოფლის განაშენიანების არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციურ სახეს უნდა ქმნიდნენ.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სხვა დანიშნულების შენობების ტერიტორია მწვანე ნარგავებითა და სკვერებით მთავარ ქუჩას უნდა უკავშირდებოდეს. ხეები და ბურქები ისე უნდა განლაგდეს, რომ მთავარი და უფრო საინტერესოდ გადაწყვეტილი არქიტექტურული შენობის ხედი არ დაიფაროს. სკვერის ტერიტორიაზე ნარგავების განლაგებამ ადამიანთათვის უნდა შექმნას დასვენების პირობები. ბავშვების სათამაშოდ გამოყოფილი ნაკვეთი მზიანი უნდა იყოს, თანაც უნდა ნიავედბოდეს, ისე, რომ გამოკლ ქარებს ადგილი არ ჰქონდეს. ბავშვების მცხოვრებ მზისაგან დასაცავად სათამაშო ადგილის ნაწილი ხეების ჩრდილში უნდა იყოს მოქვეყნული.

ნარგავები სახლის წინა ფსადიდან დამორბეული უნდა იყოს არა ნაკლები 3-5 მეტრისა. მათ შორის უნდა შეიქმნას გაზონი, ეზო ორ ნაწილად უნდა გაიყოს. ერთ მხარეს უნდა მოეწყოს ტალავები, მეორე მხარეს კი დეკორატიული კუბოვ გაზონის, ყვავილების და ბურქებისაგან. თავისუფალი ადგილი უნდა დაეთმოს მწვანე მოლს.

მთავარ ქუჩაზე სკვერი ან ბუღვა-რი უნდა გამწვანდეს მრავალწლიანი ყვავილებით, ხე-ბურქებით. ბურქები შეიძლება დაირგას გაზონებშიც. სოფლის ქუჩებზე, ორივე მხარეზე უნდა მოეწყოს ტროტუარები, ბილიკები, უნდა დაირგას დეკორატიული და კურკოვანი ხეები, ალაგ-ალაგ ვაზი, რომელიც ტროტუარის მიუღს სივრცეზე ტალავებს შექმნის. ხეებს შორის უნდა მოეწყოს გაზონები. ქუჩის ასეთი გამწვანება ზუსტად მზისაგან, ხოლო ზამთარში ქარბუქისაგან დაცვას ადამიანებს.

შენობებსა და ტროტუარებს შორის გაშენებულმა ნარგავებმა შენობები რომ არ დაფაროს და მზე ოთახებში თავისუფლად შევიდეს, დაბალი ტანის ნარგავები უნდა მოვირდით და მაღალი ხეები დავრგათ.

ხეები და ბურქები ისე უნდა განლაგდეს, რომ, ხედილობის თვალსაზრისით უზრუნველყოფილი იქნას ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობა.

ხშირ შემთხვევაში დასვენების ზონა მოსახლეობისათვის მისაწვდომად იქნება, იქ, სადაც ხე-ბურქების სიუხვა, ან თავისუფალი ადგილები, სადაც შეიძლება პარკი გაშენდეს.

დასვენების ზონის დაგეგმარება, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია დასახლებული პუნქტის სიდიდზე, მის რელიეფსა და იმ მცენარეულობაზე, რომლებიც აქ მოიპოვება. როგორც წესი, ამ ზონაში უნდა მოთავსდეს სპორტული ნაგებობანი: კლუბი დაბავიანი, სტადიონი, საცეკვაო მიედანი, სასაფხულო კინოდარბაზი, ესკარა და სხვა. დასასვენებელ სექტორში უნდა მოეწყოს სამკითხველო, სალექციო დარბაზი, ბავშვთა გასართობი ადგილი.

მეცხოველეობის ფერმის ტერიტორიაზე, სადაც გამოიყოფით ნიადაგი ნესტიანდება, გაშენებულ უნდა იქნას ისეთი ჯიშის ხეები და ბურქები, რომელიც ნიადაგს გაამაგრებს.

დამწველი ზოლის გამწვანებისათვის ისეთი ჯიშის ხეები და ბურქები უნდა შირჩეს, რომლებიც სიცოცხლისუნარიანი არიან, ატმოსფერული ნალექების გავლენით ან ნიადაგის შემადგენლობით არ ზიანდებიან და არ გაანჩინოთ ერთნაირი ბიოლოგიური ნიშნები.

ჩვენ მოკლედ შევხებით თანამედროვე სოფლის გამწვანებისა და მსატრეულ-დეკორატიული გაფორმების ზოგიერთ საკითხს. სახლის კეთილდღეობის, მისი კულტურის შემდგომი ამაღლების ამოცანები გვიკარახებს მტიკ ყურადღება დაეუთმოდ თანამედროვე სოფლის კეთილმოწყობას.





# მუშვილობით, კვირფასო მეგობარო...

რა უცნაური ბედი მქონია, ყველა მე გაგაცილეს, ყველას მე ვუთხარი გამოსათოვარი სიტყვა, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ შენს კუბოსთან მომიწევდა დგომა, შენც სამუდამოდ გამოგეთხოვებოდი.

მასხოვს, როცა მეფე ერეკლეს ტანსაცმელს იცვამდი, ძალზე მოგწონდა შენი თავი, გიყვარდა ქართველი ხალხის ქედმოუხრელი გმირის როლის თამაში, არ ზოგავდი არც ნიჭს და არც ენერჯიას, რომ მისი ჭეშმარიტი სახე დაგენახებინა ქართველი ხალხისათვის, მეუბნებოდი, შემომხედე, რა ლამაზი ვარ, არაფერი მომკლავს, მაგრამ თუ მაინც მიწია სიკვდილმა, ერეკლეს ტანსაცმელში დამმარხეთო. მე მაგას ვერ მოგვესწრები, შენზე ადრე წავალ ამქვეყნიდან და როცა დამიტყრებ, შენს სიტყვეებში, რაც შეიძლება მეტი იუმორი უნდა იყოს ჩაქსოვილი-შეთქი.

დღეს ჩვენ უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ დიდ ხელოვანს, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ცვაკეები, ჩვენი სიმღერები, ჩვენი წარსული და მომავალი, ხელოვანს, რომლის სიცოცხლე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის მაჯისცემასთან.

იგი მართლაც სახალხო არტისტი იყო, და დღეს სწორედ ქართველი ხალხი მოვიდა მისი დეაწლის დასაფასებლად, მასთან გამოსათოხებლად. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ საოცარი ნიჭის შემოქმედი იყო და ხალხისათვის არაფერი ენანებოდა, რაც კი გააჩნდა. გულისხმიერად ეპყრობოდა მეგობრებსა და პარტნიორებსაც. სცენაზე მუდამ სითბო და სიხალისე შემოჰქონდა.


მისი იყო ეს თეატრი!  
ამ სცენაზე ათეული წლების მანძილზე მეფობდა, ახლა კი უჩვეულო სახით წვეს და დღეს.

დღეს უკანასკნელ გზაზე შენი მარჯანიშვილის თეატრი გაცილებს, მაგრამ შენ მაინც სამუდამოდ დარჩები ჩვენს შორის, მარად იცოცხლებ, რადგან შენს ხმას ინახავს ეს ფარა, კულისები, კედლები. შენ გააცოცხლე უმარავი გმირი, შთაბერე მათ სული და ისინიც შენს სახელს სამარადისოდ შეინახავენ.

ო, რა ძნელია ჩემთვის შენი დაკარგვა, მაგრამ რას იზამ, ასეთი ყოფილა ცხოვრება. მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! დიდად გაუჭირდება უშინოდ შენს თეატრს. მშვიდობით ვასო, მიდინარ და თან მიგაქვს ჩვენი სიყვარული, ჩვენი დიდი პატივისცემა და ჩვენი გულის დიდი ნაწილი.

ვერიკო ანჯაფარიძე.





ყონჭვისი. წმ. ნიქოლოზის ეკლესია.

# ყინწვისის მოხაჯულობა და ქართული რენესანსის საკითხები\*

ოთარ ფირალიშვილი

„ქართული რენესანსი“ პირობითი, მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი და „მხატვრული“ აზროვნების ისტორიული ფაქტებით გამართლებული ცნებაა, თუმცა მისი საყოველთაო აღიარება არცთუ ადვილია. ყოველი ადამიანის წარმოდგენაში რენესანსის ცნება აღორძინების ეპოქის იტალიურ კულტურასთან იმდენადაა დაკავშირებული, რომ მას უნებლიედ ეტალონის მნიშვნელობას ვანიჭებთ, რითაც არიტაღლივი ხალხის თავისთავადი კულტურის შეფასებაში სერიოზულ შეცდომებს ვუშვებთ. მხედველობიდან გვეპარება, რომ თითოეულ ეროვნულ ერთეულს, სხვებთან საერთოს გარდა, ადამიანის თავისუფლების შესახებ ისტორიულად ჩამოყალიბებული საკუთარი წარმოდგენები, გამოხატვის საშუალებები ჰქონდა, რაც, მხატვრულ ტრადიციათა სხვადასხვაობასთან ერთად, რენესანსული მოძრაობის მრავალფეროვნების საწინდარი იყო.

ცნობილია, რომ თავისებური ისტორიულ-სოციალური პირობების შედეგად, ჩვენში დაავლეთ ევროპაზე რამდენიმე საუკუნით ადრე ჩაისახა „ქალაქ-რესპუბლიკები“, დემოკრატიული ტენდენციებით (1.145-150), რაც ხელს უწყობდა საერთო და ჰუმანისტური იდეალების ფორმირებას. მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმ გარემოებას, რომ XI-XII საუკუნეებში საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი პროგრესული მოწინააღმდეგეობა და დემოკრატიული ფენების საერთო ინტერესები მკვეთრად დაუპირისპირდა დიდ ფეოდალთა ცენტრიდანულ ტენდენციებს. ამან გამოიწვია წოდ-

ბრივი უპირატესობის ეპოქალურ წარმოდგენათა ერთგვარი გადაფასება და პიროვნულ ღირსებათა წინა პლანზე წამოწევა.

როგორც ცნობილია, ეს თვით ეკლესიის ფარგლებშიც კი მოხდა. საკმარისია გავიხსენოთ 1103 წლის რუს-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც წოდებრივი პრინციპით „უღირსად გამოჩინებულობას“ „ჭეშმარიტ მწყემსთა“ პირადი ღირსებანი დაუპირისპირა (2. 157) და ამით ადამიანის პიროვნულ ღირსებათა აღიარებას, არსებითად, პრინციპის მნიშვნელობა მიანიჭა.

გაერთიანებულსა და მძლავრ სახელმწიფოში კულტურის დიდ აღმავლობას თვისობრივი გარდატეხის ნიშნები დაეტყო. ადამიანი, პიროვნება და თავისუფლებისადმი სწრაფვის ინტერესები გარკვეული წრეებისათვის მხატვრულ ღირებულებათა საზომი გახდა და თვით საეკლესიო ხელოვნების დოგმატიკურ ინერციამაც კი სქოლასტიციზმის უარყოფელი — ჰუმანისტური იდეალი წამოჭრა.

XI-XIII საუკუნეების ქართული ხელოვნების პრობლემათა ამ რკალში ყინწვისის მოხატულობას ფრიად საყურადღებო ადგილი ენიჭება. მასში მკაფიოდ გამოიხატა შუასაუკუნეობრივი სქოლასტიციზმში ჰუმანისტური იდეალების დაპირისპირება რენესანსული ტენდენციებითა და ადამიანური სილამაზისკენ სწრაფვით, ხოლო თუ ყოველივე ეს XIII-XVI საუკუნეების დასავლეთევროპულ მასშტაბებთან შედარებით მცირე მოჩანს, მის მნიშვნელობას ეს ვერ დასცემს. ყინწვისის მოხატულობის მთელ კარკასში მისტიციზმი და დოგმატიციზმი, ცხადია, ძირეულად არ შეიცვალა რენესანსული კონცეფციით, მაგრამ, ტრადიციული ნორმების ფონზე, ადამია-

\* ქართული რენესანსის პრობლემების ირველი იხ. III. Нучи-бидзе, Руставели и Восточный Ренессанс, Тбилиси, 1967; შ. ნუცუბაძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, გვ. 159-220.





ნური თავისუფლებისადმი ტრფილის გამოვლინება მეტ-ნაკლებად საჩინოე რომ იყოს, ხელოვნებათმცოდნეობის განსაკუთრებული ინტერესისა და შესწავლის საგანს უნდა წარმოადგენდეს.

სამწუხაროდ, ქრისტიანული შუასაუკუნეობრივი ხელოვნება საერთოდ, კერძოდ კი ქართული ხელოვნება, დომინანტიზმისადმი პუზანისტური ოპოზიციის თვალსაზრისით, სპეციალურ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, არ განიხილება. უმთავრესად ის კი არ უნდა ირკვეოდეს, დომინანტიური ტრადიციებიდან რას ინარჩუნებს ქართული მხატვრობის ესა თუ ის ძეგლი, არამედ ის, თუ რა სახისადმი გამოირჩევა იგი. ეს უფრო სწორად განსაზღვრავდა მის ადგილს ეროვნულ და, ამავე დროს, საკაცობრიო პროგრესული იდეების განვითარებაში.

წინამდებარე ნაშრომი ყინწვისის მოხატულობის ამ პოზიციიდან გამოკვლევის ცდას წარმოადგენს და ძირითადად იმას შეეხება, რაც პროგრესული იდეოლოგიის ეროვნულ ძეგლებში უფლავარ ასებებით და მნიშვნელოვანია.

ყინწვისის „დიდმუხეიერად ნაშები“ ეკლესია ქარელის რაიონში, სოფელ ყინწვისიდან ორიოდე კილომეტრზე, „მბალალ ადგილას ზედა“ ტყით დაფარულ ტაფოზე დგას. ამ სოფელს აცდებიით თუ არა, თვალს არ ეფარება მთის კალთებში ჩამუხადარი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის გუმბათი, რომელიც მკაფიოდ ფორმითა და ქართული აგურის მოვარდისფერ ტონით მწვანე მადამთისნ მოხდენილად შერწყმული. ეს არის მოწოდებული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, რომელსაც გიორგი მესამის, თეოდოს თამარის, გიორგი-ლამას „ჯგუფური“ პორტრეტი და სახელგანთქმული „ყინწვისის ანგელოზის“ ხატება ამოუნერესა.

ამვე სამონასტრო ტერიტორიაზე, ყინწვურას ხევის ნაპირას, ღვთისმშობლის სახელობის ერთნავიანი ბაზილიკის საკურობეველია შემორჩენილი. ეს მცირე ეკლესია, ჩანს, ყინწვურას ადგილის მსხვერპლი გამხდარა. საკურობეველი შემორჩენილი მხატვრობა, სტილის ნიშნების მიხედვით, ნიკოლოზის ეკლესიის კათოლიკონის მოხატულობას ენათესავება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს ეკლესია ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში მთლიანი სახით არსებობდა. ამას რომ მისი მოხატულობაც არ მოწოდებდეს, ისედაც საკვყო იქნებოდა ღვთისმშობლის სახელებს ესოდენ მცირე სამოცველო წმ. ნიკოლოზის დიდი ნაგებობის შემდეგ აგვით. პირითი, უფრო დასაშვებია, რომ თამარის ეპოქაში ამ მიდამოში მხოლოდ მცირე ეკლესია არსებობდა. გაერთიანებული და ძლიერი საქართველოს პირობებში კი იგი აღა შეესაბამებოდა ადგილობრივ ფეოდალთა გაზრდილ მოსოფინილებებს და ამავე ეპოქაში წმ. ნიკოლოზის „დიდმუხეიერი“ ეკლესიაც აუშენებიათ.

წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მასშტაბურობით მოხიბლული ვლესივარნი. ჩანს, სათანადო ყურადღებას ვერ უთმობდნენ მცოდნეობის ეკლესიის ნაშენს. ამით უნდა აიხსნას სპეციალურ ლიტერატურაში მისი გაკვირთ მოხსენიება, საერთოდ მოუხსენებლობაც. ამ ეკლესიას კი მეტად მნიშვნელოვანი მხატვრობა აქვს შემორჩენილი, რომელსაც, ჩემი აზრით, ქართული მხატვრული პროფინების ისტორიაში საპატიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილის დროს ეს ეკლესია უკვე ნანგრევს წარმოადგენდა, რადგან „ადწურაში“ მას საერთოდ არ იხსენიებს (3. 3,44, 662).

ყინწვისის მოხატულობა ჩვენი საუკუნის მხოლოდ მოცდაა ათიანი წლებიდან იქცა მცენიერული კვლევის საგანად. მინი „წინასწარი“ მოვლ და უმთავრესად იკონიორაფიული აღწერალობა და გორდევს ეკუთვნის (4. 411-415), რომელიც გაკვირთ შეგბო ამ ძეგლის სტილსა და ტექნიკას. ვფიქრობ, გორდევსი შენიშვნას, რომ ფრესკოსიან ერთად სკეოს ტექნიკაც არის გამოყენებული, სპეციალისტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. სამწუხაროდ, არც თვით გორდევს, არც სხვა რომელიმე მკვლევარს და არც ამ ძეგლის რესტავრატორებს (5. 8-13) ეს ფაქტი ღრსეულად არ შეუფასებიათ, თუმცა თამარის ეპოქის შემორჩენებში პროფინებსა სხვადასხვა ტექნიკის შერევამაც იქონია თავი.

თუმცა უშუალოდ ყინწვურას არ იხსენიებს, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ეროვნული ხელოვნებათმცოდნეობის პატრიარქის აკად. გ. ჩუბინაშვილის შენიშვნები საერთოდ XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ქართულ ეკლესიის მხატვრობაში პროგრესულ სწრაფვასა შესახებ, რომელიც მან გამოთქვა გარეგნის ძეგლებისადმი მიძღვნილ ნაშრომში. კერძოდ, ბერ-თუნიანს ფრესკებთან დაკავშირებით მან საკურობისმოდ აღნიშნა, რომ მათში მუდანებდა ისეთი პროგრესული მიდრეკილებები, რომელნიც დასაღლეთ ევროპის მხატვრობაში XIII საუკუნის ბოლოდან ჩნდებოდა. ამასთანავე, აკად. გ. ჩუბინაშვილი ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში ფრესკების მნიშვნელოვანი მოვლენისადმი „ყურადღების გამახვილებას“ და მის „სრულად და ღრმად შესწავლას“ აუცილებლობაზე მიუთითებდა (6. 57).

აკად. შ. ამირანაშვილი ყინწვისის წმ. ნიკოლოზის მოხატულობის მიმოხილვაში საესებით ნაშართლიანად ასკვნიდა, რომ ეს ძეგლი „ავაშებს და აერთიანებს ქართულ ეკლესიის მხატვრობის მიღწევებს საუკუნეთა მანძილზე“. მან აღნიშნა, აგრეთვე, რომ ეს ქმნილება „წინ უსწრებს იტალიური ხელოვნების სინების სკოლის მიღწევებს“ (7. 192), რითაც თავისთავად გულისხმობდა ყინწვისის მოხატულობის რენესანსულ ასპექტში განალოზების აუცილებლობას.

ამრიგად, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ეკლესიის მხატვრობის რენესანსული ხასიათის შესახებ აკად. გ. ჩუბინაშვილისა და შ. ამირანაშვილის ნაშრომებში ხაზგასმითაა მინიშნებული, მაგრამ არა მთლიან ეკოლოზად გასაზიარებელი იყოს შეხედულება, თითქმის ქართული მხატვრობის რენესანსული სიხალხი, სტილისტური თვალსაზრისით: მაინც, იტალიური პროტორენესანსის წინა საფეხურს წარმოადგენდეს: ჯერ ერთი, იდეოლოგიური მსგავსება სხვადასხვა ხალხის ხულიერი კულტურის საფურთია იდენტურობას არ ნიშნავს. კონკრეტულ შემოსევაში კი ყინწვისის თვით შუასაუკუნეობრივ დომინანტიზმის ჩარჩოებში ზოგი ისეთი მოცდა აქვს გადაწყვეტილი. რაც იტალიური პროტორენესანსის საგანს არ წარმოადგენდა და დასავლური რენესანსის მხოლოდ უმაღლეს საფეხურზე გამჩნდა.

წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოხატულობას ეხება თამარ მეფის თოხი პორტრეტისადმი მიძღვნილი გ. ალიბეგაშვილის მასშტაბიანი მონორაფიული გამოკვლევაც (9). სასებში საარბევლია გ. ალიბეგაშვილის შეხედულება, რომ ამ ეპოქის ძეგლებთან (მაგ. ბეთანია) შედარებით ყინწვურაში უფრო მეტად იგრძობა დეკორატივისადმი მიდრეკილება. მაგრამ იმის გამო, რომ დეკორატივისში იდეურ-სოციალური არსი შესწავლილი არ არის და საერთოდ ხელოვნებათმცოდ-

ნეობაში გაგებულია, როგორც მორთულობითი თვითკმარობა, ავტორს ყურადღება სწორედ აქეთკენ აქვს გადატანილი (9.86, 96-97 და სხვ.), მაშინ, როდესაც ყინწვისის მოხატულობის „დეკორატიუზმის“ არის ცხოვრებისეული სიღამა-ზოთ ტიპობის რენესანსული თვალსაზრისი შეადგენს.

წინამდებარე სტატიის სპეციფიკური ხასიათი და საზღვრები მოხატულობის დაწერლობით აღწერის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ მკითხველს ამ ხარვეზის შევსება ადვილად შეუძლია არაბული ლიტერატურის საშუალებით (4. 411-415; 10. 283-7). აღენიშნავ მხოლოდ, რომ როგორც ერთის, ისე მეორე კვლევისის მოხატულობა ქართული კედლის მხატვრობის ტრადიციული სქემითაა შესრულებული. გზადაგზა კი შეგვირდები მხოლოდ იმ გამოსახულებებზე, რაიმეხასაყ ეპოქის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ეროვნულ თავისებურებათა თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს.

წმ. ნიკოლოზის ეკლესია. ანგელოზი კომპოზიციიდან „მუნელ-სახებულე დედანი მაცხოვრის საღლაფათა“.



ვიდრე თამარის ეპოქის მხატვრობას უშუალოდ ანგელოზები, უნდა აღინიშნოს, რომ თვით ნიკოლოზის ტაძრის ნართეკსში დაცულია ბევრად უფრო გვიანდელი მხატვრობა. აქვეა ქტიტორის პორტრეტი წარწერით — „ზაზა ფანასკერტელი“. ამ სახელით ისტორიულად ცნობილია ორი პიროვნება: XV საუკუნის სახელგანთქანი ექიმი XV საუკუნის, ავტორი სამკურნალო წიგნისა, მეორე კი — XVII საუკუნის შუახანებში მოღვაწე, ვახტანგ მესუთის სარდალ-სახლთუხუცესი, რომელმაც თავი ისახელა სამხედრო ნიჭით და მეცენატობით. ვფიქრობ, აქ წარმოდგენილი უნდა იყოს XVII საუკუნის მოღვაწე, არა მარტო იმიტომ, რომ სწორედ ეს პიროვნებაა აქვე დაკრძალული (11. 478). არამედ უფრო იმის გამო, რომ მისი პორტრეტი და ამავე სტილით შესრულებული კომპოზიციები XVII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ფრესკების გარკვეული ნაწილისათვის დამახასიათებელი რეალისტური ტენდენციების (12. 55-73) ხალხურ ნაკადზე მიგვიანიშნებენ, რაც ამ საუკუნის დასაწყისიდანვე საერთოდ საქართველოში რეალისტური ხელოვნებისადმი უდიდესი ინტერესის გამოძახილია\*.

მხატვრობის ამ ნაწილში არა ერთი სახე ტრადიციული საეკლესიო იდეალიზაციისაგან მკვეთრად დამორებას მოწოდებს. კიდევ მეტიც, აქ მხატვარი აშკარად მის თანამედროვე კონკრეტულ პიროვნებას ასახავს, ზოგჯერ მათი გამარჯების აშკარა სურვილითაც კი.

გვიანფეოდალურ ხანაში ცოცხალი სინამდვილის უშუალოდ და შეუღამაზებლად ასახვის გაძლიერებულმა ტენდენციამ შუასაუკუნეობრივი დოგმატიკური იდეალიზაციისა და ხატვის მალაი კულტურის თანდათან მივიწყებით, ხელი შეუწყო „ხალხური რეალიზმის“ ფრესკაში შეტრას და, პირიქით, დაზღურ ხელოვნებაში ფრესკული სიმბოლურობის დამკვიდრებას. XVII-XVIII საუკუნეების ქართული ხელოვნების ამ თავისებურებამ XX საუკუნეშიც კი იჩინა თავი ფიროსმანის განსაკვიფრებელ დაზღურ ტილოებში, როგორც გენიალურ ინდივიდში ფრესკული ტრადიციის მნიშვნელოვანმა გამოძახილმა.

თამარის ეპოქის მხატვრობიდან, წმ. ნიკოლოზის ტაძრის სამხრეთი კედლის ქვედა რიგში, ამ ოციოდე წლის წინათ, ჯერ კიდევ ნათლად მოჩანდა ქტიტორის — ანტონ გნოლის-თავის ძის გამოსახულება, ტაძრის მოდელით ხელში. იგი, როგორც ცნობილია, თამარის კარზე მწიგნობართუხუცესი იყო. გიორგი მესამის, თვითონ თამარისა და გიორგი ლაშას „ჯგუფურ“ პორტრეტს ჩრდილოეთი კედლის ტრადიციული ადგილი უჭირავს (9. 32-75). როგორც ცნობილია, თამარის პორტრეტი, ყინწვისის გარდა, კიდევ სამ ცნობილ ძეგლშია შემორჩენილი: ვარძიშაში, ბეთანიასა და ბერთუბანში. ამ პირთა კონკრეტული ნიშნების მიხედვით ყინწვისის წმ. ნიკოლოზის მოხატულობა საკმაო სისუსტით არის დათარიღებუ-

\* დასაქვრე საქაროში უკვე საეკლესიო დამკვიდრებული რეალიზმისადმი უდიდესი ინტერესით იყო გამოწვეული სხვადასხვა „უთხეთა მფლობელ ქართველ ფეოდალთა მიერ ქრისტეფორე კასტელის მიწვევა და ამაში ერთმეორის შევილება, აგრეთვე იტალიელ მხატვარ მისიონერთა „სკოლებში“ ქართველი ახალგაზრდობის შეყვანილობა; საკმარისია გავიხსენოთ ეკატელის მიერ დახატული რომელიც „იტალიელი ხელოვანის ნაწიწაჯარი“, „ლიდად ნიჭიერი ქართველი მხატვარი ქალი როდა მიქელაჟი“, ხელში ზეთის ფერწერის პალიტიოთ.



ლი — 1207-1213 წლებით. მაგრამ ეს თარიღი, ჩემი აზრით, მთელ მოხატულობას კი არა, მხოლოდ აფსიდისა და კათოლიკონის დეკორ ეკუთვნის. სხვა დროსაა აღმოცენებული არა მარტო ნაროეთის ფრესკები, რომლებსაც უკვე შევხვით, არამედ გუმბათის მთელი მოხატულობაც. იგი აშკარად უფრო ადრეულია. მართალია, მასში ბევრი აბრაფერია შემორჩენილი ფიგურების მიწუმენტურად გააზრების იმ სტილისაგან, რომელიც ქართული კედლის მხატვრობისათვის X-XI საუკუნეებში იყო დამახასიათებელი, მაგრამ აერ არც ის საერთო: აღმობრუნ დასტობია, რაც ქართულ კედლის მხატვრობაში XII-XIII საუკუნეებში აღინიშნა და რაც ამავე ეკლესიის აფსიდისა და კათოლიკონის მოხატულობაში ესოდენ მკაფიოდ არის აღბეჭდილი. კერძოდ, აქ ვერ იხილავთ ფიგურათა მოძრაობის სილაღსა და კოლონისტულ ინტერესებს, აყინწისივალ ცისფერს<sup>4</sup>, სახეს ბუნებრივი იერის მხატვრული განსოვადების ტენდენციას, რაც ამავე ტაძრის მხატვრობისათვის ესოდენ ნიშანდობლივია საკურთხევლისა და მით უფრო კათოლიკონის ყოველ ნაწილში. საერთოდაც, გუმბათში ჯერ არ ჩანს ის მხატვრული ამოცანები, რომლებიც თამარის ეპოქამ დასახა ქართული მხატვრობის წინაშე. გუმბათის მოხატულობა შესრულების კონსერვატიულობით გვაფიქრებინებს, რომ იგი არამარტო არ არის იმავე საჭმრის ნაწარმოები, რომელიც კათოლიკონისა და საკურთხევლის დეკორი ეკუთვნის, არამედ საგრძნობი დროითაც უნდა უსწრებდეს მათ და უნდა ეკუთვნოდეს არა უკვიანეს XII საუკუნის პირველ მესამედს. მასში მკაფიოდ არ ჩანს ის მხატვრული გარდატეხა, რაც ჩვენს ხელოვნებას საერთოდ XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე დაეტყო<sup>5</sup>. მაგრამ ბერძნული მართლმადიდებლობისადმი ეროვნული და ჰუმანისტური დამოკიდებულება, რაც ქართული ხალხში საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ვლინდებოდა როგორც რელიგიისადმი საკუთარი ბოჰიცია, თვით გუმბათის მოხატულობაშიც სასებებით ნათლად არის გამოხატული.

ქართული ხალხმა, ხანგრძლივ სტიორიულ ქარტეხილებში გამომუშავებული ფსიქიკური წყობით, ამასთან, დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის კულტურის ტრადიციათა თავიანთი არაკეთილი, სრულიად თავისთავადი ხელოვნება შექმნა. სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებასთან შეხვედრისას, მისა რწმენა არასოდეს გადაზარდოდა სარწმუნოებრივ ფანატიზმში და დასებებით ვერ წარმართულ წარმოდგენებისაგან განთავისუფლებულა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ხალხი ქრისტიანობას, ჩვეულებრივ, ეროვნული ინტერესების დრომად იყენებდა, მისდამი საღი დამოკიდებულება არასოდეს დაუკარგავს. XI საუკუნინად დაწყებული, განსაკუთრებით კი მომდევნო საუკუნეების განმავლობაში, ქართულმა შემოქმედებითმა გენიამ წინა პლანზე ქრისტიანული რელიგიისადმი დამოკიდებულების ადამიანური ასპექტი წამოსწია, რითაც ბიზანტიურ მართლმადიდებლურ დოგმატიზმს და ფანატიზმს დაუპირისპირდა.

ის იკონოგრაფიული თავისებურებანი, რასაც მკვლევარი შუასაუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ბიზანტიურისაგან განსხვავებულ ნიშნებად მიიჩნევს, რელიგიისადმი ქართველი ხალხის ისტორიულად შემუშავებული თავისთავადი დამოკიდებულების გამოხატულებაა. მასამობის საკმარისია თუნდაც ყინწისის ეკლესიის საკურთხევლთა კონქებისა და ნიკოლოზის ეკლესიის გუმბათისათვის განკუთვნილი უფ. „იკონური კომპოზიციების“ ეროვნული ინტერპრეტაციის გათვალისწინება.



„ჭვარცმის“ დეტალი.

როგორც ცნობილია, ბიზანტიური ეკლესია ისეთ ადგილებს, როგორცაა გუმბათი, „ქრისტეს ამაღლებას“ ან „ყოვლისმპყობელს“ უთმობდა. ქართულმა ეკლესიამ ამ ტრადიციას საკუთარი თვალსაზრისის მიხედვით გამომუშავებული წესი დაუპირისპირა, — გუმბათის კამაროვან ნაწილში დეკორატიული ჯვრის გამოსახულება მოათავსა.

ყინწისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის არა მარტო გუმბათის მთელ კამაროვან ნაწილზე, სამხრეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მკლავების კამარებზეც ყველგან ჯვრის სიმბოლოურ-დეკორატიული გამოსახულების კანონა შემორჩენილი. ეს ფაქტი ყურადღებას იმსახურებს, რადენადაც ძველის ერთ-ერთი ეროვნული და პროგრესული ნიშანთაგანია.

გუმბათის კამაროვან ნაწილში „ყოვლისმპყობლის“ გამოსახვას მოწმუნე-მოლოცველში არა მარტო ღმერთის ყოვლისშემპყობობისა და მისდამი შიშის განუსაზღვრელი გრძობები, არამედ საკუთარი არარობის შეგრებაც უნდა გამოეწვია. ჩანს, ქართული ეკლესიის პროგრესულმა წრეებმა თავი აარიდეს შიშის მომგვრელ ამ ბიზანტიურ კონცეფციას და ქრისტიანული რელიგიის გამარჯვებისადმი ბოჰიცირი და მოკიდებულება ნეიტრალური ფორმით გამოხატეს.

აკად. ნ. კონდაკოვი გაკვირვებას გამოთქვამდა ქართული კედლის მხატვრობის ამ თავისებურების გამო (14. 52), რადგან მას არ შეეძლო ჩვენი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებული არაფანატიკური ხასიათის გათვალისწინება. დღეს შუა საუკუნეების ქართული ხალხობრივი აზროვნება იმდენად მინაც არის შესწავლილი, რომ ამის უტოვებელყოფა აღარ შეიძლება.

ყინწისის მომხატველებს „ყოვლისმპყობელის“ გამოსახულებისათვის არც საკურთხევლის კონქში დაუთმიათ ადგილი, აქ გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმითა და მთავარანგელოზებით. მართალია, ეს თემა ქრისტიანული ღვთისმშობლისათვის უცხო არ იყო, ყველგან დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ ქართულ კედლის მხატვრობაში მისდამი ყურადღებას საკურთხევლოში მართლის კულტის არსებობა აძლიერებდა: ქართველ ხალხს თავისი სამშობლო ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყნად მიანდა. ეს რწმენა X საუკუნის ქართულ ლიტურგიულ წყაროებში ჩანს, კერძოდ, დავით დამაშენებლის უახლოესი საველეისი მოღვაწის ახანს ბერის თხზულებაში „ესხოვერება ნინოისა“ (15. 7-51). მაგრამ ქრისტიანული რელიგიისადმი ეროვნული დამოკიდებულების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს „ვედრება“ იმსახურებს. ამ კომპოზიციას (იხევე, როგორც ტიმოთეუსენის ეკ-

\* აქედან ისიც ცხადია, რომ ნიკოლოზის ეკლესიის, როგორც ხუროთმოძღვრული ნაწარმოების თამარის პორტიკეტს მიხედვით პრეტ. 3. ხაჭიათასული დათარიღება მართებული არ უნდა იყოს (13. 74). საერთოდ ეს ეს საკითხი ხუროთმოძღვრების კვლევის მთავარი კრიტერიუმით, თვითონ ხუროთმოძღვრული ფორმების ანალიზით უნდა გადაწყდეს.



ლესიაშიც) ყინწვისის წმ. ნიკოლოზის გუმბათის ყელის მთელი ზედა მწკრივი უჭირავს. აქაც წარმოდგენილია „ვედრების“ გაგრცობილი რედაქცია — ცენტრში ტახტზე მჯდომარე ქრისტეა, რომელსაც ვედრებით მიმართავენ ერთი მხრიდან ღვთისმშობელი, მეორე მხრიდან იოანე ნათლისმცემელი. ამ მწკრივის მთელ დანარჩენ არეზე „ანგელოზთა დასია“ გამოსახული.


როგორც აღინიშნა, ქართული კედლის მხატვრობა არ იზიარებდა ქრისტეს შიშისა და ადამიანის არარაობად მიჩნევის ბიზანტიურ თვალსაზრისს, სამაგიეროდ, ძალზე თვალახინთ ადგოს უთმობდა კაცთმოსარღობის კეთილშობი-

მხატვრობაში „ვედრებსა“ საკურთხევის კონქი, ანუ ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საპატიო ადგილი უჭირავს (16.52).

სპეციალური ლიტერატურა საკმაო მასალას იძლევა „ვედრების“ შესახებ. გარკვეულია, რომ მას მნიშვნელოვანი ადგილი სჭერია კაბადოკიის გამოქვაბულთა ფრესკებსა და სამხრეთ იტალიის ზოგიერთ ძეგლში. ქრისტიანული სამყაროს სხვა ქვეყნებში იგი მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება. თვით კონსტანტინოპოლში კი მან სრულიად ვერ მოიპოვა ადგიარება (17. 59-64). ფოკიდის წმ. ლუკას ეკლესიის გუმბათში „ვედრება“ ბერძნული ხელოვნებისათვის გამონაკლისი



ყინწვისი. ღვთისმშობლის ეკლესია, დეტალი კომპოზიციისა „ზიარება“.



ლურ იდეას, რაც „ვედრების“ თემისადმი განსაკუთრებულ ყურადღებაში გამოიხატებოდა.

საყურადღებოა, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში უკრაინელმა მეცნიერმა თ. შმიტმა, იმ მწირი მასალების მიხედვითაც კი, რაც იმ დროისათვის სხვა ქვეყნის მეცნიერს შეიძლებოდა ჰქონოდა, ყურადღება მიაქცია, რომ „ვედრების“ თემა ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შმიტმა „ვედრებისადმი“ ახლებურ დამოკიდებულებაში დაინახა ის ნიშანი, რომელიც ქართულ ხელოვნებას ქრისტიანული სამყაროს სხვა ხალხთა ხელოვნებისაგან გამოარჩევდა. კერძოდ, გაოცება გამოთქვა იმის გამო, რომ ქართულ კედლის

შემთხვევაა. თუ ამ მასალას გავივალისწინებთ, მაინც რჩება ძალაში შმიტისეული დებულება საქართველოში „ვედრებისადმი“ განსაკუთრებული ყურადღების შესახებ. საგულისხმოა, რომ ბულგარეთში, სადაც ეს თემა არ იყო გავრცელებული, „ვედრება“ ბაქოვის მონასტრის ყველაზე საპატიო ადგილზე — საკურთხევის კონქში სწორედ იმ სამლოცველოშია წარმოდგენილი, რომელშიც ქართული მხატვრობაა დაცული (17.60).

ქართული ხელოვნების შემდგომმა კვლევა-ძიებამ სასეებით დაადსტურა შმიტის დებულება საქართველოში „ვედრებისადმი“ განსაკუთრებული ყურადღების შესახებ. თუმცა

არც ერთ მეცნიერს ეს მოვლენა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჰუმანიტური თვალსაზრისის გამოვლინებად არ გაუაზრებია (18).

ქრისტიანული დოქტრინისადმი ბიზანტიურ და ქართულ დამოკიდებულებას შორის განსხვავების ნათელსაყოფად მეტად საყურადღებოა სწორედ ის ფაქტი, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლის რწმენასთან დაკავშირებული ორი თემიდან (რომელთაგან ერთი — „ყოვლისმპყრობელის“ გამოსახვით ღმერთის ყოვლისშემძლეობას, მის მიმართ შიშს, მეორე კი — ადამიანური ცოდვების შემწყნარებლობას, ადამიანის გამოქომაგებას ეძღვნებოდა), ქართულმა ხელოვნებამ, „ვერდების“

ნიერებისადმი განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუჩინა. საკურთხევის, კათოლიკონისა და ღვთისმშობლის ეკლესიის მომსატყველები კი ამქვეყნიური მშენებნიერებისაკენ ლტოლვისას, ქრისტიანული რელიგიის მარადისობის იდეის ერთგვარი უგულებელყოფითა და „წარმავალი“ სილამაზის ასახვის ხერხთა ძიებითაც გამოირჩეულან.

საკურადღებოა, რომ ამ აშკარად პროგრესულ მხატვართა ნამუშევრებში ფრესკული მხატვრობისათვის დამახასიათებელი „ყრუ“ ლურჯის, ან მოცისფრო ნაცრისფრის ნაცვლად, ბუნებრივი მის ფერის გამოყენებული. ბუნების „მიბაძვა“ სქოლასტიციზმისადმი დაპირისპირებას ნიშნავდა. ცის გამო-

ყინწვისი. ღვთისმშობლის ეკლესია, დეტალი კომპოზიციისა „ქანანელ ასულის განკურნება“.



ყინწვისი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. დეტალი კომპოზიციისა „იერუსალიმში შესვლა“.

სახით, მეორე თემას მიანიჭა უპირატესობა და იგი საკვლევ-სიო მხატვრობის ერთ-ერთ ყველაზე საპატიო კომპოზიციად აქცია, რითაც ბიზანტიურ თვალსაზრისს დემონსტრატულად დაუპირისპირდა.

ამით ქართულმა ხელოვნებამ ქრისტიანული რელიგიის მიმართ ეროვნული, კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა. რასაც XI-XIII საუკუნეების ქართული კულტურის აღორძინებაში უდავოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

მხატვართა იმ ჯგუფს, რომელსაც ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის გუმბათი მოუხატავს, ცხოვრებისეული მღე-

სახვამი დასავლეთის რენესანსული ემპირიზმი იმიოდა წა-ვიდა წინ, რომ ცაზე ღრუბლებსაც გამოსახავდა. ტონალობის მხრივ კი ყინწვისისეული ფონდები ჰუმპირიტად ქართული ცის განსახიერებას წარმოადგენენ.

„ყინწვისის ჯგუფის“ ძეგლებისათვის, რომლებშიც უდაბნოს ნათლისმცემლის ფრესკებსაც ვგულისხმობ, ძალზე ნიშანდობლივია აგრეთვე ფერთა ზედაპირის ოდნავი ხაოიანობა და ბზინვა, რაც ყურადღებას იქცევს არა მარტო ფრესკული მხატვრობის „ყრუ“ ტონალობისაგან გამორჩეულობით, არამედ იმიოაც, რომ იმპრესიონისტული ციმციმისა და „სუფთა ფერის“ ასოციაციებს იწვევს. აშკარაა, რომ ეს თავისებურებაც





ამქვეყნიური სიღამაზის იდეალითაა ნაკარხსევი. იგი მიღწეულია რთული ტექნიკის გამოყენებით: ნახატის ქვედა ფენა ფრესკის სველი წესითა და კირხაფევი საღებავებითაა შესრულებული, რაც მოხატულობას გამძლეობას და სახეობით თავშეკავებლობის იურს ანიჭებდა. მხატვარს არ აკამყარებდა სქოლასტიკური ფერმეტყველების ნორმები. მას შიშით გაბრწყინებული სამეაროს ასოციაციები იზიდავს და ამ მიზნით ზედა ფენის სკის ტექნიკით ასრულებს, ფრესკის განყენებული ტრანალობის მიმქრავლეს ფერის სისხასხის ცვლის. მან, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცოდა, რომ სკის ტექნიკით შესრულებული ზედაპირი დროს თვრ გაუქლებდა. ამ მიზეზით ყინწვისის მოხატულობა თანადროულ ძეგლებზე ბევრად უფრო დაზარალებულია. ეს, ამავე დროს, ქრისტიანული ეკლესიის მარადისობის დეის ერთგვარ ღატატასც იწმინდავდა. მაგრამ ცოცხალი სინამდვილესთან ასოციაციის მიღწევის ცდუნება უფრო ძლიერი გამოიგდა.

ყინწვისის მოხატულობის ყველაზე საყურადღებო ნიშანი ადამიანური სიღამაზისადმი ურველო ღტვლებაა — წინდაწინ გამოსახულებები განხორციელებულია არა ანტიკური წყაროების გახსენებით, როგორც ეს ზოგჯერ ბიზანტიანში ხდებოდა (სადაც ანტიკური ნიშნები მხატვრებს თვალწინ ჰქონდა), არამედ ცოცხალი სინამდვილესთან შთაფრთხილი. კერძოდ, აქ წმინდადები გამოსახება ნატურის შესწავლაზე დაყრდნობით, რაც უცხო იყო შუა საუკუნეების დოგმატიკური ხელოვნებისათვის.

მან, როდესაც ყინწვისსამდლო ქართულ მხატვრობაში, (ბიზანტიანში კი ე. წ. „პალეოლოგურ რენესანსადე“, (XIV ს.), წმინდანის მიწერი მშვენიერების ასახვა მიუღებელი იყო, ყინწვისის მოხატულობის, ტრადიციული მუსეუმების მიუხედავად, იგი წარმოივიდგება, როგორც ქართული საერო იდეალების ბუნებრივი გამოძახილი. ყველივე ეს ეხება ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის არგუმენტის, არამედ კათოლიკონის, საკურთხევისა და ღვთისმშობლის ეკლესიის აფსიდის მოხატულობას. იხირო, „ამა ქვეყნის სიბრძნის“ ფარულად მოტრფიალე, მოწინავე მიმართულების მხატვართა ქმნილებანი, რომლებმაც სხვადასხვა ღონის, ხასიათისა და მეტნაკლები ოსტატობის რამდენიმე ხელწერაა შესამწნევი. მათგან ზოგიერთი ზედმიწევნით კარგად ხატავს ადამიანის ფიგურას. მათ ნახატში მიღწეულია ხატვის ისეთი კულტურა, რომელიც „ზემოასიონობის“ დოგმატიკურ მარწუხებში ვერ გამოიყვანებოდა. ქვემოთ მათ ყველაზე „დიდოსტატებად“ მოიხსენიებ, სხვა „ოსტატებისა“ და შევირდებისაგან გამოსარჩევად.

როგორც ცნობილია, საეკლესიო ხელოვნებაში მოღვაწე მხატვრები ცოცხალი ნატურთან ხატვის პრინციპულად არ სწავლობდნენ იმ წესით, როგორც ეს თანამედროვე რეალისტურ ხელოვნებაში მიღებულს. მიუხედავად ამისა, როცა საეკლესიო ხელოვნება ადამიანის პროპორციებს მოახლოებით მაინც იყავდა, არა მარტო ანტიკური ხელოვნებდან მომდინარე ტრადიციებს, არამედ, უპირველესად, ცოცხალი სინამდვილის ასოციაციებს ეყარებოდა. ყინწვისში კი უშუალოდ ნატურის სკოლური შესწავლა იგრძნობა. ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის ყინწვისში მოღვაწე რომელიმე მხატვარი უშუალოდ ცოცხალი ნატურით სარგებლობდა. ცოცხალი ნატურის გამოყენება შესაძლებელი იყო არა უშუალოდ ეკლესიაში მუშაობის დროს, არამედ ოსტატად ჩამოყალიბებისას. ამასთან დაკავშირებით გამოიყვანილი არ არის წერილობითი წყაროს აღმოჩენაც, რაც კიდევ უფრო განამტკიცებდა ჩემს აზრს თამარის ეპოქის საქართველოში ისეთ ხელოვნებათა არსებობის შესახებ, რომლებიც ხატვის საიდეუმოლოგიაში ბუნებისა და ადამიანის შესწავლით ეუფლებოდნენ. ყინწვისის ეს დიდოსტატები არა მარტო კარგად წარმოსახვდნენ ცოცხალ ნატურს, არამედ მისი რენესანსული გაგებისთვისაც მიუღწევიათ. ამას ამდავანებს ავტორი წმ. მხედრებისა, ანგელოზთა ფიგურებისა, „ხარებაში“ და განსაკუთრებით კომპოზიციაში — „მეწმინდესებელ დედანი მაცხოვრის საფლავთან“. ხატვის ამაგვარივე კულტურა ჩანს ღვთისმშობლის ეკლესიის აფსიდშიც, კერძოდ „ზიარებისა“ და „ქანანელი ასულის განკურნებაში“.

საკულისხმობა, რომ მცირე ზომის ღვთისმშობლის ბაზილიკის მოხატულება დიდოსტატთა ნახელობა, ხოლო დიდი ეკლესიის ესოდნ საპატრი ნაწილი, როგორცაა საკურთხეველი, ოსტატებსა და შევირდებს მოუხატავთ.

ყინწვისში მოღვაწე ოსტატებსა და დიდოსტატებს შორის განსხვავების გასაიფარისწინებლად საკმარისი ორივე ტაძრის „ზიარების“ კომპოზიციათა შედარება. ამას აადგიულებს ისიც, რომ ორივე ერთი და იმავე ე. წ. „ისტორიული რეაქციითაა“ შესრულებული, მაშინ, როდესაც წმ. ნიკოლოზის ტაძრის „ზიარებაში“ მოიქცეულა ჯგუფური მხატვარს, „დედნის“ მექანიკური გადიდებით, დეკორატიულ მთლიანობაში ვერ გაუხატებია, ღვთისმშობლის ეკლესიის იგივე სიუჟეტის ვირტუოზულადაა ხორცშესხმული.

დიდოსტატები, როგორც ერთი, ისე მეორე ეკლესიაში, ადამიანის ანატომიის არა მარტო ცოდნას, არამედ ფიგურისადმი ისეთ ესთეტიკურ დამოკიდებულებას იჩენენ, რაც უცხოა შუასაუკუნეთაბრივი იდეოლოგიისათვის. სამკარისა და ვაკვირებით მათ მიერ შესრულებულ ხელის მტევნებსა და ფეხის ტერფებს და შევადაროთ ოსტატთა ნახატებს.

დიდი ტაძრის სამხრეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ: მკლავები მოხატულობა ძლიერაა დაზიანებული, ამიტომ, დიდოსტატთა ყველა ნახატის „წყაიხობა“ ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვს. ერთი რამ კი გამოუცნობია: რატომ აარიდეს დიდოსტატები ყველაზე საპატრი ადგილების მოხატვას? ამ ადგილებზე ხომ სწორედ ასეთ ბრწყინვალე ხელოვნათ უნდა ემუშავათ? მაგრამ ეს ჩვენი დროის ლოგიკაა და არა შუა საუკუნეებისა. შუასაუკუნეებში, საეკლესიო ცენზურის თვალსაზრისით, მცირე შემოქმედებით თავისუფლებს საითორიო და მიუღწეველი იყო. მხატვარს უფლის ნება-სურვილი უნდა შეესრულებინა, შემოქმედებით უნარი მხოლოდ თვითონ დემერის მიეწერებოდა, უფლის ნება-სურვილის უკეთ განხორციელების უნარი კი ხელოვანის ხანდაზმობითან ისაზღვრებოდა.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საპატრი ადგილებზე დიდოსტატთა გამოუყენებლობა მათი შემოქმედებითი სილაით უნდა აიხსნას. კლერიკალურმა ცენტრებმა, როგორც ჩანს, უპირატესობა ხანდაზმულსა და კონსერვატიულ მხატვრებს მიანიჭა.

ადამიანის აღნაგობის მხატვრული წარმოსახვის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იმსახურებს ქალის ფიგურა კომპოზიციაში — „ქანანელი ასულის განკურნება“. მხატვარს უსარგებელია შეშინებებით, რომ არა წმინდანის, არამედ ჩვეულებრივი მოკვდავის დახატვა მოითხოვებოდა და იგი მიე-





ლი თავისი ადამიანური მოხდენილობით აუსახავს. ქალწული უგვეულოდ მიწიერი და მოხდენილია. სხეულის ესოდენ დამაჯერებელი პლასტიკური გამოხატვა უცხო იყო შუა საუკუნეების ბიზანტიასა და მართლმადიდებლური აღმოსავლეთის ხელოვნებისათვის. სხეულის კონფორმაცია მმტპმშილი პლასტიკური მინტატიისა შესრულებული. ეს კი ცხადყოფს, რომ თუ კი შემთხვევა მიეცემოდა, მხატვარს სრულებით არ ესაძვირებდა შუა საუკუნეების ხელოვნების ტრადიციებისა და შაბლონების გამოყენება. იგი ადამიანის ფიგურას ხატავდა წარბისახეით, ემპირიულ მასალაზე იმ დიდი ვარჯიშით მიღწეული ცოდნის საფუძველზე, რაც შუა საუკუნეთა საკულტო ხელოვნებისათვის საერთოდ, და კერძოდ კი ბიზანტიისათვის, მის პროგრესულ ეტაპებზედაც კი, პრინციპულად მიუღებელი იყო.

წმ. ნიკოლოზის ცკლესიის მოხატულობაში ხატვის მეტად მაღალ კულტურას ვხედავთ „ყინწვისის ანგელოზის“ სახელებითქმულ ფიგურაში, რომელიც კუთვნიის კომპოზიციონის — „მენელისცხემელ დედანი მაცხოვრის საფლავთან“. საამარისია დაგვიკრძოთ ანგელოზის ფიგურის მთელ კონსტრუქციას — მისი სხეულის ნაწილთა ორგანულ კავშირის მთლიან ფიგურასთან — თავს, კისერს, მხრებს, ხელებს, ფეხებს, რომლებსაც არა მარტო უზაღვ ანატომიური ლოგიკით, არამედ ხაზის საოცარი ზეაწეული დინამიკურობით არიან დაკავშირებულნი. ამას ნათელყოფს არა მარტო ფიგურის ორგული შემოვლებული კონსტრუქცია, არამედ სამოსის მრავალაოქიანი კონსტრუქციაც, რომლის ყოველი მონახაზის დეკორატიული ლოგიკა ანატომიურ ლოგიკას ექვემდებარება.

დიდოსტატებისაგან განსხვავებით, ყინწვისის ის ოსტატები, რომლებსაც ნიკოლოზის ტაძრის „ზიარება“ ეკუთვნიის, შედარებით მოკლებულნი არიან ხატვის რენესანსულ კულტურასა და ვიზუალურობას, სამაგიეროდ, მათ ტიპიკა საინტერესო გააჩნება გამოარჩევით. ამას მოწმობს „ჯვარცმის“ კომპოზიციონი ლონგინოსის ექსპრესიული გამოსახულება, რომელიც რეალური პიროვნების ფართოდ ტრანსფორმირებულ სახედ აღიქმება და ამით დიდ შთაბეჭდილებას ტრეებს. იგივე ითქმის „ამაღლების“ მოცეკლულთა და იერუსალიმის მკვიდრთა შესახებაც „იერუსალიმში შესვლის“ კომპოზიციონში.

ეს ოსტატები, საერო ინტერესებს რომ ამტკიცებდნენ, ხალხური ხელოვნების ძირებუდაც ძლიერ დახლოებულინი ჩანან, ოღონდ აკადემიური ზუსტდულობით ხასიათდებიან და დიდოსტატურ „დედნებსაც“ დიდოსტატებზე უფრო თანმიმდებრულად იმიორებენ.

წმ. ნიკოლოზის ტაძრის ზოგიერთი კომპოზიციის რეტაქსა თუ ცალკეულ ჯგუფში უშუალოდ ხალხური ხელოვნების ძირებიდან მომდინარე, ნალებად აკადემიური ნაკადითა შეინიშნება, რომელიც, სამაგიეროდ, ტიპიკის გამოკვეთითა და ფსიქოლოგიური დახასიათებით იქცევის ყურადღებას. ერთ-ერთ ასეთ მხატვრის შეუსრულებია, მაგალითად, მცველთა ჯგუფი კომპოზიციონი „მენელისცხემელ დედანი მაცხოვრის საფლავთან“.

ყინწვისის დიდოსტატთა შესაბამევი თავისებურება, ჩემი აზრით, მამისუფალი რწმუნასწალი იქმნის გამოხატულებულ ინტელექტური ლტოლვაა. ესეც, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნული სხვა თავისებურებანი, ყინწვისის მოხატულობას შუა-

საუკუნეობრივი საეკლესიო ხელოვნების დანიშნულებას აკრძობებს და მას ისეთი მხატვრული ამოცანების წინაშე აყენებს, რომელთა საბოლოო დასაწყვეტაც გვიან, დასავლეთ ევროპის ხელოვნებას ხელა წილად, დიდ სოციალურ გარდატეხათა ისტორიულ პირობებში.

ცხადია, შუასაუკუნეობრივი იდეოლოგიისადმი ასეთი დაპირისპირება XII-XIII საუკუნეების საქართველოში საერთო სოციალურ და კულტურულ გარდაქმნათა პროცესით იყო გამოწვეული. ადამიანის პიროვნულ ღირსებათა აღიარებამ (რის შესახებაც 1103 წლის რუს-უზნისის საეკლესიო კრებასთან დაკავშირებით უკვე აღვნიშნა), თამარის დროის სოციალურ წინააღმდეგობებში უფრო გაამაფრთხა თავისუფლების იდეისადმი ბუნებრივი სწრაფვა. მხატვრობაში ამან ადამიანური სილამაზის, ბუნებრივი ცისა და „ცხოვრებისეული ფერების“ გამოხატვის ტენდენციები იჩინა თავი.

ყოველივე ეს, როგორც თავისუფლების რენესანსული კონცეფციის გამოვლინება, კიდევ უფრო ნათელი ხდება, თუ გავისვენებთ თავისუფლების შესახებ ასევეთ თვალსაზრისს, რომელიც საერთოდ მიხეროლ სინამდვილის, კერძოდ, ადამიანის სხეულის სიძულვილის კონცეფციიდან ამოდიოდა და არსებობს უგუბრება, როგორც მისი ცდუნებისაგან თავის დახსნისათვის ზრუნვას.

ყინწვისის დიდოსტატები ასეთი თავისუფლების კონცეფციას პრინციპულად უპირისპირდებიან და ამაშია სწორედ მათი საოცარი ოპოზიციულობა. მაისი, როდესაც შუასაუკუნეობრივი იდეოლოგიის მხედვეთი, ყოველივე ღმერთიდან იწყება და ქვეყნის გამოვლით ისევ ღმერთს ტრუნდება (დეთოთ-ქვეყაა-დეთოთი), ყინწვისის დიდოსტატები იმ თვალსაზრისისადაც იჩენენ მიდრეკილებას, რომელიც იაზრეთს მხოლოდ ორსავეფუროვან მსაფელობას (ქვეყაა-ღმერთი), ანუ ღმერთის საყვისებს თვითთა მიწიერ სამყაროში გულისხმობს.

საეჭო ისაა, რომ ადამიანის ზორციელი „პორტიკებისაგან“ გაზთავისუფლების ასევეთი თუხა წმინდანთა მძიძრათის შემოკვითა და ადამიანის იმპულსური ბუნების გამოორიციება საიფრებიოდა. ამიტომაც, რომ შუასაუკუნეობრივი ხელოვნების ძიოთიად ნინახს გაშეშებულ ფიგურათა სქოთასაოვითი, არადინამიკური კონსტრუქციები და რბკყლი ფიოთიეი აეადგენდნენ.

ეს კონცეფცია მოკლებული არ იყო მხატვრულ ლოგიკას — სქოთასაოვითაც, იავეე როგორც სინტაქსობობას ვარიანტიც არ გააბიხა. მათი ვარიაციული ცვლილება გადიდებდასა თუ შემეცირებში გამოიხატებდა. მრუდსაზოვნობასა თუ „მრუდფორმანობაში“ უსასრულოდ მრავალი ვარიანტია გასაძლეული, რომელი — ღვთაების მარადიულობისა და გენუსაზღვრელობის, მეორე კი ამქვეყნიურის გარდამავლობის ილუზიის წეჭმას ემსახურებოდა.

ვარძიბას და ბეთანიის ფრესკებთან შედარებით ყინწვისის ხაზების განსაკუთრებული სინარჩაოდ და დინამიკურობა სპეციალურ ლიტერატურაში სავსებით მართებულადა შეინშნული, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეა ახსნილი, თითქოს ეს ევოლუციური სახეცვლილება რენესანსული სწრაფებისაგან დაიკლებას ნიშნავდნენ (9.97).

ჩემი აზრით, სწორხაზოვნობა, სინტაქსობობა, კუთხოვანობა და სისხტე უკავშირდებიოდა ასევეტრზმს, განწირულობასა და სიკვდილის წარბოდეანასაც კი. რბლი, ნარნარი

ხაზები თუ ფორმები კი სამყაროს მოძრაობის, ნოყიერების, სისხლსავსეობისა და საერთოდ სიცოცხლის ასოციაციებს იწვევდნენ. ამდენად, ვარძიისა და ბეთანიის ნაკლებ მოქნილ და ნაკლებად დინამიკურ ხაზებთან შედარებით, ყინწვისში მეტად ნარნარი და დინამიკური ხაზები სიცოცხლის სილამაზისადმი ესთეტიკური ყურადღების გაძლიერებად უნდა გვესმოდეს.

ყინწვისის დიდოსტატთა ასოციაციები სამყაროს მიწიერ სილამაზესთანაა დაკავშირებული, რითაც ისინი აშკარად უპირისპირდებიან სქოლასტიკურ კონცეფციას ღვთებათა ხისტიად სიბრტყობრივ განსახიერებაში. ეს განსაკუთრებით მაკაფიოდ აირეკლა ზემოთ მოხსენიებული ანგელოზის გამოხატულებაში მისი აგტორის ესთეტიკური საგანი დროში ცვალებადი ხორციელი სილამაზის წვდომაა. ამას იგი ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხევის მომხატველზე მეტ სი-

64). მე ვფიქრობ, თამარის ეპოქის ქართულ მხატვრობაში სხეულის გრაციოზულ ასახვასთან ერთად, ნარნარი და დინამიკური ხაზოვნობისაკენ სწრაფვა სწორედ თავისუფლების იდეათა თანდათან აღმავლობად უნდა გვესმოდეს და არა მათი „პარალიზებისა“ და მისტიკურად გაგებული „დეკორატივობისაკენ“ დაქანებად, როგორც მის ზოგჯერ განმარტავენ.

თავისუფლების იდეის ასახვისაკენ სწრაფვის თვალსაზრისით, მეტად საყურადღებოა არა მარტო ყინწვისის დიდოსტატთა შემოქმედება, არამედ ბეთანიის გუმბათის ყელში წარმოდგენილი ზოგიერთი წინასწარმეტყველის ფიგურა და განსაკუთრებით კი უდაბნოს ნათლისმცემლის „ამაღლების“ კომპოზიციის ფიგურები. ნათლისმცემლის მომხატველს მოციქულთა ღლევა მარჯვედ გამოუყენებია ადამიანის მდიდარი პლასტიკის განსხეულებისათვის. საშუაარზა, რომ აქ



ყინწვისი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. თამარ მეფე, გიორგი ლამა და გიორგი მესამე.

თამაშით ანხორციელებს. მაგრამ, როგორც ერთი, ისე მეორე, სიბრტყობრიობის საიდუმლოებრივ მისტიკას ისეთ პლასტიკურ სილამაზეს უპირისპირებს, რომელიც რეალური სილამაზის ელევანტურობასა და გრაციოზულობაზე მათ წარმოდგენებს ეწყარება.

„ყინწვისის ანგელოზის“ მკლავებისა და ფეხების კონფიგურაცია სრულიად დაუფარავად მიგვანიშნებს სხმულის მასიურობის სილამაზისა. მაგრამ აქ არ არის უფორმო მასის იდეალი. მხატვარს კარგად ესმის თუ როდის იქნეს მასიურობა ესთეტიკურ ღირებულებას; რომ მასიური სხეულის მიზიდველობა მხოლოდ არამასიურობასთან დაპირისპირებასა და პარაონიაში შექადნება.

ფილოსოფიური ლიტერატურა სხეულის გრაციოზული მოძრაობის ასახვას თავისუფლების იდეას უკავშირებს (19.

მხოლოდ კონტურები შემორჩენილა, ისიც ნაწილობრივ. მაგრამ რაც არის, ისიც შესანიშნავად ცხადყოფს ადამიანის სხეულის ელევანტურობის ისეთ აღქმას, რომლითაც ჩანს, თუ XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ქართულ მხატვრობას საიდუმლოებრივი ინერტიულობის მისტიკისაკენ ბანთაშვიტულობის რა მაღალი საფეხურისთვის მიულწევია.

ყინწვისის მოხატულობის ყველაზე მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს არა „მიბაძვით“ ხატვა ადამიანისებური გარეგნობისა, არამედ წარმოსახვა იმისა, რაც ადამიანში ყველაზე არსებითი და მუხენიერია — მისი თანამოქმედობა ბუნების ღრსებათა ასახვისათვის მიმართავდა.

ჩემი აზრით, იტალიური რენესანსი მაღალ საფეხურზე (XVI ს.) კონტრაპოსტის ხერხს სწორედ ადამიანის თვითმოქმედი ბუნების ღრსებათა ასახვისათვის მიმართავდა.



ქართულ ხელოვნებაში ამ ძიებებს ჯერ კიდევ მომწიფებულ შუა საუკუნეებში ვხვდებით. XII-XIII ს. ქართული მხატვრობის პროგრესული ფრთა ამ მხრივაც მეტად საყურადღებოა. სამწუხაროდ, იგი, ამ თვალსაზრისით, ჯერჯერობით გამოვლინებული და შესწავლილი არ არის. წინამდებარე ნაშრომს კონტრაპოსტის პრობლემის საგანგებო გაშუქების პრეტენზია, რა თქმა უნდა, არა აქვს. აქ მის მხოლოდ ერთ ბრწყინვალე მაგალითს — ისევ „ყინწვისის ანგელოზს“ შევხვებით.

თქმა არ უნდა, რომ თვითონ თემა — „მენელსაცხებლედ“ დანი მაცხოვრის საფლავთან“ ანგელოზის რთულ მოძრაობაში აგებას კარნახობდა მხატვარი. ერთდროულად შეიძლება ანგელოზის ყურადღება გაეწვილებინა „დედებისკენ“ და სამარხისკენაც. XII-XIII საუკუნეების ზოგიერთი მხატვარი ჩასწვლილია საუფეტო ნაბოძებ შესაძლებლობას და

მაშე კიდევ უფრო ზრდის მკვლევარის წარმოდგენაში მხატვრის ვარს, რომელსაც შუა საუკუნეებისათვის უცხო არტისტული „თავშუკავებლობა“ გამოუჩენია.

კონტრაპოსტის აგების ამგვარი სითამამე და უმაღლესი კულტურა აშკარად გამომდინარეობს ქართული წარმართული ხელოვნების შემოქმედებითი ტრადიციებიდან, რაც „კოლხურ მონეტებშიც“ აირველა (21. 54-59), როგორც „ალმოსავლური ანტიკისა“, ან უფრო შორეულის — ეგვიპტური კონტრაპოსტის რემინისცენცია. მეორე მხრივ კი, თვით „ყინწვისის ანგელოზში“ სრულიად აშკარად ვხვდავთ კონტრაპოსტის პრობლემის არა საწყისს ან პრიმიტიულ ცდას, არამედ იმ უმაღლეს ფაზას, რომელსაც მსოფლიოში არც ერთი ხალხის ხელოვნება, თვით მიმდევრო საუკუნეებშიც კი, უფრო შორს არ გასცდენია.

კონტრაპოსტი, რომლის აღმამანს თბითომამედ ბუნ-



დეტალი კომპოზიციისა „იერუსალიმში შესვლა“.

ყინწვისი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. წმ. მხედარი.



ნებით თუ უნებლიედ ანგელოზი კონტრაპოსტში წარმოუდგენია. მათან უღერებთ უფრო საყურადღებოა ივირინისა და პარმის ოთხთავის და მელნიზენის ფსალმუნის მინიატურები (20. სურ. 567, 8, 9). მაგრამ ისინი არა მარტო შემოქმედებითი აღმაფრენის თვალსაზრისით, არამედ თვით კონტრაპოსტის მრავალწახანაგონად დამუშავებია თვალსაზრისით ვერ შედრებთან „ყინწვისის ანგელოზის“ კლასიკით მოძრაობის მდიდარ ესთეტიკურ „ლოგიკას“. მათთან კონტრაპოსტს მხოლოდ მკერდის გადამკვეთი ხელის მოტივი ქმნის, ყინწვისის მხატვარი კი ამით არ დაკმაყოფილებულა. მისთვის კონტრაპოსტის ერთ მთავარ ელემენტს ფრთები წარმოადგენს. მას ანგელოზის ფრთები სახის საპირისპირო მხარეს ისე აუტყორცნია, რომ კომპოზიციის ჩარჩოს გარღვევასაც კი არ მორიდებია. ეს ჭეშმარიტად „ბაროკალური სითა-

ბის სილამაჰის ბამქვლინამის ხმრში, „ყინწვისის ანგელოზის“ ფიგურაში ისეთი განსაკუთრებული გრაციითაა განხორციელებული, რომლის მსგავს ესთეტიკურ (და არა ვიწრო სტილისტურ) დონეზე იტალიური რენესანსის მხოლოდ კორიფეგები — ლეონარდო და ვინჩის, რაფაელისა და განსაკუთრებით კი მიქელანჯელოს მემკვიდრეობაში ვხვდებით. ამდნად, კონტრაპოსტის ესთეტიკური მნიშვნელობის სტატუსი დასავლეთის ხელოვნებაში ყინწვისზე გაცილებით გვიან მოიპოვა.

ჭუმანისტური იდეის გამოხატვის ამ საოცარმა ხერხმა საქართველოში ესოდენ მაღალესთეტიკურ გადაწყვეტას დასავლური რენესანსის ზენიტზე აღრე (300 წლით); რომ მიადწია, ქართული ხელოვნების ისტორიამ ეს მართებულად უნდა აეფასოს.





ჩრ თქმა უნდა, ყინწვისის მოხატულობა XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ქართული მხატვრობის რენესანსულ წინასწარტრეკებასა და ჰუმანიტურ მიღწევებში თაზისიგით განცალკევებული არ იყო. მასში, უბრალოდ, უფრო მაგაოდ აღირგვლა ის კარიხნალური ტენდენციები, რომლებიც მოწინავე ქართულ საზოგადოებრივ აზრს ახასიათებდა. ყოველივე ამაში სრულად და ღრმად ჩაწვდომა ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ვალია. მაგრამ ამ რთული პრობლემის სწორად გაუმუქებას ერთი უმართებულო და ტრადიციად ქცეული თვალსაზრისი უშლის ხელს. ეს ეპოქის ქართული მხატვრობის მიღწევები ჩვენს მეცნიერებაში ყოველივე იმის ქვედა საფეხურადა მიჩნეული, რაც ქრისტიანულ საყვარელი დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ მოხდა ე. წ. „პალეოლოგიურ სტილსა“ თუ იტალიურ პროტორენესანსში. ეს თვალსაზრისი უნებლიე ანარკვი უნდა იყოს კულტურის ევოლუციონისტური თეორია, რომლის მიხედვითაც ხელოვნების განვითარება თანდათან და უკვეული ამაღლების პროცესადაა წარმოდგენილი. ამ ტრადიციის მიხედვით, ქართული კედლის მხატვრობის განვითარების შემდეგი საფეხური, რომელიც XIV საუკუნის პირველ ნახევარს ემთხვევა და „პალეოლოგიური სტილის“ რეალში იგულისხმება, სპეციალურ ლიტერატურაში უფრო მეტი წარმატებების ხანად, ხოლო ყინწვისის ეპოქის ქართული მხატვრობის მიღწევები მის წინა, და, მაშასადამე, „შემამზადებელ“ საფეხურადაა გააზრებული. სინამდვილეში ეს ასე არ არის. საქმე ისა, რომ ე. წ. „პალეოლოგიური სტილი“, რომელიც განვითარდა ბიზანტიაში, ბალკანეთის ქვეყნებში, საქართველოსა და რუსეთში, ამ ქვეყნების იმანენტურმა სოციალურმა აუცილებლობამ კი არ წარმოიჭრა, არამედ იგი ასეადადმოცენებული დასავლური ბურჟუაზიის იმპერალიზმში ძმის წარმოადგენდა, გავრცობლის ქრისტიანულ ამოხსავლეთში. მართალია, ეს ექო თითოეული ქვეყნის სოციალურ-ისტორიული პირობების შესაბამისად სხვადასხვაგვარად და საინტერესოდ წარიმართა, მაგრამ მას ის შინაგანი ენერჯია არ წარმოაშავდა, რაც თამარის ეპოქის ქართული ხელოვნების იდეათა ჭიდილში გამოვლინდა. ამიტომაც აღარ აღძრულა ადამიანის იმპულსური ბუნების მშვენიერების იდეა, რაც ყინწვისის თუნდაც იმავე ანგელოზის სორციელ სილამაზეში სამოსის ნაოჭთა „მუსიკალური ლოგიკითა“ დაგვირგვინებული.

XII-XIII ს. მიჯნის ქართული მხატვრობის თვით იტალიური პროტორენესანსის წინასაფეხურად მიჩნევა მართებული არ უნდა იყოს: მართალია, ქართულ მხატვრობაში დიგმატიზმი არ დაძლეულა და ძირეული გარდატეხა არ განუცდია (ის, რაც იტალიურ პროტორენესანსში სახესივთი განხორციელდა), მაგრამ მის კონსერვატიულ ჩარჩოებში ისეთი მხატვრული იდეების აქტუალობა ჩანს, სადამდეც იტალიური პროტორენესანსი არ ამაღლებულა, და რომელთა განხორციელებაც იტალიაშივე, არსებითად XVI საუკუნეში მოხერხდა. ასეთია, როგორც უკვე აღნიშვნა ადამიანური სილამაზის, საერთოდ, და, კერძოდ, მისი კონტრაპოსტის ყინწვისისეულ დონეზე გადაწვევა.

ამედგად, მეცნიერებათმცოდნეობისა და უაღრესად პროგრესულ ამოცანათა გადაჭარვულობა თამარის ეპოქის მხატვრობის ისეთი საოცარი თავიანუბრებაა, რომელსაც სხვა ეპოქისა და ქვეყნების კულტურათა ნორმებით ვერ ახსნი.

მონღოლთა ურდობის შემოსევებმა ქართული ჰუმანიზ-

მის ლეგალიზების გზებში მისი განვითარების იმ ეტაპზე დატრეს, როდესაც ქართული რენესანსული აზროვნების სრულყოფაში არსებითად უნდა დაძლეულიყო შუასაუკუნეობრივი შეზღუდულობა, რათა ქრისტიანული საყვარლის ხელოვნების გარდაქმნაში საქართველოს, სხვა მოწინავე ქვეყნებთან ერთად, თავისი მისია ბოლიმდე შესრულებინა.

„ყინწვისის გვეფის“ მოხატულობათა სახით ჩვენს წინაშეა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეროვნულ-კულტურული პროცესების გამოხატობა. სინამდვილის ესოდენ მადალესთეტიკური განცდა და ხორც-შესხმა ისეთ დამგატეკურ ხელოვნებაში, როგორსაც საკვლესიო ხელოვნება წარმოადგენდა, იმ ქვეშარტყვად დიდ იდეოლოგიურ დულიზზე მეტკველებს, რამაც კონკრეტულ ისტორიულ პირობებში თუმცე საკვლესიო ხელოვნების ძირეული გარდატეხა ვერ მოახდინა, ყინწვისის დიდოსტატთა შემოქმედების სახით კი მიანც განხორციელდა, როგორც ქართველი ხალხის საერო მისწრაფებათა მაღალმხატვრული უკუფენა.


**შინიშვნები:**

- 1 შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბილისი, 1962.
- 2 ნ. ბერტენიშვილი, ე. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი — საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1958.
- 3 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1973.
- 4 Д. Гордеса, Предварительное сообщение о Кинцивской росписи. Науковий Зписник Наукової Дослідничої Катедри Історії Української Культури, Харків, 1930.
- 5 თ. ფრალიშვილი, ქართული ფრესკების დაცვის მეტყვევულ საკითხები, „საბჭოთა ხელოვნება“, 1975, 1.
- 6 Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджа, Тбилиси, 1948.
- 7 Ш. Амيرانашвили, История грузинского искусства, Москва, 1950.
- 8 ყინწვისის მოხატულობა გაკვირვებ, ოლონდ აღტაცებით აქვს მოხსენიებული ნ. ა. ტლოშაქვეკიას.
- И. Толячевская, Фрески древней Грузии, Тбилиси, 1931.
- 9 Г. Алибегашвили, Четыре портрета царши Тамары, Тбилиси, 1957.
- 10 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961.
- 11 თ. ფრალიშვილი, ქრონიკები, II, 1897.
- 12 თ. ფრალიშვილი, ბიზანტიის მოხატულობა, თბილისი, 1952.
- 13 პ. ზაქარაია, შუა საუკუნეების ქართული ეკუმენიკური არქიტექტურის ზოგადი საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 1961. XXI—II.
- 14 Н. Кондаков, Древняя архитектура Грузии, Москва, 1876.
- 15 არსენ ბერი, ცხოვრება ნინოის, ძველი ქართული ავითგრაფიული ლიტერატურის მეტყველი, III, თბილისი, 1971.
- 16 Ф. Шмит, Искусство Древней Руси — Украины, Харьков, 1919.
- 17 Ш. Амيرانашвили, История грузинской монументальной живописи, т. I, Тбилиси, 1957.
- 18 ამვეარი ასანის პირველი ცდა იხ. 1974 წ. „მნათობა“ (№ 4, გვ. 14-148) თ. ფრალიშვილის სტატიაში სათაურით: „ჰუმანიტური იდეების ერთი ფრესკული ანარქისის გამო“.
- 19 З. Какабадзе, Человек, как философская проблема, Тбилиси, 1970.
- 20 G. Millet, Recherches sur l'icongraphie de l'Evangéle aux XIV<sup>e</sup>, XV<sup>e</sup> et XV<sup>e</sup> siècles, Paris, 1916.
- 21 О. Пиралишвили, Теоретические проблемы изобразительного искусства, Тбилиси, 1973.



# ქიფეზ ერტი მონობრაჟი დიდ მხატვარზე

ლადო ავალიანი



გამომცემლობა „ისკუსტკოს“ ლენინგრადის განყოფილებაში სერიით — „ცხოვრება ხელოვნებაში“, გამოსცა მხატვრისა და ხელოვნებათმცოდნის — ერასტ კუზნეცოვის მონობრაჟი „შირსმანი“. არაერთი მოულოდნელობა არ იყო კიდევ ერთი მონობრაჟის გამოჩენა იმ მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომელიც უკვე მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ აღიარა და შეიყვარა. მაგრამ გულახდილად უნდა განვაცხადო, რომ სრულიად მოულოდნელი იყო პირადად ჩემთვის ისეთი მონობრაჟის წაკითხვა ჩვენს სახელოვან მხატვარზე, როგორც ე. კუზნეცოვის „ფიროსმანი“.

პირველი, რაც მოგზიბლავთ და თვალში გვეცმება მონობრაჟის კითხვის დროს, ესაა ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების ფხიზელი თვალით ტერეტის ცდა, მონობრაჟის ავტორის ანალიტიკური გონება, პროფესიული ალღო, კულტურა და ყოველივე ამის დამავეირვეინებელი — უტყუარი გემოვნება.

დროთა ვითარებაში ფიროსმანის პიროვნება ნიჭარებით შეჯავშნულ გემს დაემსგავსა. სულ რაღაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთმანეთში აირია მხატვრის ცხოვრების სინამდვილე და ლეგენდა, ტყუილი და მართალი. ბევრი რამ მისასხელსა და შემოქმედებას იმ ნიჭარებით მიეკრა და იერი შეუცვალა.

მონობრაჟის ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი თითქმის არც ერთ ფაქტს შეუმოწმებლად, გაუნალიზებლად, დაუფიქრებლად არ ენდობა და თავისი საღი მსჯელობით უმრავლეს შემთხვევაში, თვალსაჩინოს ხდის ზოგი მოგონების, მსჯელობის უსაფუძვლობას და კიდევ უფრო ცხადყოფს ზოგის სანდობობას, ლოგიკურ კანონზომიერებას. ამ ძიებაში ავტორი ირჩევს კვლევის რთულ გზას და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმრავლეს შემთხვევაში გამოიქვს სარწმუნო დასკვნა; იგი მოვლენის არსსა და პიროვნების ხასიათში

წვდომის თვალსაზრისით ნამდვილ ფსიქოლოგად გვევლინება. ის, რაც ხშირად ზოგი მკვლევარის, ხელოვნებისმცოდნის, თუ, უბრალოდ, მხატვრის თანამედროვის მიერ არც ისე ღრმად, შეიძლება ითქვას, ზერელედ იყო დანახული და გაუნალიზებლად მოწოდებული, ე. კუზნეცოვის მონობრაჟი პოულობს დასაჯერებელ ახსნას, დასაბუთებას, ან ფრთხილად უარყოფას.

მე გამოცა ე. კუზნეცოვის არა მარტო ანალიტიკურმა გონებამ და პროფესიულმა ალღომ, არამედ საერთოდ ქართული ხელოვანის სულის სიღრმეებში ასერგიად წვდომის უნარმა. როგორც ჩანს, ე. კუზნეცოვს უთუოდ დაეხმარა ის გარემოება, რომ იგი საქართველოში დაბადებულია, თვრამეტე წელი აქ გატარებია, ქართული გარემო, ქართველი კაცის ხასიათი, ხალხის ზნე-ჩვეულება მისთვის, ჩანს, იმდენად ახლოებლია, რომ ზოგჯერ სასიამოვნო გაკვირვებასაც კი იწვევს. ერთი შეხედვით შეიძლება უმნიშვნელო რამ იყოს, მაგრამ მაინც რად ღიოს, რომ მის მონობრაჟიაში ვერ წააწყდებით პიროვნებათა სახელ-გვარების თუ გეოგრაფიულ ადგილთა სახელწოდებების სხვადასხვა მიზეზით დამახინჯების ფაქტებს.

მონობრაჟის ავტორმა იმიტაც დაიმასხურა ჩემი მოწონება და ნდობა, რომ მისი მთელი რიგი მოსაზრებები საოცრად დაემთხვა იმას, რასაც ვფიქრობდი და რა დასკვნებამდე მიმიყვანა წლების მანძილზე ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეული საკითხის ანალიზმა.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 1944 წელს გადაწყვიტე დაბეჭდრა რომანი და ჩემებურად ამეხსნა ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების, ასე ვთქვათ, საიდუმლო (რაც თავი მასსოვს, არასოდეს შემეწყდარა კამათი ორ მოწინააღმდეგე პოლუსს შორის ფიროსმანის მნიშვნელობაზე). ცხადია, წლების მანძილზე ვალრმავემდი არა მარტო ჩა-





ნაფიქრს, გონების თვალთ ვაკვირდებოდით მხატვრის ცხოვრების მრავალი წინააღმდეგობით ატვირთულ ფაქტებს, ვიკვლევდი ხასიათს, ფერწერული თავისთავადობის გამაპირბრუნებელ ხერხებს და წმინდა ფორმალური ოსტატობის დროდადრო ესოდნე მაკვიოდ გამობრწყინების კანონზომიერებასა და ლოგიკას. ერთი გარემოება რომ არა, რომანის წერა 1959 წელს უნდა დამეწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან დიდი დროით მომიხდა მისი გადადება. ბოლოს, მეტი ლოდინი აღარ შეიძლებოდა და, 1972 წელს შევედგე ჩემი ნაწიფიქრის განხორციელებას, მომდევნო წელს კი გამოვაქვეყნე ერთი ნაწილი, ეპიზოდი სათაურით — „შეგლი გადაჭრილ ხესთან“.

ის, რაც მომწონს, შეიძლება ითქვას, ე. კუნსენცივის ამ ჩინებული მოთვარევის — „ფიროსმანის“ ცხრა მეთედს ვსაღვინს. დანარჩენი ერთი მეთედი კი შეიცავს ცალკეულ მოსახრებებს, რომელთა გაზიარება მიჭირს. ამ წერილში არ ვაპირებდი შენიშვნებზე ყურადღების გამახვილებას, მაგრამ ზოგ მათგანს მაინც შეუხებია, რაკი ამას დაბეჯითებით გვთხოვს თითონ ავტორი (ინტერვიუში, რომელიც გამოქვეყნდა ზარმანგოლი 24 ნომბრის „ვეჩერნი ტბილისში“). ე. კუნსენცივმა, ცხადია, არავისზე ნაკლებად არ იცის, რომ ფიროსმანზე წერა ძნელია, მაგრამ მან ისიც იცის, რომ ფიროსმანის თემა არა თუ კარგერობით, შესაძლოა, საერთოდაც ამოუწერადი იყოს. შეიძლება ესეცაა მიზეზი, რომ მონოგრაფიაში ზოგი რამ იწვევს გარკვეულ შენიშვნებს:

1. ნიკო ფიროსმანაშვილის ბიოგრაფიაში თითქმის ყველა მკვლევარი თვალდახტული ყურდნობა ბუთლიაშვილის მიერ მოხსენიებულ ვირანტს, ქალანთაროვების (თუ ბეკოსეფოვას და ხანკალამოვზე გათხოვილი ამ ოჯახის წევრების) ახლოს ფიროსმანის ხანგრძლივად ყოფნის ისტორიას. მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე ეს ამბავი მაკვივებს, მაინც როგორმე ვირწმუნებდი მას, ფიროსმანის ერთი ფრაზა რომ არა (რომელიც მან მხატვართა საზოგადოებასთან შეხვედრისას თქვა): „რვა წლისა დავობდი და მას მერე თბილისში ვცხოვრობი“. ქალანთაროვების ოჯახის ერთი წევრის მოგონების მიხედვით კი, ნიკო ფიროსმანაშვილი მას თორმეტი წლისა წაუყვანია შულავერიდან თბილისს. შეიძლება მართლაც წაიყვანეს ამ ხნის ბავშვი შულავერიდან თბილისს, მაგრამ ვინ იცის, ის, თუნდაც გვარად ფიროსმანაშვილი ყოფილიყო, მაინცდამაინც ნიკო იყო?

საკვირველი ისიცაა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც არავის მოუკრავს ყური, ნიკოს რომ ქალანთაროვები, ბეკოსეფოვები და ხანკალამოვები ესხნებინოს. მათ ოჯახებში კი, მოგონებების მიხედვით, ნიკოს თითქმის 27 (?) წლამდე გაეტარებინოს! ასეთი გულმაღვიწყობა, ალბათ, არ უნდა სჩვეოდეს ვინმეს ამავით, ან თუნდაც ყურადღებით, დავალეულ ადამიანს, მით უმეტეს, ფიროსმანაშვილის მსგავსი გულის პატრონს.

ზომ არ არის ამ ამბავში რაიმე გაუგებრობა, ან შეთხზვის თუ არა, გახვიადების ცდა მაინც?

ანა ბეკოსეფოვას ოჯახში აღმოჩნდა ნიკო ფიროსმანაშვილის ახალგაზრდობის სურათი. ადამიანის სურათი სად, რომელ ოჯახში არ შეიძლება მოხვედეს რაიმე შემთხვევას და მიზეზის გამო, მაგრამ ეს განა იმას აღვასტურებს, რომ იმ პიროვნებას მაინცდამაინც იმ ოჯახში ეცხოვროს? ისიც საკვირველია, რომ იმ ოჯახში, სადაც მხატვრის ფოტოსურათი,

ინახავდნენ, ერთი ნახატიც არ შემორჩენიათ ფიროსმანაშვილისა, შით უმეტეს, ვინც დაუსხატავს, საოცრად ჭკავდომ და თუნდაც ამიტომ შეინახავდნენ. ერთი სიტყვით, ამგვარი გაუგებრობისა, თუ ბუნდოვნებისაგან თავი ვერ გერ დაგვიღწევა.

2. წიგნში ჩართულია ფოტოსურათები. ამ ფოტოსურათების შორის, ჩემი აზრით, გარკვეული ეჭვის აღმძვრელია კადრი 1911 წელს გადაღებული კინოტრონიკიდან. ვარაუდობენ, კადრი მისივედროლი გამზდარი მამაკაცი ნიკო ფიროსმანაშვილიაო. ცალკე, ქრონიკის სხვადასხვა კადრიდან ამბობდნენ ამ მამაკაცის გადაღებული პორტრეტი პროფილსა და ანფასში. არა მგონია ეს მამაკაცი ნიკო ფიროსმანაშვილი იყოს. ზემოთ აღნიშნული ფოტოების გვერდით, მარცნივ, დაბეჭდილია ფიროსმანაშვილის ახალგაზრდობის დროინდელი (ნამდვილად მიჩნეული) ფოტოსურათი (80-იანი წლები). ამ ფოტოზე ჭაბუკი ნიკო ფიროსმანაშვილის ნიკაპი, მართალია, ოდნავ გაყოფილი ჩანს, მაგრამ აშკარად ოვალურია, კინოტრონიკიდან ამბობდნენ მამაკაცის ნიკაპი კი აშკარად ბრტყელი და კვადრატული ფორმისაა. ყოველი ჩვენგანი შეიძლება წააწყდეს სრულიად უცხო მამაკაცის პორტრეტს, სადაც მსგავსებას იპოვნის თავის თავთან. მაგრამდებალად გუდააშვილის ნაამბობი — პარიზში, ოკიან წლებში, პოლიტიკურებს სურდათ ჩემი შეყრობა ვიღაც ამერიკელ, ისიც ჯორჯიის შტატიდან გაქცეულ განგებტრთან პორტრეტული მსგავსების გამო (პოლიციელებს სურათი უჩვენებიათ).

3. ე. კუნსენცივი წერს ფიროსმანზე — «Духанный художник ищет то, что ему заказывают, а не то, что хочется ему самому».

ამ მოსაზრებამ შეიძლება შეცდომაში შევიყვანოს მკითხველი, რადგან ის მსგელობა, რაც ამ ფრაზას მოსდევს, ვერ ხსნის მის შინაარსს სათანადოდ. საქმე ისაა, რომ მხატვრებს ხშირად უკვავთვენ თემას, მაგრამ ერთია თემის შეკვეთა, თ-

